

კურანიზე და კლონების

ისტორიული მიარებები

აღმოსავლეთის ჩალხში

ზ. ჭ.

გამოცემა

ვიზორი ზალავარაძისა

თბილისი

სტამბა ტ. როტინიანკისა, ვალოვინ. პრ. 39.
1917



პეტერბურგის და

კლინიკურის

ისტორიული მიმოწევა

აღმოსავლეთის ხალხში

ზ. კ.

33812

გამოცემა

ვიქტორ ჭალაგარაძისა



თეილისი.

სრამბა ტ. როტინიანკისა, გოლოვინ. პნ. 39.

1917

მათხოვნობა ძველადგან.

ნეტავ ვიცოდეთ, თუ დედამიწაზე მათხოვრობა როდის გაჩნდა და ან რისთვის, რა საჭიროებისათვის? ჩვენ ამის შესახებ განმარტებას არ დავიწყებთ, გაკვრით შევეხებით მას და ჩვენს ჰაზროვნების თანხმა სხივებსაც ადგილს იაუთმობთ. ნუ თუ ეს პირქვე დამამხაბელი სენი კაცობრიობას თავის დასაწყისიდგან დაჰყვა თავის დასალუპალ!

საკვირველია და საოცარი ამ სენის ისტორია, რად უნდა გაჩენილიყო დედამიწაზე ასეთი წესები, რა საჭიროებას შეადგენდა ამის გავრცელება, რომ „დაბადების“ თქმით, ერთის შთამომავლობის კაცისათვის ერთი ძლიერი, ანუ ცხოვრებით ამაღლებული ყოფილიყოს და ამავ პირის მეორე ძმა კი—მათხოვარი, შეუძლო, დატაკი და სხვნი. ერთი უნდა იყოს მოწყალე, მწყალობელი, ბატონი და მეორე კი უძლური და მოწყალების მთხოვნელიო რატომ მოხდა ასე, რომ ან ერთმა შეიწუხოს თხოვნით თავი და ან მეორემ მოწყალების გაღებით, ისევ ის არ სჯობდა, რომ ერთ მოდგმის კაცს არც სიმდიდრე ჰქონიყო და ამავ მოდგმის მეურე კაცაც დატაკი არ ყოფილიყოს.

რასაკვირველია, რომ ასე სჯობდა, ამას რაღა განმარტება უნდა, მაგრამ ეს რომ ასე არ მოხდა და კაცობრიობამ თავის დაარსების დღიდგანვე აუქცია ამ თანასწორებრივ ჰაზროვნობას გზა და კვალი, რას უზავთ ეხლა, ვერაფერს, დრო და შალმოვრეობა ვერას იქმს, დროის მეოხებით და რიგიარის განვითარებით კაცობრიობა ოდესიე კი მიახწევს იმ წერტილიდის, როცა უთანასწორა წესწყობილების შეჩვენება და გმობა დაიწყება.

იმასაც მოგახსენებთ, რომ წინა საუკუნოებში, იყვნენ
ისეთი მწერალ მეისტორიე ფილოსოფოსნი, რომელნიც
ძველ მამათა მოღვაწეობის ასეთს ლვაწლს და შრომას უარს
ჰყოფდნენ, იგინი ამობდნენ, რომ დღევანდელ კაცთა სიბრალუ-
ლი და შეწყალების ნატვრა და ლალადება ძველადგანვე მო-
ისმოდაო, ძველათვე ნატრობდნენ ასეთ ჰაზროვნების წარმა-
ტებას და ალორძინებასაო, მაგრამ იგინი იმავ დროს იყვნენ
დიდის შეცდომილების დაშვების თანამომხრენიო და თუ მათი
ნატვრა წინ ვერ მიღიოდა, თუ ერში სასარგებლო ქადაგება
ფეხს ვერ იდგამდა, ეს სულ იმის ბრალი იყოვო, რომ თვით
ამ მამების მეოხებით ხდებოდა ყოველივე ესეო. ესენი ცალის
ხელით და ყბით თუ ვრდომილთა შებრალებას ჰქადაგებდნენ
და უთანასწორობას მუსრავდნენო, იმავე დროს იგინი თავიან-
თის არსებით ასეთ მოძლვრებათა საწინააღმდეგო ძალასაც
წარმოადგენდნენ და მეორე კედაროს აფუძნებდნენ და ავრ-
ცელებდნენ იმ უთანასწორო წესწყობილების ჰაზრებსაო,
რომლებიც იმავ დროსვე განმტკიცდნენ ერის ცხოვრებაში,
ფეხი გაიმაგრეს, ფესვი გაიდგეს და მის მეოხებით მერმისისთვი-
საც დაარსდა კაცობრიობისათვის დიდი უთანასწორო წეს-
წყობილება, დიდი განსხვავება ძმათა შორის და დიდ პატარა-
ობა, ამანვე მრავლად და ძლიერად შექმნა და ფეხზე წამოა-
ყენა ზოგიერთ ტომთათვის დასაღუპი მოვლენა, მომავლის
უბედურება. ამ ქადაგების მხრით უტყუარს ჰეშმარიტებას
წარმოადგენს. მაპმადიანობა და მისი სწავლა, ამას გარდა
ხალხთა შორის ცხოვრების უკულმართ წესების ნაყოფის ნიშ-
ნად რომის იმპერიაც.

სიღატაკესა და მათხოვრობაზედ სხვა და სხვა გკონო-
მისტებს ძველად თუ შემდეგ დროშიაც სხვა და სხვა შეხე-
ლულება აქვნდათ, ამ სენის გაჩენის ძირითადს მიზეზებს ვინც
სჩხრეკდა და ეძებდა, მერე იგი თავისებურს საუბარს და ცნო-
ბათა ახსნას იძლეოდა მათხოვრობის გაჩენაზედ. მაგალითებრ,

თავის დროის ცნობილ ეკონომისტი კურსენ სენელი აშპობს, რომ მათხოვრად ხშარად უფრო ის პირნი ვარდებიან, რომელნიც ჯანით სუსტნი არიან. მუშაობა გამუდმებით არ შეუძლიანთო და არც მამაპაპათაგან აქვთ რამე ქონება და კოვებულიო. მამა და დედა უნდა სცდილობდეს რომ შვილების გამრავლებას ქონებრივი გამრავლებაც მოუპოვოს. შვილები ღატაკად და უსწავლელად არ დასტოვოსო. ღატაკების სიმრავლეს საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება და რამდენადაც მათხოვარნი გამრავლდებიან, იმდენიც საზოგადოებამ მეტი უნდა იზრუნოს და გაისარჯოსო. გლახების შესანახად ხალხზედ ხარჯი უნდა განწესდეს და ამ შესავალის ხარჯით უნდა შეინახონ გლეხებით. რამდენიც გლახები გამრავლდებიან, იმდენადაც საზოგადოებას შესანახი ხარჯი უნდა მოემატოსო. განათლება და წერა-კითხვის ვრცელება პაუპერიზმს ხელს უწყობს მოსპობაშიო. კუჩხენ სენელი და ამის დროის ეკონომისტნი სხვა და სხვა ნაირად ხსნიან ავსენის მიზეზებს, ჩვენის მოსაზრებით კი ამის მოსპობა და გარდაშენება, ანუ მოსპობა აწინდელის ზოგი რამ წესების გარდაქმნას და გარდაკეთებაში სძევს. მოისპოს ის წესები რაც გლახებს აჩენს და მაშინ აღარც პაუპერიზმი ჩქნება და არც გლახა გაჩნდება. უამისოდ კი რამდენიც უნდა წამლები უძებნოთ ეს სენი არას დროს არ მორჩება, თუ იარის გამჩენი ბაცილები არ მოისპო და არ ამოვარდა ძირიან ფესვიანად. ეს კარგად შეიგნეს ზოგიერთ ეკონომისტებმა და მიტომ მათაც თავიანთ კალმის ძალით ამ სენის კარგად შეგნებასაც სინათლე მოჰყონეს, დღეს ეს შეგნება გავრცელებულის საერთოდ. სადაც არ არის იგი გავრცელებული, მერმის იქაც აიღვამს ფეხს. ეს არის მხედრო თანამეოროვე რიგიანის ჭაუის მოქრაობის, მაინც ძველი ეკონომისტნი იმითიც პატივსადებნი არიან, რომ იგინი თავიანთ ნაწერებში არც ამ სენს სტოვებდენ უყურადღებოთ და ასე თუ ისე ხშირად სჯიდენ სხვა და სხვ.

ამგვარს საგნებზედ. ესეც კარგი ლიტერატურა არის მათი დროის კვალიად.

ზოგნი ამბობენ, რომ კაცობრიობაშ ძველადვე შეიტყო და შეიგნო თავის ნაკლულევანებათა მნიშვნელობათ, ამ ნაკლთა მოსასპობლად მრავალნი ცდასა და ღწვასაც მიეცნენ. მაშ რამ შექმნა და დაარსა ძველათვე მონარქია, — იმპერია და რესპუბლიკა. სამი დაწესებულება, სამი საიდუმლო კაცთა კრებულის ძალა. სამი ხანა ცხოვრებისა რომმა აღრევე გამოსცადა, მაგრამ მას ვერც ერთმა ლშველა რამე, ვერც მეორემ და ვერც მესამემ. ყველა ეს წესები რომს ანიჭებდა მხოლოდ არა დიდათ შორს მხედველურს ცხოვრების წესებს. მაგალითებრ, მონარხიის დროს რომის ძალა მხოლოდ თავის ცხოვრებისთვის ცხოვრებდა, — სხვების დამორჩილებას მაინცა და მაინც არ ელტოდნენ — რესპუბლიკაშ განამტკიცა მეურნეობა, ნამყენი გაამრავლა, რამაც ხელი შეუწყო ვაჭრობის ალორძინებას. ვაჭრობამ შექმნა ბრძოლა შეძლების მექონ ერთა შორის. ამან გამოიხმო მერყეობა, კამათი, ბევრი რამ დაირღვა და დაილეწა. ბევრი თვითმომრეობა ვრცელდებოდა, ამისთვის დაარსდა იმპერია, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ რომისთვის ვერც ლატაკები შეამცირა და ვერც მის მომავალი დაღუპვა. აქ მეფეც, იმპერატორი და რესპუბლიკაც ერთნაირათ ქმსახურებოდნენ ერს, მათ არსებობას არ მოჰყვა რაც უნდა მოჰყოლოდა, მას მოჰყვა მხოლოდ მონება. მონებას მოჰყვა სიღატაკე, მათხოვრობა და გლახაობა, შემდეგ, საუკუნოებში რომის უხეირო წესები შეითვისეს სხვათაცა და ამ სხვათა მახლობლათ ჩვენც აღვმოვსჩნდით.

ძველმდ ამ სენს ხალხი ერთობ გულ გრილათ ლმზერდა, ვინც მათხოვარი იყო, ის, იმ კაცისთვის სამღრთო მოვლენად, სამღრთო ვალიდ მიაჩნდათ. მის საკუთარს კუთვნილებათ, კაცი თუ მათხოვარი იყო, ის იძიტომ იყო მათხოვარი, რაღაც ლმერთს იგი მათხოვრად დაებალნა. მათის ფიქრით, აშ

პირს ეს არ ასცდებოდა, აქ რომ ასცდენოდა, მაინც საიქიოს მოეხვეოდა გარს და მიწაშიაც კი გაამრივრევდა შტვერს. კაცი, რომელიც მათხოვრად ხდება, იმას შუბლზე აწერია ესაო, დაბადებითვე ჰყვება მას თანაო. ოვით მათხოვრათაც ასე მიაჩნიათ თავიანთი ბედის საქმე, იგინიც ისევე ფიქრობდნენ და უფრო მეტათაც. იგი ფიქრობდა, რომ ყოველი უბედურების მიზეზი მე ვარო. სულ ჩემი ბრალიაო, მე რომ ესა და ეს საქმე არ მექნაო, მაშინ მუ ასე .რ გავხდებოდიო. სულ ჩემს ცოდვების ბრალია ჩემი გაგლახავებაო. ბეჭდავი მათხოვარი რომ დაპკვირებოდა თავის ცხოვრების საქმეს, გადაეშალა თვალთ წინ ყველა თავის ცოდვები და დაეწყო მათ აწონ დაწონვა, მაშინ იგი ვერც ჟრთს ვერ შენიშნავდა ისეთ უდიდეს მიუპატიებელს ცოდვას, რომ ის მის მეოხებით ღმერთსაც გაელატაკებინა, მას სად ებადა იმდენი ძალა და ან რა გარემოებითი პირობებში იყო მოთავსებული, რომ მის მეოხებით რამე შეცდომა, ან ისეთი ცოდვა შეეძინა, რომ მერე ის ამ ცოდვის სამაგიეროდ საუკუნო სილატაკითაც დაჯილდოვებულიყოს. რაკი ძველიად მათხოვართ ასე მიაჩნდათ თავიანთ ვრდომლების საქმე, მიტომაც ზოგიერთს ძველს მწერლებს და სახელმწიფო კაცებს. მათზე ვერაფერი სასიკეთო წარმოდგნაც ჰქონდათ შედგენილი. იგინი ასეთ ღატაკთ სულ არ მოიხსენებენ, თუ ახსენებენ ისეც არა ფარსაგის თვალით. ამის მხრით ქრისტიანობა, ამის ხანა და მის გავლენის ქვეშ ყოფილი მწერლები და წმინდა მამები უფრო ბრწყინვავენ კეთილის ჰაზრებით.

ციცხაონ ბრძენი, ძალიან მეღიდურად მოგვითხრობს, რომ კილიკიაში ჩემის გამგეობის დროს, ერთ დღეს რამდენიმე ათასი კაცი გავყიდეო. რომელ კაცნიც ჩვენ ერთის ხალხისაგან ჩაგვივარდა ტყვეთაო. ვიტყვით დამატებით, რომ ეს ტყვე და მონები შეიძლებოდა ქართველებიც ან სომხები ყოფილიყვნენ, ვინ უწყის. აქ ჩვენ ერთი მაგალითი მოგვყავს

ციცერონ ბრძენის, კეთილის მოქმედების, რომ იგი თამამად
ბრძანებს კილიკიაში ხალხის დაყიდვას; რამდენი ახლა სხვა
გზით იქნებოდნენ დაყიდულ დასჯილნი, ამას რიცხვი არ
ექმნება და უკანასკნელ რო ამ დაყიდულ დაკარგულებს მათ-
ხოვრობა ელოდაო, არც ეს უნდა იყოს ჩვენთვის საეჭვო და
საკვირველი.

ცხვარი და კომპეტიცია მეტის მეტ სანაქებო და შესა-
ნიშნს საქმეებს ჩადიოდნენ, ამათ კაცის ღირსება და მნიშვნე-
ლობა ერთ ჩალის ფასად მააჩნდათ, ეს ძრიელი გმირები მხო-
ლოდ ამით იქებოდნენ და იღიდებოდნენ, რომ მათ ერთ
დროს ორი მილიონს ხალხზე მეტი საყიდეს, რომელთაც
უკანასკნელ იგივე დღე დაადგათ, რაც სხვა და სხვა ბედშავ
მათხოვრებს ედგათ გარს. ვინ ხალხი იყო ეს ბედშავნი, რო-
მელ ტომის და ან პომპეისა და ცეზარისაგან ვინ იყიდეს,
ამაზე ჩვენ არა ვიცით რა და ლრმა ჩაკვირვების მეოხებით
ჩვენ ვფიქრობთ, რომ ესენიც ქართველები და ან მთაელები არ
ყოფილიყვნენ. ამის თქმას ჩვენ მით უფრო ვტედავთ, რადგა-
ნაც პომპეის საქართველოდგან, დიდ ძალი ქართველობა
ჰყანდა წაყვანილი. პირველად ცხეოთის ხილი პომპეიმ გააკეთა
დღესაც ეს ხილი პომპეის ხილად იწოდება ხალხში.

არის თოტელი, ეს ძრიელი გვაძე, ეს შენიშნული მიმ-
ხვედრი ბევრის სამეცნიერო საგნების, იქამდის გაუმცნებელს
გზას ადგა, რომ მათხოვარს, ანუ მონასტესულ არაფრად
სთვლიდა, ეს ბრძანებდა თურმე, რომ მონასტესულება რათ-
უნდაო. მონა მთელი დღე უღელში შებმულის ხარივით უნდა
იყოს და მუშაობდეს, თფლს ლვრიდეს თავის პატონისათვის
თავს იკლავდეს და კვდებოდესო. ასეთი შეხედულებისა ცუ-
ფილა დიდებული არის ტოტელი მათხოვრებზედ.

კატონი, ქებით განმარტავს, რომ მონა ან უნდა მუშა-
ობდეს და ან ეძინოსო, სხვა ლრმ და მოსვენება ამისთვის
საჭირო არ არისო. მონა მისის ბრძანებისამებრ საჭირო იყო

იმ დრომდის ვიზუაჟ მას მუშაობა შეეძლო, როცა ვეღარ
იმუშავებდა, მაშინ მას გზას უჩვენებდნენ და იგინი საბრა-
ლოდ ქუჩა-ქუჩა უნდა თრეულიყვნენ, უკანასკნელ ზათხოვ-
რად გახდებოდნენ.—მე მგონაა, რომ რომში სწორეთ ასეთი
უბედურის ხალხისაგან უნდა იყოს დაბადებული ის უბედური
ხალხი, რომელიც ავათ იყო რომში და რომელსაც მეექვსე
ხარისხის წოდებას უხმობდენ. ეს დაჩაგრული და ფიზიკურის
ძალოვნებით მკვდარი ერი მართველობას ჭხოლოდ სამხედროს
მოვალეობისაგან ჰყოლია განთავისუფლებული, სხვა რა სიკე-
თეს უზამდა რომ არ გაენთავისუფლებინა. ჯანით მკვდარ
ხალხს სხვა რაში გამოიყენებდნენ. სხანს მეექვსე ნაწილი სულ
ჯან დალეული და უბედური ხალხი ყოფილა,

კლურარხის თქმით ათინაში გლეხკაცობა მებატონეებს
მოსავლიდგან მეექვსე ნაწილს აძლევდა ოურმე. მაგრამ ზში-
რად ამასაც ვერ აძლევდნენ, რადგანაც ძველად ხალხი წვნა
თესვას გურიელ მისდევდა, ყოველს ოჯახს იმდენი მოსავალიც
არ მოსდიოდა, რომ მის მეოხებით ოჯახის წევრთ საზრდოთ
ჰყოფნოდესთ. მაშასადამე მებატონეს საიდგან თაღას მისცემ-
დნენ. ამიტომ ხშირად ორი სამი წელიწადიც გადიოდა, რომ
გლეხი მებატონეს ხარჯს ვერ აძლევდა. შემდეგ რაკი გადა-
სახადი ემატებოდა მშრომელი ვალში ვარდებოდა, ამის გამო
მაშინ გლეხი ვალების გამო შეძლებულის მებატონეს მონათ
უხდებოდა. შეძლებული ასეთს მონებს ერთათ აგროვებდა,
ზოგს შინ ყმა მოსამსახურედ იტოვებდა და ზოგიც სხვა და
სხვა შხარეში მიჰყვანდათ და ჰყიდდნენ ცხვრებივიც, მუშაო-
ბაში ამათ სულ დვიძლებს აკლიდნენ, მინამ ჯანი ჰქონდათ,
მინამდის ამუშავებდნენ. და სისხლს სწურავდნენ, როცა მუ-
შაობა ალარ შეეძლოს, ან მოხუცებულებისაგან უძლეურდე-
ბოდნენ, მაშინ მათ გზასა და კარს უჩვენებდნენ. ამ საბრა-
ლოების ცხოვრებას შემდეგ რა უნდა მოჰყოლოდა, ცხადი
საქმეა მათხოვრობა და ფარ და ფარ თრევა.

ამის უტყუარს ჭეშმარიტებას წარმოადგენს რომის იმპერატორის ისტორია, რა არ მოხდა ამ ერთი, რა არ აზვავდა, რა არ შეიქმნა, ხელოვნება, ექიმობა, ჩუქურთმა, მხატვრობა, მიწად მზომელობა, ვარსკვლავთ მრიცხველობა, დემოკრატიული გამზება, არისტოკრატიული დასები და მათი წყობილება. აქ ისეთი აზვავება არსებობდა, რომ ვეფხვებს და ლომებსაც კა აშინაურებდნენ კაცის ხელით. რომის სენატმა ბევრი რამ მოინარუქა. რომის წესებმავე დაარსა ლატაკთ რიცხვი, ხელოსანთა, მუშათა, მხვნელ-მთესველთა და სხვათა, — უკანასკნელ აქ წარმოსდგა ბრძოლა შეუძლოთა და შემძლებელთა შორის. უკანასკნელ გაიმარჯვეს პლეპეებმა შეძლებულებზე, ეს იყო დასაწყისი დემოკრატიზმისა, მაგრამ ვერც ამით იქმნა. რამე, რადგანაც პიროვნული ღირსება, მემკვიდრეობით მხარეები, თანასწორული მზერა აქ აღრევე იქმნა. შეგინებული და გალახული. ამის უმთავრეს მიზეზათ ეს ხდებოდა, რომ რომის აუვავებული შენობები ინგრეოდნენ და იფშვნიტებოდვენ, მთელი ძალა უქმდებოდა. ეს წარმოშობა მათმა ზნეობრივმა დაცემამ, მათმა თავაშვებულმა კულტურამ. რომის დაცემას ბევრნი მიხვდნენ და ამათ შორის კატონიც, რადგანაც აქ ათას ბრწყინვალე მდიდართ მეოხებით მილიონობით ლატაკნი, საპურნი და მათხოვარნიც ჩინდებოდნენ.

იქ, სადაც მათხოვრობა მიღის წინ, სადაც მიკიტნის დუქნები მრავლდება, პივახანები, რესტორანები, ტრახტირები, იქ ოჯახური. სახე სუსტდება და ასეთი მიმართვა მიღის წინ, იმ სახემწიფოს ბოლოს გაროსკიპება მოსდევს ერთი და შემდეგ მთელი სახელმწიფოც როსკიპდება — ამას უკანასკნელ მოსდევს მკაცრი დაცემა + მათხოვრები, უსახლ-კარონი და უმეტესად მშიერნი. ამის ნიშნებს მკაფიოდ მისკა გზა თავის ლექციებში გრანოვსკიმ და ნ. ჩერნიშევსკიმ ხომ აღრევე გვაუწყა რომის იმპერიის დაცემის უმთავრესი მიზეზები — ესე იგი სილატაკე, მათხოვრები და მათი გამრავლება თოხსავ

კუთხივ ერთნაირათ და ერთის ზომით. რუსულს მწერლობაში ბევრმა სწერეს რომის იმპერიის დაცემის მიზეზების ისტორიები და ყველას ესეთი შეხედულება ჰქონდა მიღებული, ასეთისავე ჰაზრისა იყო გამოჩენილი კრიტიკ პუბლიცისტი პისარევიც. ბევრს შესანიშნავს გვამს უსაუბრია ამ ისტორიის შესახებ და ყველას აღსავსეობით დაუსახელებია დაცემის უმთავრეს მიზეზად ცნობილი საგანი, ყველას ამ ისტორიის შენიშნავს, აღმწერს და მომთხრობს თვალი წინ სარკეთ სდგმია იმ სახელმწიფოთ მომსვალი ბედი და ცხოვრების პირობები, რომელიც მრავალ ცოდვილს რომის იმპერიის გზასა და კვალზე ყოფილა დამდგარი.

თვით ჩვენის დროის საფრანგეთის მსწავლულმა ლეტურნომაც ასეთი საუბარი გაუწია ევროპის ერს, თვით ამ მსწავლულმაც ასეთივე გეგმა წარმოადგინა ევრობის ერთა შომავალის ცხოვრების: ნათლად, პირუთვნელად და შორის მცვრეტელობით იუწყა ამ პირმა, რომ ევროპის სახელმწიფოებმა რომის იმპერიის წესწყობილების მსგავსს გზასა და კვალს თავი გაანებოსო, თორემ მომავალში შასაც რომის მხვედრი დახვდება გზაში. იგი არ ასცდება მასაო. ამ მოძლვრების თანხმად ევროპის ერთა წინაშე სხვებისაგანაც ბევრი რამ იქმნა წარმოთქმული, მაგრამ საუბედუროთ კი მრავალთაგან. არა იქმნა ეს შეწყნარებული და დღესაც განვითარების მექონიდა შეძიებელი ევროპა თითქმის ხელს უწყობს თავის დასაღუპიდა შესარცხვენს. წარმატებას, თავის ჩემს მტერს — ეს მტერი არის უმრავლესობის სილატაკე, ადამიანურს ცხოვრების მოკლება, დავრდომა და ბევრიც სხვა საქმენი, რასაც შედეგათ მათხოვართა გამრავლება მოსდევს და უმრავლესობის გახრწნა და დაღუპვა.

რუსის გამოჩენილი მწერალი ტკაჩოვი სწერს, რომ ევროპაში ორს კაცზე ერთი მათხოვარი მოდისო. ეს არ შეჰქერის ევროპას, ქრისტიანობის აღორძინების შეძლევიდამ მო-

ისმის ძმათა და ლატაკთა სიყვარული, თვით მქადაგებელნიც
ამას გვაუწყებენ მაღალის ხმით, ზარის რეკვით, ცრემლით
და ლიტანით და ნუ თუ სირცხვილი არ უნდა იყოს გვრო-
პისთვის ეს, რომ დღეს, ორს ან სამს კაცზე ერთი შათხოვარი
მოდიოდესო?!

გამოჩენილი ეკონომისტი ჯონ სტუარტ მილიც მეტად
უნუგეშოდ უმზერს ამ ლატაკთა და შათხოვართა მდგომარეო-
ბას და ცხოვრების პირობებს. ბევრნაირად არჩევს ეს პირი
ამათ ცხოვრებას და უკანასკნელ იმ დასკვნას ეძლევა რომ
ასეთ ლატაკებს არაფერი ეშველებათო, გინდ მათ მთელი
ქვეყნის სიმღიდოები რომ გაუყოთ და გაუნაწილოთ. ე. ი.
ამათ მოსასპობად სრულ სხვა ზომებია მისაღებიო, სულ სხვა
ვზა და ხერხია საჭიროვო. აქ იგულისხმება სრულიად გარ-
დაქმნა თანამედროვე სახელმწიფო წესების მართვა-გამგეობისა.

მალტუსი, ამ საოცარს გვამს, ამ უდიდეს დამკვირე-
ბელს ბუნების საიდუმლოებათა, მან, ვინც წარმოადგინა
ქვეყნის დასასრულის ხანაც კი, თუ როგორ გადის, დრო,
როგორ ილახება მიწის ნიაღაგი, როგორ ჰყარგავს იგი თვის
ნიაღაგს, მზე როგორ ილევა, როგორ ნელდება, ამის სამაგიე-
როდ სხვა არაფერი სჩნდება და უკანასკნელ როგორ იყინება
მთელი სამყარო, დედამიწა და მასზე მცხოვრები კაცობრი-
ობა. ეს გვამი ბრძანებს, რომ შათხოვრობას ლვთაებრივი ანუ
ბუნებრივი კანონები აფუძნებსო უამისოდ მისი დაფუძნება
ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ შათხოვარი, როგორც
მღვთის განგებით გაჩენილი უნდა განთავისუფლებულიყოს
ყოველ ნაირის პიროვნულის, პასუხის გებისაგანო ესკი სე-
ჭვრი მალტუსისაგან მათხოვართა სასარგებლოდ. მაინც
მალტუს ღრმა შეხედულება აქვს კაცთა ცხოვრების არსე-
ბობაზედ.

გამოჩენილი კერიც ეხება ამ სენა და დიდის სიბრალულით
მოსავს მისი კალამი აღწერა «სოციალურის მეცნიერებისა».

ცნობილი ისტორიკოსი მიშილეც ეხება სილატაკეს, მათხოვრობას და ასეთ საგნებს, ეს სახელოვანი მსწავლული ისტორიკოსი ბრძანებს, რომ «მათხოვრობის ამოფხერა არის ფილოსოფიის ქვა ახალს ცივილიზაციაში» კეშმარიტად რომ ეს ასეა, ამას მტკიცება და ფიქრი არ უნდა, მხოლოთ დღევანდელის ევროპის საქმეა რომ ეს ფილოსოფიის ქვა როგორმე აღმოკვეთოს ევროპის ერთა ცხოვრებაში და დღევანდელ ლატაკია მდგომარეობას სულ სხვა სახე და მიმდინარეობა მისცეს.

ზოგი ურთი მწერლები და მათ შორის დ. პისარევი რუსულს მწერლობაში შემდეგი შეხედულებისა არის. საპყარ მათხოვრების დახმარების მოვალენი ისინი არიან, ვინც ეს გვამნი მათხოვრათ ჩაგდეს, ჩვენ რაც გინდა ბევრი უშველოდ, მაინც იმდენს ვერას უშველით, მაინც იმდენს ვერას მივსცემთ, რომ იგი სამუდამოთ მოვაშოროთ მათხოვრობას. ეს იქნება მხოლოდ დროებითი, თორემ შემდეგ მას მათხოვრობა თავიდგან მაინც არ ასცდებაო. იგი ისევ მათხოვრად ჩავარდებაო. მოისპოს ის წესები რაც მათხოვრობას ბადავს, და მაშინ მოისპობა თვით მათხოვრობაც, თუ არა და მცირე მათი ხელის გაწვდით არაფერი გამოვა და იმათაც მოვაშორებთ მათ მზრუნველობას თავიდგან ვინც მოვალენი არიან, რომ მათხოვრებს უპატრონონო. სხვები ამის წინააღმდეგნი იყვნენ და სწერდნენ შემდეგს:

მათხოვარი როცა მოგადგება კარებზე, იმის განსჯა აღარ შეიძლებაო, თუ იგი მათხოვრად რათ ჩავარდაო, ჩვენ იმ წუთაში მის ცხოვრებას კრიტიკის თვალით არ უნდა შევხედოთ თუ იმ ნიმუშში იქმნება ის მშიერი არის, იმისაგან შეწუხებულა კიდეც, ამ განწირულების დროს მას დახმარების მაცემა უნდა, რომ წუთიერის სილატაკისაგან თავი იხსნას, მშიერი არ მოკვდეს, და ცნობილი ფიქრებით შერე შეიძლება რომ კაცი მოეპყრას ისე, როგორც საჭირო იქმნება. ანუ ქვეყნისთვის სასარგებლო.

ლეონ ფოშეც მეტად სამწუხარო ამბებს სწერს, ინგლისის
მუშა და მურომელ ერის შესახებ. ამის სიტყვით, ინგლისში
ისეთ წრეთა დაწესებულებანი და ხალხი ყოფილა, რომელ-
ნიც პირდაპირ მათხოვრად ჩაითვლებიან. იქ არიან ისეთი
ღირიბ ღატაკ მათხოვრებიც, რომელთაც ცოლქმრობაც აქვთ
და რომელთა ცოლები სანაგვეზე შობვენ შვილებსაო. რომ
დავაკვირდეთ ამ კითხვებს, ჩვენ ერთობ ბევრს ცნობებს ვპო-
ვებთ სხვა და სხვა მწერლებთ ნაწერებში სიღატაკის და
მათხოვრობის შესახებ. ამ კითხვებს ყოველთვის ჰყოლია თა-
ვის წარმომადგენელნი და კითხვების შემმუშავებელნი, და
ვიდრე კაცობრიობა იქმნება ამ წესებით დედამიწაზედ, მინამდის
ცხადი საქმეა, რომ ამ კითხვებს თავისი მფარველნი, შემუშა-
ვებელნიც არ მოაკლდებიან, რადგანაც ეს უბედური სენი
არის კაცობრიობის სატკივარიო, ამან დაასნეულა მრავალ
სახელმწიფოთა წესწყობილებანი, ამან დაასნეულა და გააწყა-
რო მრავალ ტომის ერნი, ამან აღგავა იგინი დედამიწის პი-
რიდგანა, ამან გააქრო თდესმე ყოფილის ძლიერის სამეფოს
ტომის სახსენებელიო.

მორალისტებს გაჰყვანდათ ის პაზრები, რომ მათხოვრებს
დახმარება უნდაო, ამასვე ჰქალაგებდნენ სოციალისტ პასტო-
რები, სოციალისტ ულტრა მონტები, სოციალისტ დაბადე-
ბის მიმდევარნი და სოციალისტ სახარების მიმდევარნი *)
ყველა ეს გვამნი დიდის გულსმოდგინებით იყვნენ აღვსილნი,
ყველა მათ უაღრესად სწამდათ ღატაკთ დახმარება, პატრო-
ნობა და მის მეოხებით მოსპობა სიღატაკის და მის წარმო-
მადგენთ მათხოვრების. ყოველგან და ყოველთვის ასეთ ბჭობას
და კამათს ყველა სამღვდელოებაც კარგის თვალით უმშერდა
და თვითაც ეთანხმებოდნენ მოაზრებებს და კამათსა და ბჭო-
ბაში მონაწილეობასაც იღებდნენ. ამბობინენ მრავალნი, რომ
სამღვდელო პირნი ამას იმიტომ ჩადიოდნენო, რადგანაც მათ
განზრახვა ჰქონდათ. რომ ასეთის დამოკიდებულებით და თანაგ-

*) „თანამედროვე სოციალიზმი“ ემილ დე ლაველისა.

გრძნობით მკაცრათ დაემკირებინათ და უარ ეყოთ სოციალისტ დემოკრატთა მოძღვრებანი, ნიგილისტებთა და რევოლუციონერთაო. ასეთი მოქმედებით მოძღვარნი გლეხთა-მუშა ხალხზე ერთობ კარგს გავლენას ახდენდნენ და სახელსაც იმსახურებდნენ. ასე თატატურად მოქმედებდნენ ეს გვამნი. ასეთს საქმეთა შესახებ ერთ მაჯალითს კიდევ მოგახსენებთ.

გერმანიაში მკაცრად აღორძინდა უკიდურესი მიმართულება; ამ უკიდურესობას რასაკურველია თავისი გასამართლებელი საბუთები აქეს, თავისი გზა და კვალი, ბევრში ჩვენ ეს უკიდურესობა კანონიერად უნდა მივიღოთ, ზოგში შეიძლება მცირე უთანხმოება განუცხადოთ. უკიდურესის მიმართულებით აღვსილნი იყვნენ ისეთი სპეციალისტ მსწავლულნიც კი როგორც იყო, ფოხტი და შლეიდენი, ესენი არ იყვნენ კუმინისტური აზროვნების მეძიებელ მებრძოლ მფარველნი, მაგრამ რაც იყვნენ და რა სამეცნიერო გზასაც და საგანსაც ადგნენ, იქაც მაინც ზემოხსენებულ მიმართულებას უყურადღებოთ არ სტოვებუნენ, უყველაფერს პატივს სცემდნენ და სამეცნიეროს მსჯელობით უფრო დიდებით და ჭეშმარიტებით მოსავდნენ, უკიდურესობა ამათის შრომის მრავალთაოვის სახუმაროა აღარ, იყო, ამათ წინააღმდეგ ბრძოლას და კამათს ბევრნი ადვილათ ველარჩებედავდნენ, რადგანაც ეს გვამნი მსოფლიო მეცნიერებად ითვლებოდნენ. ერთხელ შლეიდენმა თავის სამეცნიერო საგანო შესახებ ლექციები წაიკითხა კითხვაზე დაესწრნენ მრავალნი გამოჩენილნი მეცნიერ მსწავლულნი და თვით გერმანიის სამღვთდას მეტყველო ფლოსოფიის სწავლის მიმდევარი პასტორებიც. შლეიდენმ ლექცია ასე თააბოლავა: — «ერთს ათხეხში მშვენიერი ხორაგულობა ეწუობა და იგი დასაჭიროათ დაშთება და იმავ დროს იმავ სახორაგე თთახის გვერდით, მეორე თთახებში მშენები ხალხი იქმნება და ესენი მშიგრები და გაჭირებულნი იქმნებიან, მინამდის მე არათერს დავიჯერებ, თუ რამ დასაჯერია, მაშინ ასეთი უწესოება არც უნდა არსებობდეს

ერთა შორის ცხოვრებაში «... მეცნიერ მსწავლულის ასეთ აზრს ვრთი მსწავლული მღვთოს მეტყველი პასტორი წინააღმდეგი გაუხდა. ამან მსწავლულ ლექტორს იქვე სიტყვა მიუგო ასე:

მსწავლულის შლეიდენის შენიშვნები ჩვენ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნია, ჩვენ გვწამს ყოველივე იმ სახით და ისე, როგორც შლეიდენს სწამს და სჯერა, — მაგრამ დღეის კაცობრიობის უმრავლესობისათვთს იგი სახმარად ვერ გამოდგება, რადგანაც მათი გონება ჯერეთ ისე არ არის ალორძინებული და წინ წასული, რომ მას შეეძლოს ამა თუ იმ ყოველი ჭეშმარიტების სინათლით გაგება, ვაი თუ მოუმზადებელი გონება ისეთის მოძღვრებისაგან უფრო შეირყიოს და მას დიდი ვნება მოჰყვეს მომავლისთვის. ხომ მოგეხსენ ებათ კაცობრიობის დღევანდელი გონებითი და ზნეობითი წარმატების ზომა. როცა იგი ამით დაწინაურდება, მაშინ ჩვენ შლეიდენის პაზრების წინააღმდეგნი სულაც არ ვიქნებით, რადგანაც მას გონივრულად მომზადებული თავობა გონივრულადვე გამოიყენებს და სადღეისოთ კი იგი უდროვოდ მიგვაჩნია უმრავლესობის-თვისოთ.

ამ პასუხს შლეიდენმა კვალაც მისცა მშვენიერი პასუხი და დააბოლავა, რომ „მე თქვენთან, როგორც უასულიერო პირთან არ მინდა ამას შესახებ კამათიო“.

საფრანგეთშიაც ასევე იყო და აქ უფრო მკაცრად იღვწოდნენ სილატიკის მოსასპობათ, ღატაკთა და მათხავართა დასახმარად. ამის შესახები ქადაგება საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნიდგან ალორძინდა და ამ ალორძინებას მეტათ გამოჩენილი გუნდი ჰფულობდა. გუნდი მეცნიერების, ენციკლოპედიის ტების და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვანი. ამ ბრწყინვალე პირების ღწვამ ეს კითხვა მეცხრამეტე საუკუნეში უფრო სხივოსნობით შემოსა, იგი უფრო საყურადღებოდ გახდა. ამ სენმა გაიტაცა მრავალთ ყურადღება და გერმანიაში თუ მას მარკსი, ლასალი, ლიბკნეტი, ბებელი და თვით ნასწავლ

ფიზიალოგებიც ჰყვანდნენ, საფრანგეთში თვით დიდებულ ისტორიკოს ფილოსოფოსებიც გაუჩნდნენ, როგორც კონტი, ლუი-ბლანი, მიშლე, პრუდონი და ბევრნიც სხვები. ამათ ნიადაგს მოჰყვა რესპუბლიკის გამგეობის დროის მთელ მსწავლულთა ძალა და ღწვაც, რომელნიც აუცილებლად ითხოვდნენ სილატაკის და მათხოვრობის დამხობას და მოსპობას.

თუმცა მათხოვრობის დასამხობად ჯერჯერობით თვალთ საჩინოთ თანამედროვე მსწავლულთ მწერალთა და მებრძოლთაგან ბევრი არაფერი გაკეთებულარა, მაგრამ რაც გაკეთდა, რაც კეთდება, ის შედარებით წინანდელ განაკეთზე ბევრად მაღლა დგას, ბევრად წინ არის წასული, ამის შეზარება არც კი შეიძლება, რადგანაც ყოველივე წინ მიღის, წარმატებას ეძლევა, კაცუბრიობა რასაც თავის სავალდებულოდ გუშინ ვერ გრძნობდა იმას დღეს გრძნობს. მაცხოვრის დაბადების შემდეგ ყველაფერი წინ მიღის, ყველაფერი წარმატებას ეძლევა. 32 ბევრნი ამბობენ, რომ წინეთ უფრო კაი დროება იყო, ვინებუ დღესათ. ეს ტყილია. წინანდელს ერს თვის ბედასლობის და უხეირობას სულ არაუერი დაკვირვება ჰქონდა. იგინი სულ ვერაფერს გრძნობდნენ. მათთვის ყველაფერი ფარდა დახურულად იყო, — დღეს კი, მაღლობა ღმერთს, ეს ისე აღარ არის, დღევანდელი თავობა გრძნობს ისეთ საგნებს, რის გრძნობის წარმოდგენა ძველებს სულ არ ჰქონდათ, და ახლა, მომავალში, რაგვარ წარმატება მიეცემა, აშას ფიქრი არ უნდა, რასაც კაცი ელტვის და ებრძვის, ცხადი საქმეა, რომ ის მომავალში წინ წაიწევს, მომავლისთვინ აღორძინდება, მას წარმატება მოელის, რადგანაც ამ წარმატებას თვით კაცუბრიობაც ელტვის გამუდმებულის ბრძოლით, შრომით და ღწვით. ფიქრი არ უნდა, რომ ცდა ოდესმე თავისას გაიტანს, ადგესმე კაცუბრიობა მისწვდება თავის საწადელს. ამ წარმატებას ვერავინ დაუდგება წინ. მას ვერაფერი შემუსრავს. ამის საწინააღმდეგოდ რკინა გააწყობს რამეს, ვერც სიპი 2

კლდე, ვერც ხმალი, ხანჯალი და ოოფ-ზარბაზანი. რასაც მეცნიერება, ფილოსოფია და ახალი ძალა უმხრობა. მომავალიც იმისია, მას მოელის დღესასწაული, აღორძინება და აღდგენა. დღევანდელი ყოველი „კეთილის“ ვალს შეადგენს მომავლისითვის მათხოვრობის და სილატაკის მოსპობა.

მათხოვრობა — ბევრის მსწავლულის თქმით არის კაცობრიობის ლაფი, შერცხვენა, სამარცხვინო ნიშნები, კაცის ველურება, ნადირობა და ბევრიც სხვანი, რასაც ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით. კაცის ჯონებამ როგორც დასკა მონება, როგორც ალადგინა პევრი რამ ნათელი შეხედულება კაცობრიობის ცხოვრებაზე, ისევე მან მომავალში უნდა მოსპოს ხალხში სამარცხვინო სილატაკე, მათხოვრობა და ამისთვის ცრემლების ღვრა, თორემ უკანასკნელ თვით ეს სენი გახდება მრავალთა ტომთა განსაკლელათ, თვით ეს სენი ჩაითრევს ბევრს ერს და მას ისე შეუმჩნეველად ჩანთქავს, რომელსაც აღმნიშნავი და კარგათ დამკვირვებელიც არ ეყოლება. ამ სენის გაფრთხილებისთვის ამ უკანასკნელს დროს ევროპას ლეტურნომაც აუწყა. თუ ამას ევროპის ერმა ყურადღება არ მიაქცია და თავიდგან არ აიცილა თავის ჩუმი სენი, თავის დამღუპავი ძალა, თავის გახრწნა, მაშინ მომავალში აღვილათ მოხდება, რომ სპეციალის, მაღატუსის და ტენის ბრძანების თანახმად ისე აირევიან ერთმანერთში, როგორც ცეცხლი, ზეთი, ნავთი და წყალი ერთმანერთში, მერე რა მოჰყვება ამას, ეს უეჭველია შესმენილ მკითხველს მოეხსენება.

მათხოვრობას რომ დიდი შიში მოელის და მას შეუძლიან დიდი ვნებაც მოუტანას კაცობრიობას, ამაზე კარგად მარტავს 6. შელგუნვი. თავის ერთს წერილში, გამოჩენილი ფლეროვსვი და ბევრიც სხვები ვინც კი შეპხებიან ამ ბეჭმავ ხალხს და მათ მწარე მდგომარეობას. და შეწუხებულს ლუკმას. ამათ და სხვათა მწერალთა შეხედულების დასაჭიშმარიტებლად ჩვენ მივიღებთ სახე ში თუნდ ჩვენს მდგომარეობას და ჩვენს სამეფოის დასასრულს, თუ ერთხელ აყვავებულ

სამეფოს როგორ შეუმჩნევლად მოელო ბოლო ისეთ დროს, როცა მას რომ წინეთ ჰქონდა ბოლო მოღებული, ხოლო იმ დროს უნდა მობრუნებოდა ბედის ვარსკვლავი. საქართველო დაემხო ისეთ დროს შეუმჩნევლად, როცა დამხობილი უნდა აღორძინებულიყო. მაგრამ ეს ისე არ მოხდა, და მოხდა ის, რასაც საქართველოში ნიაღაგი აღრიდგანვე ემზადებოდა, რასაც ქართველნი თითქოს არც კი გრძნობდნენ და არც ამჩნევდნენ. მაშ მე აჭედგან დავიწვებ ჩვენებურ მათხოვრების შესახებ და მას მცირეთ ისტორიულათაც გადავავლებ თვალს, ცხადი საქმეა, რომ იგი არ იქმნება მეტი.

როგორც სჩინს ჩვენის ისტორიულის წიგნებიდგან, საქართველოში მონება, მდაბალ-მაღალთ განსხვავება სწორეთ იმ სახით ყოფილა, როგორც რომში და ათინაში. აქც თითქმის ისივე ხანა და ხანა უვლია ხოლმე ქართველ ხალხს თავის ცხოვრებისა. მას გაუკლია ბევრ ნაირი წეს-წყობილება, არ დარჩენილა არც ერთი წეს-წყობილება ძველის ხალხებისა, სახელმწიფოის, იმპერიულის, თუ რესპუბლიკანური, რომ მას ძველათვე არ განევლოს. მამასახლისური წეს-წყობილება მე პირ და პირ რესპუბლიკურს წესებად მიმაჩნია. ვინც კი გაიცნობს მამასახლისურს წესებს, ის ამაზე ცხადათ დარწმუნდება. ერთის სიტყვით, რაც კი ძველს ხალხთა შორის რამე წესები ყოფილა—იგივე შემოუტანის ქართველთ. ამასვე ამტკიცებს ცხადად თვით კანონ მდებლობაც. ჩვენი კანონ მდებლობის-წეს რიგი პირ და პირ სხვათა სახეს წარმოადგენს. როგორც ასეთის საქმეებით გყოფილვართ სხვებთან დაახლოებულნი, ისევე გლეხკაცების ცხოვრების მდგომარეობით, მუშა ხალხის, ღატაკების და საპურების.

ქრისტიანობის მიღებამ და გავრცელებამ შევრი რამ ამოაგდო და ამოფხვრა ჩვენში, ბევრი რამ მოსპო ძველის წეს-წყობილებისა, ბევრი რამ დამხო ისე, რომ მის ნატამალიც არ დაშთა. ასეთს ცვლილებითი ცხოვრების სახეს წარ-

მოადგენს მუშაკთა, გლახაკთა და მონათა ცხოვრების ცნობები. კარგად სჩანს. რომ ქართველებს გლახები ძველათვე სკოდნიათ. ჩვენ ძალიან შორს არ წავალთ, ქართველთ. შორის გლახაკნი, ღატაკნი და მათხოვარი რომ ძველიდგანვე იქნებოდნენ გამრავლებულნი, ამას ფიქრი არ უნდა, ეს კანონი იყო ძველად ყველა ძლიერი სახელმწიფოებისა და ცხალი საქმეა, რომ ეს ასევე იქმნებოდა საქართველოში ქართველთ შორის. რამდენიც სახელმწიფო მაღლა იწევს და ერთი ნაწილი მისი მაღლდება, იმდენად მეორე კედაროს შეუძლოთა რიცხვიც უფრო ფართოვდება-მათხოვრობა და ასეთი წესები ერთი ათად მრავლდება-მატულობს.

შოთა რუსოველი გლახაკთა საქმეს, შეწყალებას, შებრალებას და დახმარებას დიდის თანაგრძნობით უმზერს. სამღრთო ვალად სდებს მათს მფარველობას, პატრონობას და დახმარებას ყოველისფრით. მეფეთათვის უფრო სავალდებულოა გლახაკთ შეძერობა, მონათ თავისუფლება და სხვანიო. ცხადი საქმეა, რომ ამ დროის ქართველთ შორის მონება, სიღატაკე და გლახაკობა წინ არ ყოფილიყო წასული, უამისოდ შოთა რუსთაველი არაფერს დასწერდა. „ვეფხვის ტყაოსანში“ ამის ხსენებაც არ იქმნებოდა. „ვეფხვის ტყაოსნის“ „ხანაგა“ — საგლახავო გახლავსთ.

იოანე შავთელიც დიდის სიბრალულით უმზერს ღატაკთა და გვემულთა, ეს პირი აქებს. ყველა იმ გამგებლებს, თუ სხვებს. ვინც ამ ხალხისთვის იღწვის, ვინც ამათს დახსნას და თავისუჯლებას საჭიროებსო. ეს პირი ქება-დიდებით ახსენებს მეფეთა მოწყალების გამო, რომელსაც იგინი მათხოვრებზე და ღატაკებზე გაიღებდენ, იოანე შავთელს თუ ამის მოსაზრება ჰქონდა და ღატაკთ დახმარება დიდს საქმეთ მიაჩნდა, სჩანს ეს წესები და ღატაკთ რიცხვი აყვავილებულს საქართველოში დიდი ყოფილა.

ჩახრუხაძეც მოწყვალებით უმზერის მათხოვართ, ლატაკთ, და გლახაკთ. ესენი აუცილებლად ითხოვენ მეფეთაგან ამათ დახმარებას, ხელის შეწყობას, ფეხზე დაყენებას და სხვანიც მრავალნი, რაც მათს ნაწერებში ნათლათ ბრწყინავენ აქა იქ, რასაც დაჭეშმარიტება და საუბარი არ დასჭირდება, რადგანაც იგი ჭეშმარიტება არის.

ემ მწერლებთ გარდა ქართველთა ძველი სხვა და სხვა მწერლებიც კაის თვალით ეხებიან მათხოვართა მდგომარეობას. იგინი თავიანთ ნაწერებში მათხოვარს არ ასახელებენ, არამედ „გლახაკთა, უღონოთა, დავრდომილთა“. ჩვენ ყველა ესენი მათხოვრებათ მიგვაჩნია მიტომ რომ ამათზე მოწყვალების გაღება ისეთის კილოოთია ნათქვამი, ლატაკი ისეთ ნაირად არიან დასურათებულნი, რომ იგინი უსათუოთ გლახაკნი და ბოგანონი (პროლეტარი) უნდა ყოფილიყვნენ.

მრავალნი უწყიან, რომ საქართველოში სილატაკე და მათხოვრობა ძველათვე იყო ამოვარდნილ-მოსპობილი და მიტომაც სილატაკის, მათხოვრობის და ასეთ ცნობებს ადგილიც არა აქვს დათმობისა ჩვენს ისტორიაში. ასეთი ჰაზრები ჩვენ ერთ მხროვან ჰაზრებათ მიგვაჩნია. ეს არ არის ჭეშმარიტი, საქართველოში სილატაკე, მათხოვართ რიცხვი და შეუძლო უპატრონოთა რომ საკმარისად დიდი რიცხვი ყოფილა ამას ეჭვი არ უნდა და ამასვე აჭეშმარიტებს საქართველოში აღგებული მონასტერ უდაბნოები. საღაც ქართველთ მამანი მათხოვართა, გაჭირებულთა, შორით რებულთ მათხოვართა დავრდომილთათვის საზოგადო პალატებსაც აკეთებდნენ, საღაც ათვესებდნენ ასეთ ლატაკებს და ამ ლატაკებს თვით მონასტერი და მისი ძმობა ჰქვებამდა. თვით იგინი ინახავდნენ სახელმწიფოს დაუხმარებლად, ძველათ მონასტერებს ასეთი სამსახური კისერზე სამლოცვალთ ედვათ, ესენი ამით იხდიდიდნენ. თავიანთ მოვალეობას. ცოტა არ იყოს და ბერე-

ბის ასეთ საქციელს ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა რომ იგი ქართველთ შორის თვალთ საჩინოთ სპობლა მათხოვართ რიცხვს, ღატაკთ, ვრდომილთა და სხვანი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წვეთი ზღვაში ჩავარდნილი, ამით არა მოხდებოდა რა ქართველთ წინაშე, საერთოდ აქ არაფერი მოისპობოდა, რადგანაც თვით ქართველთ ნიადაგი და სამეფოს სხეული ამ სენის ხელ შესაწყობათ იყო განმზადებული და მეორე თვით ქართველი ხალხიც არ იყო მეტათ დამცირებულის ხასიათების, რომ მათ ადვილათ გაებეჭნათ და მათხოვრობა დაეწყოთ. ქართველ კაცში ეს მოხდებოდა მხოლოდ დიდის გაჭირების შემდეგ, დიდი ვრდომილების შემდეგ და სასოწარკვეთილების. მაშასადამე როცა ქართველებში მათხოვრობა წინ წავიდა, მაშინ იგი ისეთის გარემოებისაგან წარმოიშობა, იგი ისეთია მწარე პირობებში დაბადა რასაც ქართველი კაცის მორცხვი გონება ველარ შეუშინდა, ალარ შეუდრკა და მწარე სვე-ბე-რისაგან დასჯილშა იკადრა თხოვნა—ანუ მათხოვრობა.

მეორე: ჩვენი სამეფო არც ისე უცოდველი არსება გახლდათ და ისე წმინდა საძირკველზე აღორძინებული, რომ აქ ღატაკი ხალხის რიცხვი არ ყოფილიყოს. ცხადი და აურდვეველი ჭეშმარიტება გახლავსთ, რომ სადაც სახელმწიფო წესები მაღლა იწევს, სადაც შეძლების ქონების და ფულს დიდი მოთხოვნილება აქვს, სადაც მაღალი წოდება ფუფუნებით ცხოვრებას ეძლევა, რომ იქ უმცირესნი და ლატაკი კი არ ყოფილიყვნენ. ეს საზოგადო კანონია ცხოვრებისა, ამას ვერც ერთი ერი ვერ ასცდა და რაღა ჩვენ ავსცდებოდით. ასე იყო თუ ისე იყო, ნურავინ იტყვის იმას, რომ საქართველოს დიდებულთა და კარგათ მცხოვრებთ ქართველთა გვეზრდით მცირებულნდ და ღატაკი კი არ ყოფილიყვნენ, ბოგანონი და საპარნი. შეიძლება ეს იყოს სადმე, მაგრამ

იქ ამისთვის სრული წესიერება უნდა არსებობდეს და მასთან-
ვე მამულის საერთო მფლობელობა, ანუ კომუნა.

საქართველოში, მართალია ძველათვე ყოფილი მამულის
საერთო მფლობელობა, ძვალათვე სცოდნიათ ქართველთ
ამის ვითარება, გემო და ხასიათი, მაგრამ ესეთი წესები ქრი-
სტიანობის გაფართოვების შემდეგ მოუსპიათ. მთელ საქართ-
ველოში მოსპობილა საერთო მფლობელობის ხმა და ამას მოჰკ-
ყვა სრულიად დარღვევა სამეფოსი და ერის ცხოვრებისა.
საქართველოში ყველა ასეთ წესებმა სხვა სახე მიიღო, სხვა
ნაირათ შეიცვალა, სხვა გზაზე წარამართ. ქართველთ შორის
მამულის საერთო მფლობელობამ დავარდნა იწყო, საქართველოს
ალორძინების შემდეგიდამ კი საერთო წესებმა ვრდომა იწყო.
ამ გვარის წეს-წყობილების სახე ზოგი ერთ შეფეებმა
გაიხსენეს, და ომში ყოფილ გმირ გლეხთა შვილებს მამულის
საერთოს მფლობელობით აჯილდოვებდნენ, მაგალითებრ,
დიდათ გამოჩენილ მეომარ გლეხთა შვილებს მამულის მართვა-
ში სრულს უფლებას აძლევდნენ, ასეთს მაგალითის დამტკი-
ცებას წარმოადგენს ჭიშიყი და მთიულეთი, მთიულეთს
ვის სხვანი და მასთან დასავლეთ საქართველოში.
თი, მურლულის ხეობა და ზოგი ერთიც სხვა
ადგილები. მიზეზები ამის ის გახლავსთ.

ძველებური მამულის საერთო მფლებური მამული მამული და
კუთხეებს ქართველთა მტრები ხ. ამ კუთხეებს ქართველთა მტრები ხ.
ანიავებდნენ ხოლმე, ხსენებული მ. კლებული იყო
მტერთაგან ისე, რომ ხსენებულ მხრის გლეხ-კაცობის არამც
თუ სამეფო ხარჯის გადახდა, ან ბატონის ხელში ყმათ ყოფ-
ნა, არამედ თავით ცოლშვილის შენახვაც უკირდებოდათ,
ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში იყვნენ გარეშე. მტერთაგან
შთაცვივნულნი. აი ქართველთ მეფეებმა ამასაც შეხედეს,
გაიხსენეს მათ თავ გამოდებული ბრძოლა ყველაფერში და
ამიტომ გაანთვისუფლეს იგინი როგორც ბატონის სამსახუ-

რისაგან ისევე სახელმწიფოთაგანაცა და საშვილიშვილოდ მათ
დამკვიდრათ ცხოვრების მოსაპოებლათ მამულის საერთო
მფლობელობაც უნდა შეინაშნოს დაჭეუმარიტებით, რომ ამ
კუთხეებში ისე არ იყო გავრცელებული გაჭირებულ და და-
ცემულ ქართველთ რიცხვი, როგორც სხვა კუთხეებში, მაგა-
ლითებრ ქართლში, კახეთში, იმერეთში და ასეთ სხვა ბარის
ქართველებში. მაგრამ ვიტუვით იმასაც. რომ იქაც იყვნენ
თითო ოროლა ისეთი გლეხები რომელნიც რაღაც მანქანების
მეოხებით მამულის საერთო მფლობელობით ვერ სარგებლოა,
ბდნენ, ამიტომ იგინი წარმოუდგენს სილაშაკეში იყვნენ
შთაცვივნული. ეს ცხადათ დაამტკიცა იმ გარემოებამაც რო-
ცა (1873 წ.) ქიზიყში შიმშილობა იყო. აქედგან დიდი ძალი-
არამც თუ დროებითი მათხოვრები აღმოჩნდნენ თფილისში,
არამედ სამუდამო მათხოვრებიც კი, ამ მათხოვრებით გაიმსო-
ქალაქის ზოგიერთ უბნები და ნამეტურ თბილისის ავლაბარი.
მე ხშირად დავდიოდი ამ მათხოვრებთან და საუბარი მქონდა
მათი ცხოვრების ძწარე მდგომარეობის შესახებ და იგინი
გულ-ამოსკვნით დასტიროდნენ თავიანთ ბედს, ამბობდნენ
რომ ჩვენში ბევრი ისეთი გლეხთა ოჯახებიც გახლავსთ, რო-
მელთაც ლუკმა პურიც კი ენატრებათო, უმეტეს ნაწილს
ესენი შიმშილობის დროს ბალახით იკვებებოდნენ, პურის
მაგიერ მარტოდ ბალახებს ხმარობდნენ, ამაზე იმ დროში გა-
ზეთებშიაც სწერეს. ეს უფყუარი კეშმარიტება არის. ამ დროს
გაითქვა ქიზიყელ მათხოვართ დედაკაცთა და კაცთა ამბები,
რომ ქიზიყელები საშინელი მათხოვრები არიანო.

ამ შიმშილობის დროს ქართველმა ხალხმა დიდი გულ-
გრილობა გამოიჩინა; ქიზიყელთა მათხოვართა მდგომარეობას
არავინ მიაქცია ყურადღება, მათს დასახმარეთ თფილისში. გა-
ზეთ „დროების“ მეოხებით კომიტეტი დაარსდა, ფულის მოგ-
როვება დაიწყება, მთელს ქართველთ შორის 600 გ. შეიკრიბა
„მშაკის“ რედაქცია; 10 მ. შესწირა. ამით დაბოლოვდა საქმე,

იმავე დროს, სამარაშიაც იყო შიმშილობა და სამარაში კი 5000 მანეთობით იგზავნებოდა თფილისიდგან. ქიზიყი კი საკითხათაც არავის გახსენებია. მაშინ ქიზიყელნი მრავალად დალისტანები გადაცვივდნენ, იქ ლეკებს დაუკავშირდნენ და ბოლოს ისლამიც მიიღეს, რომ მის მეოხებით მათხოვრობისა- გან თავი ეხსნათ. ასეთ ქართველთ რიცხვი ლეკებში დიდია. გარდა ამის ამ მათხოვრობის მეოხებით მგზავრობაშიაც დიდი ძალი ქართველობა გაწყდა, რაღანაც იგინი გაჭირების დროს მძიმე ტვირთსაც ველარ იტანდნენ. თფილისში დღესაც ნახავს კაცი მაშინ ქიზიყიდგან მოსულს მათხოვარს და ამას იქით დაბრუნება რომ აუწყო, იგი გაკვირვებით შემოგხედავს და გეტყვის: რა დამრჩენია იქით ძმობილო, რომ ადვილად მგზავნიო, იქ, იმ მამულის საერთო ცხოვრების მაგიერ თფი- ლისში ცარიელი ცხოვრება მირჩევნია და სხვანი.

ქიზიყის მსგავსი შიმშილობა ამ საუკუნეში, საქართვე- ლოში ხშირათ არ ყოფილა, ზოგიერთ კუთხეებსაც არ სწვე- ვიათ ისეთი მწარე წუთები, მაგრამ ამ აღვილებში სილატაკე და გაჭირებულთ რიცხვი არა დროს არ მოსპობილა, არაფრათ არ შემცირებულა შიმშილობა არ ყოფილა, მაგრამ მშეერი ხალხის რიცხვი კი ყოველთვის დიდი ყოფილა პატარა ფხიზ- ლათ რომ დაკვირდეს კაცი ხალხის ცხოვრებას და ნამეტურ ქალაქ აღვილებში, ის ცხადათ შენიშნავ ხელოსანთ შორის გარდამეტებულს სილატაკეს. იქმნება თითო ორობრა მათში შეძლებულნიც იყვნენ, მაგრამ უმრავლესობის ცხოვრების სა- ხე კი პირდაპირ სამათხოვრო განმზადებას წარმოადგენს.

როგორც სჩანს, ძველადგანვე ქართველი ერის თვისება, ყოფა-ქცევა და ხასიათები მეტის მეტის მაღალ ხარისხოვნე- ბით ყოფილა დაჯილდოვებული, ქართველთ შორის სილატაკე ყოველთვის ყოფილა, მათხოვართ ცხოვრების სახის შექმნი ლატაკნიც ბევრნი ყოფილან, მაგრამ მათს სილატაკესთან ჩვე- ულებათ არ ჰქონიათ ქუჩა-ქუჩა სიარული და მათხოვრობა.

ქართველ კაცს ძრიელ ერიდებოდა ჭუჩა-ჭუჩა სიარული და ხელის ვაწვდენა, ვისიმე შეწუხება, რაც უნდა სიღატაკეში ჩავარდნილიყო ქართველი იგი მაინც მათხოვრობას ისე აღვილათ ვერ გაბედავდა, როგორც სხვა ჭვეუნელი; მაგალითებრი: სომეხი, აისორი, სპარსი და სხვა ასეთი მილეთის ძენი, ქართველთ შორის ვინმე მათხოვრობას რომ დაიწყობდა, იმას ქართველნი „გლახას“ უწოდებდნენ, ე. ი. არაფრის მაჭნისს, არაფერში გამოსაყენებელს, თუ არ უვარგისი-გლახა მათხოვრად სხვა არავინ „წავაო“, ამიტომ ქართველნი უჯერო მათხოვარს „გლახას“ უწოდებდნენ და კანონიერათ ლატაკ მათხოვარს კი მათხოვარს უწოდებდნენ. მათხოვარსა და გლახას შორის დიდი განსხვავება სუფევდა და დღესაც სუფევს მე არ ვიტყვი, რომ ძველად ასეთს მიღრეკილებას ქართველი ხალხი ისე მკაცრათ ემორჩილებოდა, რომ მათხოვრობა მათში სულ არ არსებობდა.

ძველად, როგორც ევროპის და აზიის ზოგი ერთ ერნი სცხოვრებდნენ, ჩვენ, ქართველნიც ისევე ვსცოვრებდით. წინა საუკუნოებში კი ჩვენს ცხოვრებასა და მათ შორის გარჩევა უნდა ყოფილიყოს, რადგანაც ქრისტიანობის შემოტანამ და დამკვიდრებამ მათში მტკიცედ განავრცლ კომუნის მსგავსი ცხოვრების და შრომის წესები. შემდეგა და შემდეგ ამ მიმართვამ ვრდომა, იწყო, უკანასკნელ მოისპო და ბოლოს და იბადა სულ სხვა სურათი, სხვა წეს-წყობილება, ქართველთა ქვეუნის მრავალ ნაირად არევ-ტარევამ ბევრი რამ დასცა ქართველებში და ერთი ამ მრავალ ნაირთაგანიარის ფეიქრობა და ამ გვარ ნართაულთ ხელობის ცოდნა, რთვა, კერვა, ქსოვა და სხვანი. მეტთვრამეტე საუკუნის დამლევს ასეთს მდგომარეობაში იყო ქართველო ერი.

საქართველოში ტანთსაცმელი, ფეხთსაცმელი, ჩითეულობა და სხვა ყველა ამ გვირები დერთობ ძვირი იყო, ისე ძვირი, რომ მის შეძენას საწყალი, ინ ლატაკი სულ ვერ შე-

იძლებდა. ვერაფერს ვერ მოახერხებდა. ვისაც კი რამის ყიდვა შეეძლო და ჩატანა დახურვა, ის პირი ბეღნიერათ იხსენებოდა. ის კაცი, თუ ქალი თავის ტანთ საცმელით სხვათა წინაშე თითით საჩვენებელიც ხდებოდა. ამის ბეღნიერებას მრავალნი დანატროდნენ. უმეტესი ნაწილი ჩვენის გლეხთა შვილებისა მთლათ ტიტველ-შიშვლები არიან, სოფელში და ქალაჭ ადგილებშიაც სადაც უნდა გაეარნათ ყველგან ტიტველ შიშველა ბავშვებს ნახავთ, საცოდავთ დატიტვლებულებს, ქუდს და ჩექმას ხომ იგინი თვალითაც ვერ ნახავდნენ კარგა გაზრდამდის და ზოგი ვერც გაზრდის ღროს და შემდეგ ელირსებოდა ამ ბეღნიერებას. გლეხის დედაკაცებთ შორის უმრავლესნი ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომელთ აღწერა იქმნება ბევრისთვის არ იყოს დასაჯერი, უკაბობის გამო დედაკაცები კარში ვერ გადიოდნენ, ვინმე სტუმარს ან მგზავრს რომ გაეარნათ მათ სახლის წინ და ამ მგზავრს რამე საქმე ჰქონდა გასაგები და შესატყობი, თუ კაცები არ იყვნენ შინ, დედაკაცებისაგან ვერას შეიტყობდა, რადგანაც დედაკაცები სიშიშვლის გამო სახლში ძვრებოდნენ და არავის ეჩვენებოდნენ. მეტათ ძვირი, მასთან იშვიათო და ბეღნიერ საქმეთ უნდა ათვლილიყო, რომ დედაკაცის ქორწინების შემდეგ თუნდა რიგიან საგვირგვინო ტანთ საცმელს გარდა ერთხელ ლირსებოდა ახალი კარგი ჩითის, ან სხვა რამის ტანთ საცმელი. საქმე ისე ბეღშავათ იყო მოწყობილი, რომ ქართველთ როგორც დედაკაცებთ შორის, ისევე მამაკაცებში პერანგის ამხანაგის ჩატანა გირდა თვით პერანგის ტარებაც კი მიავიწყდათ. ძრიელ ბევრს და ბევრს აღგილებს ნახავდით, სადაც ქალი და კაცი მხოლოდ თითო ფალასის მსგავს კაბებში იყვნენ მხოლოდ გახვეულებში. ეს არავინ იტკიცოს, ჩვენს გარდა მაშინ აზის ქვეყნებში სხვანაც ასევე სცოვრებდნენ და თვით დღევანდელ მუსულმანთა უმეტეს მუშაკთა ცხოვრება ჩვენი საუბრის დამტკიცებას წარმოადგენს, ნამეტურ სპარსეთის ერის მდგომარეობა.

კაცები იყვნენ გახვეულნი ტყაპუჭში, ზეიდგან წელზე, ტყავის უბრალო ქამარი, ზოგი ქალამნით და ლურჯი პერანგის და პერანგის ამხანაგის ამარად, უმეტესი ნაწილი კი უპერანგო და უპერანგის ამხანაგო, ძრიელ ხშირად, ძრიელ ხშირად ნახავდა კაცი უქუდო კაცებს. უმეტესი ნაწილი გლეხების ისე იხოცებოდნენ, რომ ქუდს თვალით ვერ ნახავდნენ და თავზე სატარებლად ხომ სულ არ ჰქონდათ. რაც შეეხება ხანდისხან დღესასწაულებში ან სხვა რამ სალხინოში ახალი ტანთ საცმლის ჩაცმას, არც ეს იცოდნენ და გინდ რომ სცოდნოდათ რითი შეიკერდნენ, იქნება ასში ორი გამორეულიყო რომ უბრალო ჩოხები ჰქონიყოთ ტანზე. შაშინ ისე იყო გლეხების საქმე დაყენებული, რომ ხშირად თვით ტფილისის ხელო სოფლის კაციც კი ისე დაბერდებოდა და ისე მოკვდებოდა, რომ პერანგს და თვით წინდებსაც კი ვერ ნახავდა თვალით. გინდ რომ ჰქონიყო რამე გლეხკაცს, მებატონისაც დიდი შიში ჰქონდათ, რასაც კი ყმა ტანზე, მიიკრივდა რამეს და ჩაცმდა, მას ყოველთვის უნდა შიში ჰქონდა, რომ ბატონს არ ენახა და არ წაერთო. წართმევა სულ ადვილიად იცოდნენ, არავის რას შეარჩენდნენ, რომ ენახათ და მოსწონებოდათ. ვინც უარს იტყოდა, იმასაც თვით ტანთსაც მელს მიაყოლებდნენ, სპარსეთში წაიყვანდნენ და იქ ერთ ხალათზე გაჰყიდნენ. რამდენიმ ამისთანა შაგალითები თვით ჩვენს ისტორიაში, რომ მებატონეებს თითო ხალათის გული სოვის დაუყიდნიათ ახალგაზღა ქართველი რჯახის ბურჯი. ეს გაყიდვა-გამოყიდვა ჩვენში ხელობათ იყო გამხდარი. ყოველი მებატონე ადვილათ ახერხებდა და იმეტებდა თავის ყმის ერთი ხალათის გაყიდვაში. სპარსეთ გარდა სწარმოებდა თვით ახალ-ციხეშიაც. სამალებზე, სულ უბრალო ფალას-ფულა-სების გამო. ასეთ დაყიდულ გლეხთა რიცხვი ერთობ დიდია თსმალეთში, დღეს ამათი ცხოვრების ცნობები მიფარებულია და ცნობები რომ შეიკრიბოს, მაშინ აღმოსჩნდება რომ უმე-

ტესი ნაწილი ამ დაყიდულების, სულ ნაჩთს, ჩითეულობა, და ფეხთსაცხელებში ყოფილან გაცვლილნი.

მე არ ვიტყვი, რომ ვითომც უხეირო ფალასების ჩაცმა დახურვა სილატაკის და გლახობის ნიშანი იყოს, არა, შეიძლება ზოგიერთ ალაგას ერი ფალასებში იყოს გახვეული მაგრამ საკვებავით კი დაჯილდოვებული იქმნეს, საკვები კი იმდენი მოდიოდეს ბუნების სიუხვის გამო, რომ ერს სული და გული გამაძლარი ჰქონდეს და ამ სიმაძლრისაგან იგინიც წელში გაშლილი იყვნენ და გახარებულნი. ამის მაგალითები ისტორიითაც შეიძლება დასაბუთდეს და იქმნება ეს ჩვენშიაც ასე იყო, მაგრამ როგორც ვიცით ჩვენა, ეს უნდა ყოფილიყოს წინა საუკუნოებში, საშუალ საუკუნოებში ეს გახდა იშვიათად და ყოფილა ისეთი მაგალითები, ისეთი შემთხვევები, რომ კოდი პური ხანდისხან ნ მან. გაყიდულა. ე. ი. დღეის კვალად რომ ვიანგარიშოთ კოდი 25 მ. უნდა ავნიშნოთ. ერი საღაც საკვებავით მდიდრობს და სჭარბობს, იმ ქვეყანაში რაც გინდ ორ სამ წელიწადს მოუსავლობა იქმნეს, მაინც პურის. მაზანდამ ისე. არ უნდა აიწიოს, რომლის ყიდვას ძველად ქართველი გლეხი სულ ვერ შესძლებდა. ყველა ეს ცნობები მე მიტომ მომყავს აქ. რომ მკითხველს მცირეოდნად ვაუწყოთ ის თვალხილული ქეშარიტება, რომ ქართველი შორის თუმც მათხოვრობა არ იყო წინ წასული, ხოლო სიღატაკის ცნობები კი იქამდის იყო გავრცელებული საერთოთ, რომ სილატაკის მეოხებით თვით თავადის შვილებიც კი კაცობრივ ალლოს ჰქარგავდნენ ხშირად და ვინ იცის რაებს არ ჩადიოდნენ.

ზოგნი სრულიად უარს ჰყოფდნენ ძველი დროის ქართველთ სილატაკეს და ამის მასალებად ასახელებდნენ ძველ დროში ნაშენებ ქართველთ უზარ მაზარ ეკელესიებს გვაუწყებენ; ამის მთქმელი თვით მეც ვიყავ, რომ ვითომც ქართველნი ძველად სრული სიმდიდრის მექონნი და ძლიერნი

იყვნენ, რომ მათ არ უძნელდებოდათ იმდენი ეკულესიების კეთება, რაც კი მათ მთასა, ბარსა, და კლდე ღრეული ში ეკეთებინათ თავიანთ სულის მოსახსენებლად. ამის შესახებ მგონი ცხადი უნდა იყოს, რომ სადაც სამეფო ასე მაღლა იწევს და ეკულესიების და ბერების შენახვაზე დიდ ძალას და დროს ჰქარგავს, იმის სამეფოს სხვა მხრივ წარმატების ზრუნვისთვის აღარ სკალიან. მაგალითებრ კარგათ სჩანს, რომ საქართველოს სამეფოს შესავალი და ძალა მთლად მონასტრების შენებას და ბერების შენახვას უნდებოდა, ბერების რიცხვი თავის ზომას გადასცდა, აღემატა, იგი საზარალო იყო ჩენი ტომისთვის, მაგრამ ვინ რას იზამდა, საუკუნე ასეთის მიმართულებისა იყო და ამ საუკუნის მეოხებითვე შეიქმნა ქართველთ უმრავლესობის ვრცომილება-სილატაკე ჩუმი მათხოვა-რობა.

სხვა და სხვა ისტორიულის ცნობებიდგან სჩანს, რომ ძველიდ ქართველთ მონასტრების კარები, ძმათა პალატი და სანოვაგე ყოველთვის ლია იყო მათხოვართათვის, შორით რებულთა, მოხუცებულთა, ქვრივთა, საპყართა, ობოლთა და უსინათლოთათვისაც. არის ნიშნები, რომ ძველად ქართველთ მონასტრებში შეუძლო ავათმყოფებსაც ინახავდნენ. ეჭვი აღარ უნდა, რომ ქართველთ შორის სილატაკე ზომას გაუასული არ ჰოფილიყო, უამისოდ მონასტრის ძმებს ლატაკტა-თვის მოწყალების კარიც გაელოთ.

სჩანს ესენი იმოდენად წინ წასული ყოფილი საქართველოში, რომ მისთვის თვალხილულად შეუნიშნათ თვით განდეგილ ბერებსაც კი, რომელნი ქვეყნიურის ცხოვრებისა და ვარმისაგან მოშორებულნი იყვნენ და მონასტრის კედლებში განმარტოებით სკხოვრებდნენ.

მონასტერი და მის ძმობა თუმცა რიგიან მეგობრობას უწევდა საწყლებს, მაგრამ ეს რიგიანი ძმობა გაჭირებულისა-თვის იყო ერთის და ორი დღისა, მონასტერ გარეშე იგი

უპატრონოთ შთებოდა. მეორე ქართველებში გაკითხვა უფრო შინაურულად იცოდნენ, ვიდრე აშკარად და ქვეყნად მავალთათვის ქვეყნის წინაშევე. მაგალითებრ ყოფილა ასე: რომელიმ უბანში სდგას ხელმოკლე კაცი, ვრდომილი, თითქმის მათხთვარი, მაგრამ მის მათხოვრობას კი არ დააწყებინებდნენ, ყოველ დღე მეზობლებთაგან მისდიოდა ჯამით დახურული კერძი ისე და იმთენი, რომ მთელ სახლობას ჰყოფნიდა მთელ დღეს, მაგალითებრ ასეთის ჩახმარებით ინახავდნენ თვით ვრდომილ სახლობის მექონ ავათმყოფთაც. მაგალითებრ აღდგომას ლარიბ ოჯახს თავიანთ მეზობელთაგან მიუვიდოდა პური, ლორის ხორცი, კვერცხი, ცხვარი, და ლვინო. ბევრი კიდევ სხვა რამე ხორაგუულობას მიუგზავნიდა, ასე რომ ლატაკი ოჯახი ქალაქ ადგილებში. დღესასწაულ დღეებში სულ არ გამოსცდიდა სილატაკეს. სილატაკეს უფრო ისეთ ადგილებში სცდიდნენ მათხოვარნი, საღაც დაბა და სოფელი იყო. საცა მოქალაქობა არ იყო გამაგრებული.

უწყიან და ცნობებიდგანაც სჩანს, რომ საქართველოში, ქართველ მეფეებსაც ჰქონიათ მათხოვართათვის მოწყალება დანიშნული. მაგალითებრ მეფე ერეკლეს დროს მათხოვართა მოწყალების გამლებთ ვიღაც გლახა ბაბანა ყოფილა დანიშნული. ამ პირთან მოვიდოდნენ მათხოვრები და მოწყალებას სთხოვდნენ, ეს გააკეთებდა სიას და მეფეს. მოიხსენებდა, მეფე მოწყალებას გადასცემდა მას და ბოლოს ეს ურიგებდა მათხოვრებს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ერთხელ ეს პირი ბოროვ მოქმედებაშიაც დაიჭირეს; ერთ ლარიბ მოქალაქეს, მან სულ არ გადასცა მეფისაგან გაცემული მოწყალება, ძრიელ მცირე მისცა და უმეტესი თვით დაიტოვა, მცირე მოწყალების მიმღები მათხოვარი მეფეს მალე ესტუმრა მოწყალების სათხოვნელათ, მეფემ გაიკვირა! ასე მალე რათ მოხველ სათხოვნელათ, მე ხომ ამდენი მოწყალება მოგეციო. საქმე გაირკვა და ოღმოსჩნდა რომ ფული მოწყალების დამრიგე-

ბელს მიეთვისებინა. ამის შემდეგ მეფე აღარ ენდობოდა, საქ-
მილანაც დაითხოვა, რადგანაც ეს მდიდრად აღმოსაჩნდა.

სამეფო პირთ სცოლნიათ ასეთი მოწყალებაც, არავის
მათხოვარს და ლატაკს უსახლკაროდ არ დასტოვებდნენ. ქარ-
თველებში ქირით სახლის დაჭერა არ იცოდნენ. ეს რუსების
შემოსვლის შემდეგ შემოვიდა ჩვენში. რაც უნდა ლატაკი
ყოფილიყო, იმას თავის ბინა, ოთახი, ალაჩუხიან ხორო მაინც
ჰქონდა, სადაც მას არავინ შეაწუხებდა. საქართველოში
უსახლკარო არც გლეხი იყო, არც გლახა-მათხოვარი და არც
სხვა ვინმენი. ერთის სიტყვით ყველას თავის ქოხი ჰქონდა,
და ვისაც არ ჰქოდა, იმას ყველა უწყობდა ხელს თვით მეფეც
კი. ნამეტურ ესეთი დახმარება იყო გავრცელებული ხელოს-
ნებთ შორის, ამას ძალიან ხელს უწყობდა ამქრული წესწყო-
ბილება, მათხოვრებს სპობდა თვით უცხო ტომის „შვილთა
შორისაც. უცხოლეს მათხოვრებს აქ სახლის აღგი-
ლით აჯილდოვებდნენ და ამიტომ მათხოვარი უკანასკნელს
გლახაობაზეც იღებდა ხელს.

ქართველთ მეფეებს ჰქონიათ კიდევ სამათხოვრო სახლიც
სადაც უპატრონო ლატაკებს ინახავდნენ, უმეტესად ასეთ
სახლებს რომელიმე მონასტრის ახლოს აკეთებდნენ და სახე-
ლად „სამადლოს“ არქმევდნენ. საქართველოში „სამადლო“
სახლები ბევრი ყოფილა, თითქმის ყოველ კუთხეს, ყოველ
მხარეში, სჩანს აქედგან რომ სამადლოდ შესანახავი ხალხიც
ბევრი უნდა ყოფილიყოს საქართველოში, ერთს ასეთს სა-
ხელწოდების მექონს „სამადლოს“ სამხრეთ საქირთველოსა-
კენაც უჩვენებენ, კოჯრის მოშორებით, სადაც დღეს ცარიელ
სახლებს გარდა სხვა არაფერი ნიშნები სჩანს, თუმცა ძველ
დროის კაცებს კი ხშირად უთქვამსთ, რომ სამადლოზე ძვე-
ლად საწყალს ხალხს ინახამდნენ. რამ წაიყვანა ესეთი სახ-
ლის გაკეთების საქიროება იქით ამაზე არაფერი სჩანს.

ყოფილა კიდევ ტფილისში ერთი სახლი, სადაც ძველად

მუდამ დღე მათხოვრები დადიოდნენ და პურს სჭამლნენ. ამ სახლმა ამ საუკუნის 1830 წლებამდისაც მოაღწია, აქ სამეფოსაგან ეძლეოდათ პური, ხორცი და ლვინოც კი, ხანდისხან—სამარხოთ ლობიო, მახოხი და სხვა ასეოი საჭმელები. აქ მუდამ დღე მოდიოდნენ ქალაქის ან უცხო ადგილიდგან მოსული მათხოვრები და პურს სჭამლნენ მუქთად, თითო კაცს ეძრეოდა თითო თონის პური და თითო ჯამი სასხილო, ან სამარხო, პური თუ ან სხვა რამე დარჩებოდათ გათხოვარს შეეძლო წაელო. ამ სამათხოვრო სახლს სამეფოს ხარჯა გარდა დახმარებას სხვებიც აძლევდნენ, ვისაც როგორ შეეძლო: პური, ლობიო და სხვა რამეები. ეს სახლი როდის დაარსდა ტფილისში, ვისგან, რომელის მეფის დროს და ვისის ბრძანებით, არ სჩანს. ცხადი საჭმეა რომ ეს აღრიდგანვე იქნებოდა საქართველოში დაარსებული.

თფილისშივე იყო მეორე სამადლო, სამათხოვრო სახლი, გარეთ—უბანს; ღლევანდელი კუკის ხილის ახლოს, დიდი შენობა, ზოგნი სარდლიანთ სახლად ასახელებდნენ, დღეს სხვებს ეკუთვნისთ, მეც მოვესწარ ამ ძველს სახლს, და აქციეს 1882 წლებში, მაშინ აქა იქ ბევრნი იყვნენ ჩვენ მათხუცებულთ შორის მეფეების დროის მოხსწრენი და მათ კარგად ახსოვდათ ამ სახლის ისტორია. ამ სახლში თურმე ორი კაცი იყო დანიშნული გამგებლად, ამათ ჰქონდათ შედგენილი სია ტფილისის მათხოვრების, ღატაკი მოქალაქების, ხელოსნების, მუშების და ღაცემული ოჯახების. ამათ აცოდნენ ვის ღატაკ ღაჯახში რამდენი სული იყო შესანახი და ამის კვალობაზე მოწყალებასაც აძლევდნენ. ღატაკთ მათხოვრებს. მათხოვრები და ღატაკნი აქ კვირაში ერთხელ მოდიოდნენ, რა დღეს, ეს ჩვენ არ ვიცით, ყველა ღატაკს წასაღები ჭურჭელი თან უნდა მოეტანათ. დახმარებად ეძლეოდათ ფერილი, სიმინდი, ლობიო, ზეთი და ნიგოზი. ხანდისხან ხორცისაც აძლევდნენ ნამეტურ როცა სამღრთოების დახოცვა იცოდნენ.

ზოგი ერთი ხელობის ხალხი თავიანთ სამღროოს ერთს
ცხვარს აქ აძლევდნენ ლატაკთა სასარგებლოოდ. ეს სამათხოვ-
რო სახლი გაუქმებული 1795 წ. შემდეგ, თუმცა მოქალა-
ქებს კიდევ უმართავთ მის საქმე, მცირე ხანს რუსობასაც
მოსწრებია, მაგრამ უჩინარად მიმქრალა, მწარმოებელთაც
გული გაგრილებიათ, რაღვანაც უფროსათ და დამხმარედ
შემძლე სამეფო პირთაგანი არავინ ჰყოლიათ, ამ სამათხოვრო
სახლის დაკეტვის შემდევ ქართველთ შორის მათხოვრობის
სახეობი სხვა ნაირი მიმდინარეობა მიიღო, ამათ დაიწყეს ქუჩა-
ქუჩა სიარულის შეჩევას, ნამეტურ ეკულესიების ახლოს,
ზოგი ერთ ეკულესიების ეზოში, ლამის სათევს ოთახებში
ამათ ბინაც მიეცათ. ესენი აქ ათიებდნენ ლამეს და ხანდის-
ხან ეკულესიაში მოსულ მლოცვავთაგანაც ეძლეოდათ ხორა-
გით დახმარება.

მე ვფიქრობ, რომ ზემო ხსენებული სამარლო და სამო-
წყალო სახლი, ტფილისში უნდა იყოს დაარსებული კათო-
ლიკის ბერებისგან დაარსებულ საგლახავო სახლის მინავა-
რად, რაღვანაც ქართველ პატრებმა საქართველოში აღრევე
სცნეს ასეთი სახლის დაარსების საჭიროება და ამათ ტფი-
ლისში დაარსეს კიდეც, სამათხოვროს ხარჯს თვითონ იხდიდ-
ნენ, ულუფა მათ რომიდამ ეძლეოდათ და რასაც ექიმობით
და შრომით რამეს შოულობდნენ, პურს, ხორაგს, საქონელს,
ნართს და სხვებს, იმას მთლიან ხალხის საჭირო მოწყალებად
არიგებდნენ, თვით კი წყნარად სცხოვრობდნენ. ესენი თა-
ვიანთ შრომაში ცხვარს, ძროხას, თხას და სხვა და სხვა სა-
ქონლებსაც იღებდნენ, რაღვანაც ზოგს ლატაკთ ცოც-
ხალ საქონელსაც აძლევდენ სასიზღვოებლად, გაუჭირებლივ
ცხოვრებისათვის, ხან ფულებსაც ურიგებდნენ. პატრებისა-
გან დაარსებული სამათხოვრო სახლის არსებობაც მო-
ისპო 1795 წ. შემდეგიდამ, რაის არსებობის ცნობები ძველს
დროის ქართველთა კათოლიკებთ შორს ბევრმაც იცოდა.

ერთმა მოხუცებულმა ბერმა მიამბო, რომ ქართველთ ბერებიც კარგა უმზერდნენ მათხოვრების გაჭირებასათ, ყოველ მონასტრის კარი მათვეის ლია იყოვთ. მავალითებრ შიო მღვიმის მონასტერში ძრიგლ ბევრი მათხოვრები იყვნენ მოთავსებული და თავს ირჩენდნენ იქაო. ეს ლატაკნი თავიანთ სიცოცხლეს იქ ატარებდნენ და იქვე იხოცებოდნენ, ესენი შონისტერს ემსახურებოდნენ კილეცაო, თითქმის თავს მონასტრის მათხოვრად აღიარებდნენო, მთელმა მათხოვრებმა იცოდნენ, რომ მონასტერში მათ დახმარებას მისცემდნენ და ამიტომ თვით დაშორებულ უდაბნოებშიაც კი მიღიოდნენ თავის სარჩენათაო. დავით გარეჯაშიაც ყოფილან მრავალნი. ამბობდნენ, რომ ეს წეს-წყობილება ლატაკთათვის, ძველითიგანვე არსებობდა საქართველოშიო. საუბედუროდ ძრიგლ ცოტა ცნობებია ამ გვარს საქმეებზე ჩვენს მასალებში დაშთენილი, მათხოვართ, ანუ ლატაკთა მდგომარეობა ქართველთ მეფეთა დროთ მწერალთათვის სრულიად უმნიშვნელო ყოფილა, ხოლო მათ მოკლეთ ის კი იცოდნენ, როს ლატაკსა და ლარიბ კაცს დახმარება უნდა, შებრალებაო ვინც ლარიბს გაიკითხავს, იმას ლმერთი არ დაპკარგავს, ვაამდიდრებსო.

თვით ქართულს ენაზე ნაწერი და ნათარგმნი მოთხრობებიც კი ასევე მოწმობენ, რომელ ძველი მოთხრობაც გინდათ წაიკითხეთ, ყველგან ნახავთ გლახებს, ჭათხოვრებს, ლატაკებს, ძრიგლ ლარიბებს, თითქმის ბოგანოებს, რომელთაც ლუკმა პურიც ენატრებათ, დამწერთა პაზრით: ლატაკთა დამხმარეთ ლმერითს გარდა ხალხიც სჩნდება, ხალხს სამლოო ვალაუ სწამთ მათი დახმარება და ხშირად როცა გმირები იმარჯვებენ, მერე გამარჯვების სამახსოვროდ ლატაკებს ეხმარებიან. ამისთანავე ცნობებს ვხედავთ ჩვენს ისტორიაში, მაგალითებრ, გაიმარჯვა ამა და ამ მეფემათ და გამარჯვების სამახსოვრად ლატაკებს და ლარიბებს თავის ხელით დაურიგო.

წყალობაო. მეფე ის არის ქებული და დიდებული ვინც ლა-
რიბ-ლატაკებს არ ივიწყებს. ასეთას ვალდებულებით სავსეა
ჩვენი ისტორია. თუ ქართველთ შორის არ იყო ძველათვე
გაურცელებელი მათხოვრობა, მაში ჩვენი მეფენი რომელ
ლარიბებსა და ლატაკებს ურიგებდნენ ხოლმე სარჩო საბადე-
ბელს. ჩვენის ისტორიის გარღმოცემით ყლფილან ხურიად
ისეთ ქართველთ მეფენიც, რომელნიც ლამე უცხო. ტანთ სა-
ცმელს იცომდნენ, დაღიოდნენ ლატაკთა სახლებში და სარ-
ჩო—საბადებელს, მოწყალებას თავიანთ ხელით ურიგებდნენ.
ასეთსავე მეფეთ ალიარებენ თვით თამარ დედოფალს, დიმი-
ტრი თავდადებულს და ერეკლე მეფესაც. ხოლო რა გვარი
იყო ამათი მოწყალება, რამდენ ხანს შველოდა იგი ლატაკს,
სამუდამოდ იხსნიდა სილატაკისაგან თუ დროებით ამაზე არა-
ფერი ვიცით. საქართველოში ძველთაგანავე სჩანს ერთნაირ
სახელწოდება მათხოვართა რომელიც ცხადათ ამტკიციბს
ჩვენი საუბრის სინამდვილეს: ეს არის „ატოცის გლახების“
სახელწოდება. ეს სიტყვა ძრიელ ძველი უნდა იყოს, ამ სახე-
ლის მექონი წმინდა გიორგიც არის, რომელსაც სახელად
„ატოცის წმინდა გიორგი“ ეწოდება. იქმნება ამ ეკკლესია
და ატოცის გლახებს შორის რამე კავშირია დაცული, ვინ-
იცის. ის კი უნდა ითქვას, რომ სოფლის სახელი „ატოცი კი“
წმიდა გიორგიზე ბევრად უწინარეს უნდა იყოს დაარსებული,
ატოცის წმიდი გიორგის კარზე თავს იკრებდნენ მათხოვრები,
აქ შთებოდნენ დროებით, აქედგან დაღიოდნენ აქი იქ სამათ-
ხოვროდ, შოულობდნენ რამეს, ნაშოვარს ინახავდნენ და
მერე შინისკენ ბრუნდებოდნენ და თან მიჰქონდათ ნათ-
ხოვარ-ნაშოვარი.

ატოცის გლახებს მათხოვრობას არავინ უშლიდა; ვინც
ატოცის გლახა იყო, ის ყველგან თავისუეტათ მივიღოდა,
თამამად ითხოვდა მოწყალებას, რაღვანაც მის თხოვნაში სიკ-
რუის არაფერი იქნებოდა. ვინც ატოცის გლახა იყო, ის

ნამდვილი გაჭირებული იყო, იმას მართლა ცხოვრება აწუხებდა, ცხოვრებას დაესაჯა, ძალა დაეტანებინა და ამიტომ დაიწყებდა მათხოვრობასაც ვისმე ლატაკს რომ სიცრუით მოეგონა სილატაკე და ატოცის გლახად გამოცხადებულიყო, იგი მაინც ვერ გაბედავდა ამას, რაღვანაც ატოცის გლახას ესეთი საქციელი მღვთის გმობათ და წმიდა გიორგის მოტყუებათ შიაჩნდა, ამიტომ იგი, ვერა ღროს ვერ გაბედავდა, რომ მოტყუებით ევლო და ემათხოვრა. თვით ხალხმაც ასევე იცოდა და ამიტომ ატოცის გლახაც ყოველთვის გაკითხული შთებოდა, ვისაც რა შეეძლო იმას მისცემდა და სახლიდან კი ცარიელს არ გააბრუნებდა.*

„ატოცის გლახებში“ ერივნენ ცოლშვილის პატრონიც, მაგრამ ცხოვრებისაგან დასჯილი, ან სნეული, მაგალითებრ თუნდ უსინათლო, რომელსაც ავათმყოფობის გამო ყველაფერი სახსარი ხელიდგან წაუვიდოდა, უკანასკნელ იგი თავის ოჯახით უმოწყალოდ დაშთებოდა. ნათესავები მას არ შველოდნენ და მცნობნი. ასეთი ლატაკი და ვრცომილნი კი უფრო დაბადა სოფლის მცხოვრებთაგანნი იყვნენ, რაღვანაც მაშინ დაბებში ის სამოწყალო სახლები არ არსებობდა, რაც ქალაქ თბილისს იყო, ესეთი მათხოვრები თავიანთის საბინადრო აღგრლიდგან ქალაქ აღგრლებშიაც დადიოდნენ და მათხოვრობდნენ. მაშინ მათხოვრებს მებატონენი ხარკისაგან არ ათავისუფლებდნენ, მათხოვარი იყო, ოჯახი შეუძლო იყო, მაგრამ იგი მაინც მონა იყო და მონების ბრძანებელს სულ არ ერიდებოდა, რომ მის მონის მთელი ოჯახი მათხოვრობაში იყო შთავარდნილი და დიდის მწუხარებით ატარებდნენ ცხოვრებას.

ატოცის გლახებში ერივნენ უძლურნი, მოხუცებულნი, უსინათლო, გვემული, კუტი, ოხერ-ტიალ მოხუცი, ან სნეული და ბევრიც სხვა ამ გვარნი. ამათში ხშირად ისეთი მათხოვრებიც ერივნენ, რომელთაც მცირე რამ მამულიც ექმნე-

პოდათ, მიწა, ან სახლკარ-ვენახი, მაგრამ ცხოვრების ვრდო-
პილების, მუშაობის შეუძლებლობის და მოუსავლობის მეოხე-
ათ ისე დაეცემოდა და ისე მოეწყობდა საქმე, რომ უკანასა-
კნელ სამათხოვროდ გაუხდებოდაო, სხვა გზა და საშუალება-
ბას არ ექმნებოდა რა, ასეთი მათხოვარი სამუდამოთ ვერ
ძიეჩევოდა მათხოვრობას, იგი იმეცადინებდა რომ იმდენი
შეკრიბა მოწყალება რომ მის მეოხებით შესძლებოდა მომა-
ფალში ყანის დათესვა, ვენახის გამაგრება და მის მეოხებით
უეხზე დადგომა, წელში გამართვა, მერე იგი მათხოვრობასაც
ჯაან ებებდა თავს. მერე-თვით ხდებოდა სხვათა მოწყალების
პიმუემი. როგორც შეეძლო, იმას არავის დაკლებდა.

„ატოცის გლახებს“ შორის დედაკაცებიც ხშარათ ერი-
ვნენ, დედაკაცები რასაკვირველია ისეთნი, რომელნიც ცხო-
ვრების პირობებისაგან უკიდურესად დაეცემდნენ, დაქვრიფ-
დებოდა, წვრილ შვილი დაშთებოდა, შემძლე ნათესავფმი
რ ეყოლებოდა, ბევრის თმენისაგანაც შრომის სასოებაც
აერთმევოდა და ბოლოს სასოება წართმეული მათხოვრათაც
ავარდებოდა. დედაკაცის და ნამეტურ მათხოვრის შეურაც-
ხობის მიყენება არავის შეეძლო, ვინც გინდ დიდკაციშვილი
კოფილიყო, იმას მათხოვარ დედაკაცის ხელის ხლება არ
მეეძლო, ვერ გაბედავდა, გინდ რომ გაებეღნა, ქვეყანას ეწ-
ყინებოდა და მით ჩაჭკოლავდა. საიდგან საღაც უნდა წასუ-
ლიყო დედაკაცი თავის ხურჯინით და ევლო, მას მაინც არ-
სად არაფრის შიში მოელოდა, ყველგან თავისუფლად მიმო-
კლიდა და ნამუსიანად შეურყეველი და მოწყალება შეკრები-
ლი დაბრუნდებოდა სახლში „ატოცის გლახა“ ამ საუკუნი-
შიაც არსებობდა. საღმე რომ ვინმე კაცი აიტუზოს და გა-
ნიუმებული იდგეს, არა სთქვა რა,-იმაზე იტყვიან: — „რა
ატოცის გლახასავებ ატუზულხარო“ ატოცის გლახაკო
ჩვეულება იყო ასეთი, რომ საკა მივიღოდნენ სამათხოვროთ.

იქ ხშირად გაჩუმდებოდნენ და არას ითხოვდნენ, ვიდრე მო-
წყალების გამლები რამეს ეტყოდა, მინამდის იგინი ჩუმათ იდ-
გნენ და მოწყალებას ელოდნენ. „ატოცის გლახებთ რიცხვი
საქართველოში დიდი ყოფილა, დღეს ამ მათხოვრების სახე
სრულიად შეცვლილია და „ატოცის გლახათ“ იწოდება ის,
თუ კი ეს არის, ქართლისაკენ, რომელნიც მეტათ დაცუმულია,
ცხოვრებით პირქვე დამხობილი.

„კარის გლახათ“ რიცხვი, როგორც სჩანს საქართვე-
ლოში ძველათვე უნდა ყოფილიყო. „კარის გლახები“ ხელ-
ში ჯოხ და მხარზე ტომრებ წამოკიდებულნი მთელი დღე
დადიოდნენ კარ და კარ, ესენი თითქმის დღიური საზრდო-
სთვის სცხოვრბედნენ, ამათ შენახვა რამისა არ იცოდნენ,
სადაც რას იშოვნიდნენ, იქვე იშით ირჩენდნენ თავს და თუ
რამ ნაშოვრიდამ საჭმელი რჩებოდათ, იმას კიდევ სხვა მათ-
ხოვრებს და ლატაკებს უნაწილებდნენ. ამათ სადგომი ბინაც
ჟველგან იყო, ვის კარზე, ეზოში და ქუჩაშიაც დაულამდებო-
დათ, ესენი იქვე გაათიებდნენ და მეორე დღეს სამათხოვროდ
წავიდოდნენ. „კარის გლახაკ“ რიცხვში დედაკაცები და
ბავშვებიც იყვნენ, მხოლოდ ფიზიკურათ დასჯილნი. ცოლ-
ქმრობა და ასეთი წესები კი კარის გლახებთ შორის მოს-
პობილი იყო და „კარის გლახა“ თითქმის ქუჩაშივე ლევდა
თავის სიცოცხლეს, სხვის კარზე კვდებოდა, კარის გლახაო-
ბას გარდა ამას სიკვდილიც კი სხვის კარზე უხდებოდა. შე-
დარება რომ იქმნეს „კარის გლახა“ უფრო უკიდურეს
ცხოვრების პირობებში იყო მოთავსებული, ვინემც „ატოცის
გლახა“ და სხვანი. „კარის გლახა“ ხსენებათაც არ ღირდა,
ჩვენში დარჩენილია ასეთ თქმულება: — „გასწი, დაიგარგე, შე
გარის გლახათ“. ამთი ღირსება თითქმის შინაურ კარის
ძალათან იყო შედარებული. მოწყალებასაც კი ამათ მორი-
დებით და ზიზღით აძლევდნენ. ხელი არ გაგვიჭუჭყიანდეს,

არაფერი მოგვეცხოსო, ცხვირ-პირის ბრეცა გრეხით განიკითხავდენ.

„კარის გლახაკთ“ რიცხვი ყოველთვის ქალაქ ალგილებში იკრიბებოდა, ყოველთვის ქალაქ ადგილებში იჩენდნენ ბინას. ამათ ქალაქ ადგილებში უფრო ემარჯვებოდათ ყოფნათხოვნა და კარ და კარ სიარული, ამ მათხოვართ რიცხვმა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდამ ქართველთ შორის კი კარგა თვალთ საჩინოთ იკლო და სხვა ტომთა შორის კი დიდათ გავრცელებამრავლდა. დღეს ასეთ მათხოვართ რიცხვი. საქართველოს ყველა ქალაქებში ერთობ დიდია. შემდეგ რა იქმნება და როგორ წარემართება „კარის გლახაკის“ საქმე? რასაკვირველია გამრავლებით მოელისთ.

„შაფათის გლახაც“ ძველიდგანვე ყოფილან საქართველოში. ამ მათხოვრად იწოდებოდნენ მხოლოდ ის მათხოვარები, რომელნიც მარტოთ შაფათ ღლეს დადიოჭნენ და მათხოვრობდნენ, სხვა დღეს ესენი არ ივლიდნენ, ამათ გამო „კარის გლახები“ შაფათობით როდი მათხოვრობდნენ, ისინი მის ნაცვლად კვირა დღეს დაიწყებდნენ ხოლმე და ყველას საღილის დროს კარზე დაუდგებოდნენ. შაფათის გლახათ რიცხვი ყველა წრის ღატაკთაგან შესღვებოდა, მაგალითებრ ქალაქის მცხოვრებთაგან, რომელთაც თავიანთ სადგომი ბის ნაც ჰქონდათ, დაბაში და სოფელში მცხოვრებთაგანაც ესენი დადიოდნენ შაფათ დღეს მხოლოდ კვირის საზღოს მოსაპოებლად. ასეთ მათხოვრებს ქალაქ ადგილებში დახმარება საზოგადო სამათხოვრო სახლიდგანაც ეძლეოდათ, მავრამ ყოფნით კი ვერ ჰყოფნიდათ, რაღანაც შაბათის გლახაკთ ვითარება სხვა პირობებით იყო გარე მოცული. „შაფათის გლახაკთა“ რიცხვი ჩვენ დროში უფრო წინ წავიდა და რაღანაც 1805 წლებში სრულიად მოისპოვ თფილისის სამოწყალო სახლები, ამიტომ შაფათის მათხოვრებმა იწყეს

გამრავლება. შინაურ მათხოვრებს და ლატაკთ გარეულნიც დაერთნენ, თვალთსაჩინოდ შეიქმნენ, ზოგნი ლატაკნი, მაგრამ მასთანვე მორცხვნი, რომელთაც კაი ცხოვრება ჰქონიათ, მაგრამ უამთა-ვითარებისაგან დაცემულან, იგინი აღვილად ვერ ბედავდნენ დღისით მათხოვრობას და ამიტომ ესენი მთელ შაფათ ლამეს აქა იქ ათიებდნენ მათხოვრობით და მცირე რამეს შოულობდნენ, ზოგნი ლატაკნი პირს აიკრავდნენ, ტანზე უცხო რამეს ჩაიცომდნენ, რომ არავის ეცნათ. ასეთ ლატაკთ მათხოვრებში ერივნენ ქალებიც, უფრო ხნიერნი დადაკაცები, რომელნიც მოკრძალებით მათხოვრობდნენ. „შაფათის გლახებში“ უფრო მოქალაქე ხალხი ვარდებოდა. ამათ შაფათობით და კვირაობით ეკულესიის კარებთა წინაც იცოდნენ დაღვომა და მლოცვავთაგან მოწყალებას ელოდნენ. მლოცველნიც არა სტოვებდნენ უმოწყალოდ.

იქმნება ვინმემ სთქვას, რომ ეს რა არ შეგის, რომ მათხოვრებთა ვითარებას ასე ჰყოფს და ანაწილებსო მათხოვრები ჩვენ ყველა ერთნაირად მიგვაჩნიათო. მეც ასე მევონა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მათხოვრობის ამორჩევაც თვით მათხოვრებზე ყოფილა დამოკიდებულუ და მათში დიდი გარჩევაც ყოფილა. მაგალითებიც ბევრია ამის შესახებ საქართველოში.

„სიონის გლახაკთ“ გამრავლება უფრო მარხვის დღეებუში სკოდნია. დიდ მარხვას მარიამობისთვის მარხვას, „სიონის გლახაკთ“ უმეტესად მოხუც-უპატრონო კაცნი და ქალნი ჩნდებოდნენ რომელთაც არავის მორიცება აღარ ჰქონდათ და ყოველთვის თამაშათ დგებოდნენ სიონის წინ სამათხოვროდ. „საონის გლახა“ თფილისს გარდა სხვა ქალაქებშიც ყოფილა. სხვაგან ამ გვარ გლახებს თავიანთებური მხრის რომელიმე ეკულესიის სახელი ეწოდებათ. ასეთ მათხოვართა-თვის სიონის გარდა სხვა ეკულესიების კარებებიც თავისუფა-

ლი იყო. ეს გლახები ეკულესის იქით არსად არავის რას სთხოვდნენ. ამ უკანასკნელ დროს კი ეკულესიების კართ წინ „,სიონის გლახაკთ“ რიცხვი მოისპო თითქმის და სულ სხვა წრის მათხოვრები გაჩდნენ და დაიჭირეს ეკულესის კარები.

„დიდებაზე შოსიარულები“ მე ამ დიდებაზე მავალთ პირ და პირ მათხოვრებს უწოდებ. შეიძლება ხანდისხან მოხდეს ისიც, რომ ამათშიაც გამოერივნენ ნამდვილად საფურულესიო საქმეთა საჭიროებისთვის მთხოვნელნი, ხშირათ მოხდება რომ დიდებაზე თვით შეძლებულ ოჯახის ქალმა, ან ვაჟმაც იაროს, მაგრამ უნდა შეინიშნოს, რომ დღეს ეს იშვიათად უნდა იქმნეს. მაშ მე მოგახსენებთ მოკლეთ ამ დიადებაზე მოსიარულე ხალხის შექმნის ვითარებას.

საქართველოში მდაბიო ხალხი ძველათგანვე იყო უსამზღვრო ცრუმორწმუნოებაში შთავარდნილი, გლეხნი კი არა და თვით კეთილშობილნიც ასეთსავე დღეში იყვნენ შთაცვივნულნი. მაშინ ჩვენში ექიმობა ძრიელ ძნელი და იშვიათა საქმე იყო, წავლები, ექიმები და დოსტაქრები თუმც მოიპოვებოდნენ, მაგრამ ძრიელ ძვირათ კი, საწყალ კაცს მათი მიწვევა სულ ვერ შეეძლო. საკმარისად ეხმარებოლნენ მხოლოდ ფრანგის პატრები, რომელთაც ექიმობაც იცოდნენ. საწყალი ხალხის ექიმობა ისევ ხნიერ დედაკაცებმა იცოდნენ. ესენი სწამლობდნენ გლეხაა შვილებს და მკურნალობდნენ. ასეთ მკურნალ დედაკაცებს გარდა საქართველოში ძრიელ გამრავლებული იყვნენ მკითხავები. მკითხავებს მეტათ დიდი ზე გავლენა ჰქონდათ ხალხზე. ავათმყოფთა პატრონები ხშირად მიმართავდნენ მკითხავებს და ვეღრებით ჰკითხავდნენ საკითხველ რჩევას, მაშინდელი ჰკითხავების ოსტატობაც ის იყო, რომ ესენი ძველ გაუგებარს ხალხს ყოველს საქმეში და საგანში, რაც კი უნდა ყოფილიყოს თან გადადებაზე სიარულს.

ურჩევდნენ. დიდებაზე მოსიარულება ნაშეტურ მოსწონდათ იმ პირთ ვისაც ავათმყოფი ჰყვანდა და იგი ამ ავათმყოფისთვის აკითხევინებდა. ავათ მყოფთა პატრონები დაიწყებდნენ მაშინათვე უბან-უბან სიარულს და მუდარებით თხოვნას, რომ მათვის ეჩუქებინათ რამე, რომ ეს ნაჩუქარი მათ ავათმყოფის სახელით დანაშნულს ეკულესიაში წაეღოთ და მით შესწირვოდათ მათ და ავათმყოფიც მორჩენილიყო. ამისთვის იგინი ძველად აგროვებდნენ ბამბას, წმინდა სამთელს, ნიგოზს, შაქარს და ასეთ რამეებს, ფული კი იშვიათად იცოდნენ. მაშინ დიდებაზე მოსიარულები წმინდათ ავათ მყოფის გამო დადიოდნე, იგინი თაღლითობას ვერ გაბედავდნენ. მაშინ დიდებაზე მოსიარულე სწორედ დიდებაზე მოსიარულე იყო და გლახა ან მათხოვარი კიდევ მათხოვარი. მათში გარჩევა დიდი სუფევდა, განვლო დრომ, გარემოება შეიცვალა და დღეს დიდებაზე მოსიარულეთ ვითარებაც გამოიცვალა. დღეს ეს „დიდებაზე სიარული“ მრავალთათვის საკურნებელ მალამთაც შეიქმნა, ბევრს კრძალულობით სავსე ლატაკს ამ წეს ჩვეულებამ ხელში იარაღი მისცა მცირეთ ცხოვრების მოპოვებისა.

სო. მღვდელ-მთავრის მიმართვა სამღვდელოებისათვის იქამდის საყურადღებოთ დაშთენილა, რომ მათ ეკკლესიებში მკითხავების წინააღმდეგ ქადაგებაც დაუწყვიათ. რა იქმნა, სამღვდელოებამ როგორი გავლენა იქონია, მკითხავები შეცოტავდნენ თუ არა, ამაზე ჩვენ არაფერი ვიცით, ისკი ვიცით, რომ XVIII საუკუნეში, კახეთი და ნამეტურ ქიზიყი, სავსე იყო მკითხავებით. ამ აღსავსებას XIX საუკუნემ უფრო შეუწყო ხელი და წინ წაიყვანა, დადგა მკითხავების ყვავილოვანი ხანა, რაღანაც ამათ ადრე თუ სამღვდელოებამ კამათი და წინააღმდეგობა დაუწყო. ზღეს ამის ნაცვლად, დღევანდელმა სამღვდელოებამ კი თანამომხრეობა აღმოუჩინა, მფარველობა დაუწყეს, რაღანაც ამათ ნათლათ მიხვდენ, რომ მკითხაობა მათ დიდს ძალას აძლევდა, დიდს შესავალს მოგებას. ადრე თუ მკითხავების წინააღმდეგ სამღვდელოებამ ქადაგება დაიწყო ეკკლესიის ამბიონიდანა, მის ნაცვლად დღეს ამბიონიდგან მკითხავების პატივის ცემა და მორჩილებამ დაიწყო აღმომდინარება.

მდაბიო ერმა მკითხავები თავის მკურნალად, ჭირს და ლხინში თანა მოზიარეთ იცნა. ავად გახდა ვინმე ოჯახში და მაშინათვე მკითხავს მიმართეს. ავათ მყოფის მიზეზის შესატყოფად, ან დაკარგა ვინმემ რამე, ან თუ სხვა მარცხი მოუვიდა ვისმეს რამე, ყველას მკითხავი გაუჩნდა მკურნალად და მრჩეველად. ავად მყოფის პატრონებს ესენი ყოველთვის ხატებში სიარულს ურჩევდნენ, იქ დამის თევას, საღმრთოს დაკვლას, პარაკლის და სხვა-და სხვა რამის შესაწირავებს. ხშირად ამისთვის „დიდებაზე“ სიარულსაც აუწყებდენ, გროშობით მოგროვებას და მით პარაკლისის, ბანის, პირბადის და სხვა ასეთ შესაწირავების გადახდას. ბევრის ცდის შემდეგ ხელში დაიჭერდნენ წმიდა სამთელს და დაიწყებდნენ დიდებაზე სიარულს, რამდენიმე ხნის განმავლობაში პოაგროვებდნენ რაც საჭირო იყოს და დანიშნულს დროს გაემგზავრებოდნენ.

ბოლნენ აღნიშნულის ეკალესიისაკენ, საითაც მკითხავმა მიუ-
თითა. ესენი მალე მივიღოდნენ ეკალესიაში და მოილოცავ-
დნენ. ხშირად ავად მყოფზე ჰაერის ცვლილება, მგზავრობა
და ფეხზე დადგომა კარგათ მოქმედებდა, ავათმყოფი კარგად
ხდებოდა. რამდენიმე წნის შემდეგ ავადმყოფი კარგად გამხ-
დარი თავის ნათესავებით ბრუნდებოდა შინ. მკითხავის სიტ-
ყვა სიმართლით იმოსებოდა, ოთხსავ კუთხივ საუბარს იწყებ-
დენ, რომ ესა და ეს კაცი ავათ იყო, ამა და ამ მკითხავს
აკითხვინეს, იმან ამა და ამ ხატში წაყვანა ურჩია, საღმრთო,
ბანბა, პირ ბაღე, ნაბანი, მიწა, ლამის თევა და ავადმყოფი
ეხლო კარგათ გამხდარა. ხშირად ისიც მომხდარა, რომ უძ-
ლური ავადმყოფი გზაში უარესად გამხდარა ავად და მომ-
კვდარა კიდეც, მაგრამ ეს შემთხვევაც მკითხავის საზარა-
ლოდ არ დაშთენილა, ხალხს უთქვამს, ავათ მყოფი ამა და
ამ ხატმა თავის კარზე მიიყვანა და იქ შოკვდაო. სჩანს ავათ-
მყოფი მართალი, პატიოსანი და მაღლიანი სული იყოვო.
უსეც ერთი ბეღნიერება უნდა იქმნეს მისთვისო. იგი სამოთ-
ხეში წავაო. ჭირისუფლებიც კი ნეტარებდნენ ამით. მკით-
ხავების მნიშვნელობა ისე აღორძინდა, მას ისეთი საპატიო
მნიშვნელობა მიეცა, რაის მეოხებით მთელმა ერმა მოწიწე-
ბით უწყო მზერა. მათ სიტყვას და ნამეტურ „დიდებაზე“
სიარულმა მიიღო წმინდა მნიშვნელობა, ყველამ პატივით
უწყო მზერა და დიდებაზე მოსიარულე კაცს თუ ქალს ყველა
მოწიწებით ეხმარებოდა, ვისაც მიმართავდნენ ესენი და ვის
სახლშიაც შევიდოდნენ საოთვნელად იქიდგან მას ცარიელს
არავინ გაუშვებდა, რაც შეეძლოთ უნდა მიეცათ, თუნდ ერ-
თი ნატეხი შაქარი, კვერცხი, წმინდა სამთელი და ცარიელს
კი არ გაისტუმრებდნენ, რადგანაც მათის ფიქრით ეს ცოდვა
იყო, აღნიშნული ხატი მათ გაუწყრებოდა. როდისმე დავას
აუტეხდა. უფრო ძვირად დაუჯდებოდათ მათ. ამიტომ ხში-
რათ დიდებაზე მოსიარულენც კაი ძალ-შესაწირავსაც აგ-

როვებდნენ, სხვა და სხვა ნივთებს გარდა ხან ფულსაც კაი რიცხვს შოულობდნენ. ხშირად ორი-სამი მანათის მაგიერ ათ-თხუთმეტ მანეთაშდე. ეს ფული 1830—40—40 და 60 წლების კვალ, ერთობ კაი რიცხვი იყო, კაი ზომის, ამ ფულით მლოცველნი ყოველთვის თავისუფლად მიღროდნენ ხატში, თავისუფლად და კარს შესაწირავების ძლვნით მოალოცავდნენ.

ბევრი ლარიბის ავათმყოფი მიხვდა, რომ დიდებაზე სიარული კარგი სარფიანი, და თან მაღლიანი საქმე იყო. ბევრ გაჭირებაში, ბევრს ლარიბ ოჯახს, ერთი მანათი ხშირათ ისე გასჭირებია, რომ მის შოვნისთვის უკანასკნელი ქვაბიც კი დაუგირავებია. სინი და ვინიცის რამდენი სხვა რამე, მაგრამ სამუღამო გაჭირვებისათვის კი თავი ვერ დაუხევია. ასეთ გაჭირვებულთათვის გაჭირება უსაზღვრო ყოფილა და დახმარება და შესავალიც კი არსაიდგან. ამათი მდგომარეობა წმინდათ გათხოვრების მიმართულებით შემოსილა, მათი ცხოვრება მათხოვრების ცხოვრებაზე. უფრო გამწარებულა, უფრო გალატაკებულა, აი ასეთ უბედურებას, თუმცა დიდის სიფრთხილით და თავის დაჭერით, მაგრამ გაუბედნიათ „დიდებაზე“ სიარული: აულიათ ხელში წმინდას სამთლები და ორ-სამ დედაკაცს დაუწყვიათ სიარული ქუჩა-ქუჩა თხოვნა ასე: „დიდებაზე დავდივართ და გაიკითხეთ ავათმყოფი“. რამდენიმე დღის განმივლობაში ლატაკნი მოაგროვებდნენ საკმარის რიცხვს ფულს, გაჭირების დარღი გულიდგან გადეყრებოდათ, ფულს თვითონ გამოიყენებდნენ და სამთელს და ასეთ შეგროვილს კი აღნიშნულ ხატში წაიღებდნენ და იქ შესწირავდნენ. ასე მოიმართა საქმე, ასე მოეწყო წინეთ ლატაკთა ვითარება, მართალია ლატაკნი სილატაკით ხალხის წინაშე თავს არ იჩენდნენ, ბევრს დიდათ ერიდებოდა, რადგანაც მააში კაცი ხშირად ისეთ ლატაკებსაც შეხვდებოდა, სადაც ორი და სამი გასათხოვარი ქალებიც ისხდნენ, ასეთის

ოჯახის წევრთათვის რომ ვისმეს სილატაკე შეემჩნია, იმას
სახელი გაუტყდებოდა, იმის ბედშავ ქალებს აღარავინ ით-
ხოვდა. ხშირად დიდებაზე თვით გაქირებულ მოქალაქის ცო-
ლებიც კი ბედავუნენ სიარულს.

რაც ხანი გადის მით უფრო კარგად სჩნდება, რომ ხალ-
ხუ სილატაკე უფრო მაღლა იწევს, უფრო წინ მიდის, ამ
წინ სვლას ხალხიც კარგად სკნობს, რაღანაც დღევანდე-
ლის ერის გონებითი ზომა ბევრათ წინ არის წასული, წინეთ
რომ სილატაკე იყო, იმას ჩვენი ძველნი კარგად ვერ გრძნობ-
დნენ, ამ გრძნობისათვის მათ არაფერი ძალოვნება. შესწევ-
დათ, გინდ რომ ეგრძნოთ მაინც ბრუნდის თვალით არაფერს
შეხედავდნენ, არაფერს დაუწყებდნენ დარღვევას და ათვალ-
წუნებას, რადგანაც მაშინ ლარიბ-ლატაკს ისე მიაჩნდა თავის
სილატაკე როგორც მხვთისაგან მინიჭებული საკუთრება, რო-
მელიც მათის ჰაზრით მათ არას უროს არ ასცდებოდათ, უეჭ-
ველიათ, იგი ლატაკათ უნდა ყოფილიყო, რადგანაც მათ სი-
ლატაკეს დაბადებამდისვე ბედის მწერალი შუბლზე აწერდა,
რომ შენ ლიტაკი და მონა უნდა იყოვო. ძველი მწიგნობარი
კაცებიც ასეთი ჰაზრების იყვნენ და ესენიც ამასვე ამტკიცებ-
დნენ. ამასვე ქადაგებდნენ სახალხოდ, რომ ლარიბი ლარიბათ
უნდა დარჩეს და მდიდარი მდიდრათაო. ხოლო მდიდარი,
საიდგან მდიდრდებდა და ვისგან რას ბოჭავდა ამას კი არ
აკვირდებოდნენ, ამასთან მათ საქმე არ ჰქონდათ და იმასაც
ავრცელებდნენ, რომ კაცს სიმდიდრეს ღმერთი აძლევსო.
ამას უფრო ისეთ მდიდრებზე ამბობდნენ, რომელთაც მათ-
ხოვარის გაყითხვა იცოდნენ, ვინც მათხოვარს არ გაიგითხავ-
და იმის სიმდიდრეს ეშმაკის საკუთრებად აღიარებდნენ. იყვ-
ნენ თითო ოროლა. ისეთი გვამნიც, რომელნიც სიმდიდრეს
ბოროტებათ. სთვლიდნენ. ყოველ შემთხვევაში კი ქართ-
ველებში ასე თუ ისე დიდათ იქებოდნენ და ილიდებოდნენ ის

გვამნი რომელნიც მდიდრდებოდნენ ან მდიდრები იყვნენ და
ლატაკთაც ეხმარებოდნენ. ასე იყო წინეთ.

დღეს კი ეს ისე აღარ არის, დღეს ერთ თავის გაჭირებას კარგად გრძნობს. მან იცის თავის არსებობის საქმე, რომ ის მეორედ აღარ დაიბადება, მკვდრეთით აღარ აღსდგება, და ამიტომ თავის ცხოვრებას ფხიზელის თვალით უმზერის, ყოველს მოვლენას, სილატაკეს და სხვა ასეთ რამებს შეუმჩნევლათ არ სტოვებს. გარემოებამ მას თვალი გაუხილა, თვალის ახილვა მას საწინააღმდეგოთ პრაზმას, ყოველნაირის შრომის ბრძოლის და მოქმედების უფლებას ანიჭებს. ერთ ასეთ გარემოებათაგანია დღეს „დიდებაზე“ მოსიარულე ხალხთა საქმეც. გაჭირებამ „დიდებაზე“ მოსიარულების ძრიელ დიდი რიცხვი დაპატარა. ყოველ კვირას და ყოველ ქუჩი ნახავს კაცი დედაკაცებს, რომელთაც ხელში სამოლები უჭირავთ და ოთხ-კუთხივ დადიან სათხოვნელად. ხანდასხან შეიძლება რომ ამ მოსიარულებში ნამდვილათ ხატისთვინ მოსიარულენიც იყვნენ, მაგრამ უმეტესად კი უმრავლესნი ისეთი ლატაკნიც არიან, რომელთაც ლუკმა პურიც ენატრებათ. ზოგს ისეთ სილატაკეში ათასნაირი ხარჯი აწოდებს, მაგალითებრ ქირა, წვრილშვილები, ან გასათხოვარი ქალი, ან ავად მყოფი, უძლური და სნეული, რომელთაც ჩვენ ყველას ვერ მოჟსთვლით. მოკლეთ უნდა ითქვის, რომ დღეს „დიდებაზე“ ხშირად ისეთი გვამნიც დადიან, რომელთაც ლუკმა პურიც ენატრებათ. გული ყოველთვის დარდით აქვთ სავსე და სილატაკიდგან თავის დახწევის და ხსნისაც არაფერი უჩნდებათ. ასეთ ლატაკთა გაკითხვა დიდ სამაღლო საქმედ უნდა ჩაითვალოს, დიდის შველად. ვინ იცის რა სილატაკე აქვს მას კარჩე მიმდგარი და რა გაჭირვება, თორემ დიდებაზე სიარულს ვერ გაბედავდნენ. ამიტომ ყოველი ჩვენგანი მოვალეა ასეთი გაჭირვებულთა დახმარების.

ზემოდ აღწერილ სახელ წოდებათა გარდა საქართვე-

ლოში სხვა და სხვანაირი სახელ წოდებანიც ყოფილა ქართველდ მათხოვრების. იმერეთში სკოდნიათ „ხონის გლახა“ ძველათ თურმე ხონელი გლახა განთქმული ყოფილა გლახაობის შნოთი, გამჭრიახობით და თხოვნის მოხერხებით, დღეს როგორ არის „ხონის გლახათ“ საქმე და მათი ცხოვრება, მდგომარეობა და რიცხვი როგორ წარემართა, მათ მომატება იწყეს თუ კლება ამაზე ჩვენ არაფერი ვიცით. იმერეთშივე სკოდნიათ „გელათის გლახა“ ეს გლახები უფრო გელათის ახლო-მახლო მოიკრეფდნენ თავს და უმეტესად ეკკლესიის კარების წინ იცოდნენ დადგომა და მოწყალების თხოვნა. სხვა და სხვა კუთხეებშიაც სკოდნია მათხოვრობა და ნამეტურ რაჭისკენ, სვანეთსა და სამეგრელოსკენ. ყველა კუთხის მათხოვრების თავ-თავიანთ სახელებიც რქმევიათ, დღეს მათი რიცხვი შემცირებულია, თუმცა მათხოვრობა კი არ გამჭრალა, გაქრა მხოლოთ მათხოვრებთა ძველებური სახელ წოდებანი, თვით მათხოვრობა კი როგორც სხვაგან იქაც წინ მიდის.

როგორც სჩანს ძველად ყველაზე მეტს შეწუხებაში ქართლის მათხოვრები ყოფილან. აქ გლახა არამც თუ მარტოდ ცხოვრებით ყოფილა მათხოვარი, არამედ გონებითაც. როგორც ძველ ათ ისევე დღესაც ქართლის გლეხეცობა დიდს დაქვეითებულის მდგომარეობაშია შთავარდნილი, მათი ცხოვრების სახე. პირდა პირ მათხოვართა ცხოვრების მსგავს სურათს წარმოადგენს. არა მგონია, რომ ძველათ ან დღეს, 10.0 მოსახლეში 5 კომ. იყოს, რომ ამათ მთელი წლის სარჩო საბადებლის მოპოვება და გამოლება აღვილად შეეძლოს. მე დავიარე მთელი ქართლი, გავიცან იქაური ვლეხ კაცების ცხოვრება და ვაი მათ ცხოვრებას, ზოგთ ერთ სოფელში ბავშვების დანახვაც კი შემზარებია, რადგანაც იგინი ისე დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანთ საცმელით ყოფილან, ბავშვე-

ი კი არა და თვით კაცები და დედაკაცებიც ასეთსავე
მდგომარეობაში არიან შთაცვივნულნი. მე გულრს ყურიანათ
ვაღევნე ამას თვალი და ყველგან სილატაკე დავინახე, მიზე-
ზათ მე მაინც და მაინც ჩემით არ დავიწყებ ახირებას, ისევ
აღწერას განვაგრძნობ.

ქართლელ გლეხ კაცის ცხოვრება ისეა მოწყობილი,
რომ თითო გლეხ კაცი იქნება სიცოცხლეში სულ სამ-
ჯერ ელირსოს კარგი აზალი ჩოხის სყიდვა. უმეტეს ნაწილის
თქვენ ნახავთ საბრალოთ დახეულის და დაკონკებულს ფა-
რაჯებში, ზოგს მხარი აქვს მოგლეჯილი, ზოგს კალთა; ნაოჭი-
და სხვანი, რაც კაცს ერთობ ჩააფიქრებს, სამწუხაროა და
საგრძნობი უფრო ის, როცა კაცი ასეთს მდგომარეობაში
მოხუცებულს კაცს ხედავს, ლარიბ მოხუცთათვის ჩოხისა ხომ
ძეირი საქმეა, ამის ღირს აღარავინ გახდის რგო გახვეულია
ცხვრის ტყავში, ტყაბუჭში, პერანგი და სხვა ამისთვის არ
არსებობს, ქალამანიც დაძველებული, წინდებრც ჯრობ იშ-
ვიათათ და ქულიც ცხვრის ტყავის, შეა ხნობილი სიკვდი-
ლამდის გაყვება. მართალია ასეთ მოხუცნი მათხოვრები არ
არიან, მაგრამ მათი მდგომარეობა და ყოფა-ცხოვრება მათ-
ხოვრებზე უფრო დაჭვეითებულია, ამაზე მეტი რაღა უნდა
იყოს მათში. ამაზე მეტი სხვა სილატაკე აღარც კარ და, კარ
მოსიარულე მათხოვარს ადგია კარს. მოხუცებულ კაცთ გარ-
და თვით მოხუცებულ დედაკაცებიც ასეთსავე დღეში არიან
შთაცვივნულნი, ვისაც აქვს რამე, ის თუ ერთ უბრალო
შავს კაბას გამოიცვლის ხოლმე წელიწადში ერთხელ ესეც
კარგი საქმე იქნება, მაგრამ ვაი ამ გამოცვლას, ჩითი ან სხვა
რამ ურია ვაჭრის ან სომხისაგან იქნება ნაყიდი, ნისიათ,
რომლის ნისია იმდენ ხანს დარჩება გადაუხდელი, რომ თვით
ნისიად ნაყიდი გაცვდება, ტანზე შემოეფცვნება და ფულიც
კი არ ექმნება გადახდილი, ვალში მხოლოთ სარგებელი ექმ-
ნებათ გადახდილი, სარგებელი თვით ხშირათ თავნს სჭარბობს

ჭომით. მაგრამ მოვალე მაინც თავს არ ანებებს, მაგალითებრ
ნ მანეთის საქონელი რომ აიღონ ნისიათ, ამ ნისიათ აღებულ
საქონელში ყოველ წელიწადს ერთ კოდს პურს სარგებელში
მისცემენ ხოლმე. ასე რომ ყოველ წელს მოვალეს თავნზე
შეტი სარგებელ მიაქვს. ამ ერთი ტანთ საცმელისთვის
გატყავდება საწყალი ოჯახი და მეორე ხელს ვიღა მისცემს,
ვინ მიაქვავებს, როცა პირველი ხელის შეძენაც ჭირათ და
საწყევრად უხდება.

ერთი გლეხი კაცი ვნახევ მე, მეტათ გაჭირვებულს არ
ჰვანდა, მაგრამ ტანისამოსი კი საკმარისათ დაფლეთილი ეცო.
მე მინდა გამეგო მის დაფლეთილი ტანთ საცმლის ტარების
მიზეზი და ამიტომ ვკითხე: ძმობილო! მაგრეთი დაგლეჯილი
ტანთ საცმელი რათ აცვიათ თქვენი სოფლის გლეხ კაცობას.
შეძლება არა გაქვსთ, რომ მით ცოტა უკეთესი ჩიცუათ, თუ
მუშაობა ითხოვს აგრე სიარულს?

— ჩვენა, შენი ჭირიმე მუშაობაშიაც ეს გვაცვია და არ
მუშაობის დროსაც, შეძლება არა გვაქვს, თორემ ვინ შერ-
ცხვენილი არ ჩაიცვამს პატარა უკეთეს ტანთ საცმელს. ძალა
არა გვაქვს, ბატონო, მუშაობა არ გვაკლია, მოსავალიც
მოგვდის, მაგრამ მოსავალი გასავალს არ ჰყოფნის, იმდენი
ვაი- ვაგლახი და ხარჯები გვაწევს კისერზე, ვალისაგან ვართ
შეწუხებულნი, რომ ხშირათ, ჩვენ წლის სარჩოსაც ვიკლებთ
და მოვალეს კი უსწორდებით, გადის ნახევარი წელიწადი
რა ოჯახის საკვები მთლათ გველევა, მეორე ნახევარი წლისა
თითქმის შეწუხებით და ტანჯვით უნდა გავატაროთ, ვალის.
აღებით და სესხობით, მაგრამ ხშირათ ესეც არ არის, დღიუ-
რი პურის შეძენისთვის არ გვაქვს ნდობა, ძალა, ფული და
ტანთ საცმლისთვის აბა ვან რას მოგვცემს, ვინ რას გვასეს-
ხებს. ცხორება ისე გაგვჭირვებია, რომ ტანთ საცმელი აღა-
რავის აგონდება, როცა მოვახერხებთ და გადავარჩენთ რა-

მეს მაშინ თუ ვიყიდით. ჩვენ კარგათ გვესმის ჩვენი სილატა-
კის მნიშვნელობა, მაგრამ რას გავაწყობთ.

არავინ იფიქროს, რომ ასეთი სილატაკის მექონი გლეხ-
კაცობა მარტო ერთს კუთხეში იყოს, ქართლში უველგან
არიან ესენი და ნამეტურ იქით, სადაც უფრო ძლიერი თა-
ვადაზნაურობა და ვაჭრები არსებობენ. შაგალითებრ ბორჩა-
ლოს მაზრაში, უიდრე ქართველი გლეხკაცობა სცხოვრებლა-
მინამდის მათ ერთობ დიდი გაჭირება აღგათ კისერზე, მება-
ტონეთა ხარჯის გადახდას ვეღარ ახერხებდნენ, შრომა და
სახსარი ხარჯსა და ვალს აღარ ჰყოფნიდა, ამიტომ გლეხკა-
ცობამ გული აჰყარა სოფლათ ცხოვრებას, ესენი უცხო
აღგილებში მირბოდნენ, იქ სხვა სარწმუნოებას უერთებოდ-
ნენ და მით თავისუფლდებოდნენ სამუდამოს სილატაკისაგან.
ანგარიშებით სავსე დიდმა თავადობამ საქმე ისე დააყენა,
რომ ხსენებულს მხარეში ქართველი გლეხ-კაცობა სრულიად
მოისპო, გარდამეტებულმა სილატაკებ ხლეხკაცობის მამაპა-
პისეულს მიწა წყალზე ხელი ააღებინა და გასტყორუნა შორს
საცალა, რაის მეოხებით იგი მთლათ დაეკარგა თავის სამშობ-
ლო ქვეყანას. დღეს ბორჩალოს მაზრაში ქართველობის
რიცხვი სულ აღარ არის ასე 25 სოფელილა იქმნება და
ლამის დღეს ესენიც არყარნენ და წავიდნენ სხვაგან, რადგა-
ნაც ამათაც შეწუხებული აქვთ სიცოცხლე თავიანთ მება-
ტონეთაგან. მე კარგათ ვიცი, რომ ესენი აქა იქ დაღიან და
საბინადან თავისუფალს აღგილებსაც ეძებენ. ამათ ისე აქვთ
ცხოვრება გაჭირებული, რომ ამის მეოხებით თვით გათათრ-
დებიან კიდეც, რომ ოლონდ მის მეოხებით თავი იხსნან
სამუდამოს გაჭირება სილატაკისაგან.

ქართლის, კახეთის და სხვა ასეთ კუთხის გლეხთათვის
სილატაკის მეოხებით აღარაფერია დაშთენილი საჭიროთ და
გამოსაყენებლათ, გარდა დღიურის საზრდოსი, დღიურის საკ-
ვების ლუკმის შეძენისა. ამათ რომ ჰკითხოს კაცმა ან სას-

წავლებლის შესახებ საუბარი ჩამოუგდოს, იგინი მაშინათვე გაოცებით შეხედვენ საუბარს და უცბათ იტყვიან. სკოლა რათ გვინდა 'მენი ჭირიმე, სკოლაში რა უნდა გავაკეთოთ, რა ჩვენი საქმეა სწავლა და ან ჩვენ ვინ მოგვაცლის ამისოვის, მეორე ბატონო, ვერც სკოლის ხარჯს აუვალთ, მოვიხვევთ თავზე და რა გამოვიდა, უკანასკნელ ლუკმა პურიც გაგვიწყდება მის მეოხებით, ამიტომ ბატონო, სკოლა ჩვენთვის საჭირო არ არის, თუმცა ისიც კარგად შევიტყეთ, რომ სკოლის გახსნაც კარგია და სწავლაცა, რას ვიზამთ, როცა შეძლება არა გვაქვს, აი მიბძანდით ჩვენთან, ნახეთ ჩვენი სახლკარი, ქონება და თუ რქ თქვენ ნახავთ რამე ძალას, სიმღილეს, რის ძალითაც სკოლის შენახვა ადვილათ შეგვეძლება, მაშინ დიდის სიამოვნებით მზათა ვართ, რომ ასეთს საქმეს ხელი მოვკიდოთ. გინდ შეძლებაც რომ გვექმნეს, მაინც შვილებს ვერ შეველევით, მათ დროს ვერ დავკარგავთ უბრალოთ, რადგანაც მათს შრომის მეოხებით ოჯახს კა ძალა ეძლევათ, თორემ ჩვენ უმეტეს ნაწილ მიკიტნის დუქნის წინ ვატარებთ დროსათ.

ასეთ უბედური ბედშავნი ისე დაცემული არიან და ამათ ისე აქვსთ ოვსილა გამოცლილი, რომ საღმე ხატობაში მათი მებატონენი იქმნენ და ამათ ჭიდაობა განიძრახონ და გლეხთ კი არ იჭიდავონ, მაშინ ბატონასაგან საზარელი ცემა-ტყეპა მოელის და ამ ცემა ტყეპის დროს კრინტს, ხმასაც ვერ დასძრავს. ნაცვლად ამის მცემელ ბატონს მიუშვერს ზურგს და ეტყვის „დამარტყი შენი ჭირიმე ბატონო, დამარტყი, თქვენი მონა გახლავართ“ და თან მობუზვასაც დაიწყებს მონურად. ბრძანებელიც მისდგება და ვიდრე გულს არ ისრულებს, მანამდის აღარ მოეშვება. ასეთი სურათები მე თვით მიჩახვს ხშირათ, მოვსულვარ გულზე. მაგრამ ვერა გამიწყვირარა. აქ ნელ ნელა მოვსიავლი ყველა იმ არსებულს ნარუქებს, რაც კი ჩვენ გლეხთა სჭირო და მკითხველმა მით აიხსნას მდგომარეობა ჭარ-

თველი გლეხისა და ისიც განსაზღვროს, თუ ქართველი გლეხი რათ უნდა ითვლებოდეს, რას უნდა გავდეს მისი ცხოვრება. ქართლელი და კახელი გლეხ კაცი ისე დაბერდება, რომ აბანოში ერთხელაც არ წავა, შინაც ხომ სულ არ იციან ბანაობა. იქმნება ასში ერთხელ მოხდეს რომ ცივ-წყალში იბანავონ, მაგრამ ისიც უსაპნოთ, ისე ჭუჭყის გასაყრელათ არა, როგორც გასაგრილებლად. ბევრს ალაგას ლოგინი თუმც კი იციან, მაგრამ ვაი იმ ლოგინს, იმაში კაცი ვერ დაიძინებს, რადგანაც საშინელი დიდი ზინტლის სუნი იქმნება გაურეცხაობის გამო. მე შევესწარ ასეთ მაგალითებს თვით ისეთ გლეხთა ოჯახთ შორის, რომელნიც სოფელში ოჯახის შვილებათ ითვლებიან, ოჯახი შვილები თუ ასე არიან, ასეთს ცხოვრებაში, მაშ არა—ოჯახის შვილები რაღა უნდა იყვნენ.

საუბედუროდ ამათი საჭმელი და სასმელიც მეტის-მეტ უხეიროდ მომზადებული შეადგენს. არა მგონია რომ ამათი საჭმლის გემოს ვინმემ შენატროს, ერთი მხოლოდ სუფთა წყალი და კარგი ჰაერი აქვთ. რაც ამკობს მათს სასოებას პატარა პირიანის გარემოებით, თორემ სხვაფრივ მასში სახარ-ვიელო არა არის რა, ერთავად მხალი და მხალი, ზოგს ლო-ბიოც იშვიათად აქვს და ხორცს ხომ თვალით ვერ ნახვენ, იქნება ალდგომას და შობას ელირსოს თითო ნაჭერს ხორცს, ამასაც იგინი ოჯახის შვილებ გლეხებთაგან მიიღებენ სამაღ-ლოდ და უფრო კი ლორის ხორცს, რაც ჩვენში გლეხ კაცის ოჯახისთვის დიდს მაღამოდ, დიდს ძალად ითვლება. თქვენი მტერი რომ ჩვენი გლეხისთვის ლორი და ლორის ქონი არ ყოფილიყო, მაშინ ამათ ცხვრის ხორცს არავინ უჩვენებდა თვალით, თვით ქადებსაც კი ლორის ქონით აცხობენ ხოლმე, მაგრამ ეს ქადა მართლა ქადად არ ეგონოთ, უხეირო შავი ქვის მსგავსი ფქვილისაგან, რასაც თუ არ გაჭირებული კაცი ისე სხვა არავინ აიღებს და სჭამს.

ყველაზე სამწუხარო და უძლური ასეთ პირქვე დამხრა-

ბალთათვის საზარელია ზამთარი, რადგანაც გლეხნი მებატონის
ბინაზე ცხოვრობენ, მოსავლის ხარჯს იხდიან, სახელმწიფოს
და სხვებსაც მრავალს. ამათი მდგომარეობა იქამდის საგრძნო-
ბელია, რომ ხშირად დიდ ზამთარში, როცა სუსხი სიცივე
არის, ამათ სახლში ასანთები შეშა არა აქვს, შეშა იმიტომ
არა აქვთ, რადგანაც ტყის ფულის გადახდა არ შეუძლიანთ.
ტყის ფული კი არა და ხშირათ პურიც არა აქვთ ზამთარში
რომ დღიურათ ისაზდოვონ დი ტყის ფულს ვინ ჩისცემს.
რამდენ ალაგს შევსწრებივარ, რომ ლარიბ ოჯახს ცული,
წალდი, ნაჯახიც არა ქონია, მათგან შეშის დაპობა წამება
ყოფილა, ხშირად ეს უბედურნი აქა იქ დაღიან, ნამეტურ დე-
ლების ახლო მახლო და წვრილ-წვრილ ჩხირებს აგროვებენ
ხოლმე, რითაც მცირეთ თბებიან ხოლმე. ასეთ ხალხს არც
ცხვარი გააჩნია, არც თხა, არც ძროხა, არც ცხენი, ხარ-კა-
მეჩი და სხვა, ყველაფერი თვითონ ესენი არიან თავიანთი
თავისთვის, ყველაფრის მოგროვებას მათი ზურვი სწევს..

არიან ისეთნი დაცუმულნი და დატანიც რომელთაც ხე-
ლობად აქვს აქა იქ ხიარული და სხვა და სხვა რამეების გრო-
ვება, მაგალითებრ ყანა მოიმკო და პატრონებმა ძნა წაიღეს,
აქ ცოტ-ცოტა თავთავებიც დაცუივდება, ან ხორბლის მარ-
ცვალი, მოედებიან ამას დიდი, პატარა, და ისე აკრეფენ მარ-
ცვალ-მარცვალ, როგორც ქათმები ერთის ყანის ადგილას
გათავების შემდეგ შეორეშა გადავლენ, მესამეს და ასე ამ
გვარად, შეგროვილ მარცლით ირჩენენ თავს, ბევრი ისეთი
დღეშია რომ ხორბალს შინ ნაყვენ ან ხელსაფქვავით ჭკვამენ
და იმით აცხობენ პურსა და სჭამენ, რადგანაც წისქვილში
წალების თავიც არა აქვთ, ასეთ ოჯახთა ფარდაგი, ლოგინი
ტყაპუჭის და ჭილობებისაგან შესდგება, ჯამ-ჭურჭელი სულ
უბრალო თიხისაგან, მთლად ამათი ოჯახის სიმუდიდრის ფასი
იქმნება ვ მანეთი. ზეით ვერც კი ავიღეს. ამათშა ნამეტურ
სამწუხაროს მოხუცებულთა მდგომარეობა, რომელნიც საყო-

ველთაოდ გულ-მკვდარნი და მშერნი ატარებენ თავიანთ დღეებს. ერთი უბედულება ამ საწყლებისა ის არის, რომ ამათში შებრალება სოფლის შეძლებულო მცხოვრებთ სულ არა აქვთ, ამათ რომ ასეთ ლატაკთ სიბრალული ქონდესთ, მაშინ ლატაკნიც ასე არ იქნებიან განწირულნი, ასეთს უბედურ მდგომარეობაში არ შთაცვივდებოდნენ. ერთის ლატაკის სახლში ვიყავ, გნახე მათი ლამის თევა და ღმერთმა დაიხსნას ყოველი ჩემი მტერი ისეთის უბედურებისაგან რაც იქ ვნახე მე, სანთელი არა აქვთ, შანდალი და სხვა. ზოგი მკვარს ან-თებს და აბოლებს, ზოგი კერაში მუგუზალს აგდებს და აბო-ლებს, ზოგი სანავთე თუნუქას პატრუქს უკეთებს და ანთებს, რაც მთელ ლამეს ბოლავს სახლში და მით ვნებს ყველას ვინც კი შიგ წევს, ნამეტურ ბავშვებს.

ერთ ზაფხულს ქართლის სოფლის ლატაკ ოჯახებში და-ვიარე, მე პევრს ვკითხე მიზეზი სილატაკისა, ზოგმა სოჭვა რომ ვალისაგან დავეციო, ზოგმა სთჭვა. რომ მამა ჩემიც ასეთი ლატაკი იყოვო, ზოგმა ჭაჭარს მიაწერა, ზოგმა ბა-ტონსა, ამათ აგვანიავეს და დავილუპეთ და დავგლოხაკდითო. ი დღესაც ამ ლატაკებს და გლახებს ჩვენის მებატონეებისა-გან პირში სული არა გვაქვს შერჩენილოვა. მაგალითებრ ჩვე-ნი ქათამი, ბატი, იხვი, გოჭი ან სხვა რამე მაგათ ბალ-ბოს-ტანში რამ გადავიდნენ და არც კი გააფუჭონ რამე, ეგენი თუ მოასწორობენ, დაიჭერენ ყველა ამეებს, დახოცვენ, სალა-მოზე ქეიფს გამართავენ, გაჟენებამდინ ქეიფობენ, მრავალ-უამიერსს ძახილით მთელს სოფლის დაღალულს — მუშა ხალხს არ აძინებენო. მაგითი რამე რომ ჩვენს ბოსტანში გადმოვი-დეს და სულაც რომ ამოაგვონ და გააფუჭონ, ჩვენ ვერც კი ლავიჭერთ და ვერც სხვას უზამთ რამესო, რადგანაც მებატო-ნენი სულ აგვიკლებენ დედამიწის პირიდგანაო. ასეთ უპე-დურს სოფლებში სხვაც შეგხვდება.

ერთ სოფელში სურედ ასევე მწარედ სჩივოდნენ ხიზნები და თან გაჰყურებდნენ ცხინვალის მხრის მთებს და გაკვირვე-

გით ამბობდნენ: ჩვენ ერთი დღიური საკუთარი მიწა არა
გვქონდეს და იმოდელი მთები კი ერთს ერისთავის შვილს
ეკუთვნოდეს, ეს განა სამართალია, ეს განა საქმეა, აქ ან
ღმერთი სად არის, ან ხატი, ან ქრისტე, ან ზიარება, ყველა
ტყუილი ყოფილა. ყველა ჭორები, თუ ეს ასე არ არის, მაშ
ჩვენ რათ ვცხოვრობთ ასე გაჭირვებით, ნუ თუ ღმერთი არ
უყურებს ჩვენს ტანჯვა-მწუხარებას, ჩვენს ცრემლს და ვაი
ვაგლასს. რაც ამათ ილაპარაკეს, მე ყველას ვერ მოვიყვან. მე
ლაპარაკი დავუწყე და მათ თავიანთი თავები თითქმის მონა
მათხოვრებათ აღიარეს. სთქვეს ოომ გლახები უფრო კარგად
სცხოვრობენ ჩვენზეო, იმათ მუშაობისაგან გვერდები მაინც
არა აქვსთ ჩამტვრეულიო და ჩვენ და ჩვენი ბავშვები კი პა-
ტარაობიდგანვე იღუბებიან და იჩაგრებიან ბევრს მუშაობისა-
განა და ამის სანაცვალოდ კი ჩვენ არაფერი გვიჭირავს ხელ-
შიო. მამა კვდება გლახათ, შვილიც გლახათ და შვილის შვი-
ლიცო. ასე რომ ამ უბედურების ცხოვრება, თვით მათის-
სიტყვით ბევრათ მწარე ყოფილა, ვინემც საბატონო და სახა-
სო თვით ღარის გლეხებისა, რომელთაც არაფერი გააჩნიათ.

მე კარგათ მახსოვს, როცა ერთი ქართველი მემამულე
თავადის შვილი მწერალი ხიზნების შესახებ შემდეგს მოძღვ-
რებას ქადაგებდა ადგილობრივს გაზეთებში.

მე კარგათ ვიცნობ საბატონო, სახემწიფე და ხიზან
გლეხების ცხოვრებასაო და უნდა მოგახსენოთ, რამ ხიზან
გლეხ კაცობა ყველაზე კარგათ ცხოვრობსო, რაღვარაც იმათ
გაცილებით სხვებზე უფრო მეტათ უყვართ შრომა და გარ-
ჯაო, რაკი დადგება სამუშავო დღეები, ხიზნების დიდი, პა-
ტარა სულ სამუშავოდ გადიანო. რაღვარაც მათ საკუთრება
არა აქვსთო, ამიტომ ქალი, კაცი, ყმაწვილი ერთავათ მუშაო-
ბაში არიანო, ნაწლავებზე ფეხს იღვამენ და შუშაობით კი
მუშაობენო, რაღვარაც ცხოვრების შიში აქვსთ და ამ შიშს
კიდევ მათი უქონლობა და ხიზნობა ჰბაღავსო. ესენი ისე

ცხოვრობენ, რომ მებატონის, ანუ სახიზნო ბეგარასაც აღვი-
ლათ იხდიანო, სოფლის ხარჯსაც, სახელმწიფოსაც და სხვე-
ბიც, ერთის სიტყვით ქსენი თავიანთ ხარჯს უჩხუბრათ იხ-
დიანო, სახელმწიფო და საბატონო გლეხნი კი ამ ბედნიერე-
ბას მოსპობილნა არიან და ქსენი არა დროს არც ერთის
ხარჯს არ გადიხდიან ისე, რომ იმ გადასახადის გულისთვის
ურთიერთ შორის ჩხუბი არ მოხდესო. ამიტომ მე სამჯობი-
ნაროვ მიმაჩნია, რომ არამც თუ ხიზნების განთავისუფლე-
ბა და საკუთარ აღვილ მამულის შეძენაო. არამედ ზემო ხსე-
ნებული გლეხ კაცნიც ხიზნების მსგავს მდგომარეობაში მო-
ავსეთ და მათ თავიანთ საკუთრებაზე ხელი ააღებინეთო,
თორემ ხსენებული გლეხები ისე წახდებიან, რომ უკანასკნელ
სულ „გლახებათ“ გადიქცევიანო, ამას ფიქრი არ უნდაო.
საოცარია ჭრიარი ამ მოძღვრის ასეთი ქადაგება! მართა-
ლია გამოჩენილი ლეტურნო ბრძანებს თავის სოციაალოგია-
ში, რომ ხშირათ სიმშილი კაცობრობას აფხიზლებს და წინ
სცლისთვის და წარმატებისთვის რაზმამსო, ამას არც ჩვენმა
მოძღვარმა დააკლო, ეს უფრო მკაცრათ შეეხო ცნობილ
საგანს.

მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ქართლელი გლეხის სი-
ლატაკეს და „გლახებს“ ცხოვრებას განა ეჭვი და უნდა,
განა ქართლელი გლეხი თავით ფეხიმდის გლახის სურათს არ
წარმოადგენს, ამაზე ნუთუ ვინმე უარს იტყვის და გლეხების
ცხოვრებას რამე მნიშვნელობას მისცემს, ეს მე არ ვიცი,
შეიძლება ეს ბევრმა ასე ქმნას, მაგრამ მეკი ვერ ვიზამ, რად-
განც ქართლელი გლეხის ცხოვრება ქალაქში მცხოვრებ
მათხოვრებზე მე უფრო დაბლად მიმაჩნია, აი მოგეხსენებთ
ცოტა კიდევ მას, რაც ზემო მწერლისაგან მკვეცნიერს მდგო-
მარეობაში მყოფი გლეხთა ოჯახებში შემინიშნავს, რაც ჩემის
თვალით მინახავს, რაც ხშირათ ჩვენ გაზეოდის კორესპონდენ-
ცებისაც შეუნიშნიად ხოლმე.

ქართლ-კახელი გლეხი უმეტეს ნაწილს, ქერის, სიმინდის და ხანდასხან ჭვავის პურითაც კი ძლებიან, რადგანაც პური ხშირათ აკლდებათ. მოსავალი მოვალეეებს მიაქვთ. ამათი ცხოვრება და მდგომარეობა გლახების მდგომარეობაზე უარესია. რომ ამათი ცხოვრების პირობები ერთობ განწირულს მდგომარეობაშია ჩავარდნილი და მასთან ბევრი არაფერი სცხია სახარბიყლო და სანუკარი, ეს იქიდგანაც კარგათ გამოჩნდება, თუ ამ ბევრშავს გლეხ-კაცობას ორ სამ წელიწადს კარგი მოსავალი არ მოუვადათ, მეოთხე წელიწადს მთლიანი მათხოვრათ ჩავარდებიან. აი მაგალითიც, რომელიც გამოჩანს კეშმარიტებას, ყველამ ვიცით, რომ ძველის ძვილადვე საქართველოს სამეფოსაგან მთის ხალხი ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებული იყო, მთის ხალხი არავის არ ემორჩილებოდა, იგინი სამეფო გლეხკაცებათ ირიცხებოდნენ, სამეფო ხარჯს იხდიდნენ, ბატონ ყმობას გარდა მათ აღგილ მდებარეობასაც არავინ მებატონე სუნავდა.. მთის ხალხს მინიჭებული ქონდა მამულის საერთო მფლობელობა, კანონ მდებლობისათვისაც თავიანთი სასულიერო კაცები ყავდათ მორჩეული და ეს სასულიერო პირნი განაბჭობდნენ ხოლმე მათს საქმეებს კვირა დღეობით, წირვის შემდეგ საჭვეუნოთ. ასეთის უფლებებისაგან მთის ხალხი წელში გაშორილი იყო, სულიერათ აღორძინებული, ზნეობრივათ. წინ-წასული, ძმობით, ქველობით და შამულის შვილობითაც აღვსილნი. ერთის სიტყვით ძველათ მთის კაცის ოჯახი ოჯახს გვანდა და ხალხიც ხალხს. ესენი მაღლა იღგნენ საყოველთაოთ ბარის ქართველებზე. სწორეთ ერთ ასეთ კუთხეთაგან ითვლებოდა ძველათ ცნობილი კუთხე ქიზიყი, საღაც ძველის ძველიდგანვე ვერ იბოგინეს მებატონეებმა, აქ ვერც თავადებმა გაიმაგრეს ფეხი, ვერც აზნაურებმა, თუმცა ერთნიცა და მეორენიც კი სცხოვრებდნენ, მაგრამ სოფელში ხმის ქონვით და მამულე-

ბის მფლობელობით კი ძალიან წინ არ იყვნენ სხვებზე წასული, რადგანაც მათ სრულიად წართმეული ჰქონდათ ხელიდამის უფლებებითი შხარეები რითაც სხვა მხრის თავადაზნაურები დიდათაც პარპაშობდნენ.

ჩვენ ბევრს სჯასა და კამათობას არ დავიწყებთ მასზე, თუ ეს გლეხნი ასე ცხოვრებენ და ისინი ასეო. დღეს სილატაკე ქართველთ შორის ყველას ცხადლივ ეტყობა, ვინც კი ლატაკია და უქონელი, ამ უქონელთ შორის დამკვირვებული, მნახველი და გამცნობი ცხადათ მიხვდება მას თუ ლატაკთ შორის ვინ ზარმაცობის მეოხებით უნდა იქმნეს უძლური და ვინ უმამულობის. ზარმაცულ ლატაკთ რიცხვი უფრო აზნაურებისაგან შესდგება. ჩვენებური აზნაური სხვა სისხლის არის და გლეხი სხვა სისხლის, აზნაური ძველათვე აზნაურობით გაჩენილა, იგი ნაზად გაზღიული გახლავსთ, მას რაც გინდ ბევრი მამული ქონდეს, მაინც მუშაობა მისი საქმე არ არის, მან ცუდათ უნდა იაროს, მამულები გლეხებს მისცეს იჯარით, გლეხებმა იმუშავონ, ნამუშევრიდგან ნახევარი ბატონს აზნაურს უნდა მისცენ, რომ ამან თავი ირჩინოს და ნახევარიც თვით დაიტოვოს, თუ აზნაურს ღმერთი სწყალობს და ასეა საქმე, ხომ კაი თუ არა და მაშინ ვარ მისი ბრალი, სილატაკის უმუშაობისაგან და წუნიობის მეოხებით. გლეხზე უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, ამაზე სიტყვა „მათხოვრის“ ხმარება ცოდვა არის, არამედ უნდა უწოდოთ „გლახა“, კაცი მამული ქონდეს, იმან რომ ეს მამული ვერ მოიხმაროს და მედიდურების მეოხებისაგან გაღატაკდეს, იმას სხვა რა უნდა უწოდოთ, თუ არა „გლახა“.

აზნაურთა უხეირობას და ზარმაცობის მეოხებით მათი ოჯახის წევრნი და ნამეტურ დედაკაცები დიდს სილატაკეში ვარდებიან. მათ ბედ-შავთ ერთხელ კაი დღე და დარი ედგათ და უკანასკნელს კი ისეთ დღეში შააცვივდნენ, რომ სილა-

ტაკის მეოხებით ხალიჩები, ლოგინი და ავეჯეულობაც დაეყიდათ, ტანზე რიგიანი ტანთ საცმელის ხმარებას მონატრულნიც გახდნენ, მრავალნი ფალასებში გაეხვივნენ, კარში გასულკაცს ვეღარ ეჩვენებოდნენ, ამათ მწარეთ სწამდათ წარსულის მოგონება. მაგრამ რას იზამენ, ამათ შვილების მდგომარეობა უფრო სამწუხაროა. უმეტესი ნაწილი შეუძლებლობის გამო უსწავლელათ შთებიან, ვინც სწავლობენ, ისინიც სამუდამოთ სკოლაში არ რჩებიან, შუა გზიდგან რეკვენ და მერე ესენი ტრახტირებში ატარებენ დღეებს, აქვდგან ეჩვევიან მეარლნობას, მეფაეტონობას, ჯიბკირობას, ყომარბაზობას და უკანასკნელ ციხეშიაც ვარდებიან, მერე ციმბირს იგზავნებიან. ესეთი შედეგი მოსზღევს მოუფიქრებელ და უგვან აზნაურთა შვილების საჭმეს. ესენი სძულთ გლეხკაცობას, მათში მტრობა გამწვავებულია და ვინ იცის მას რა დიაცხრობს თუ ემთა ვითარების მეოხებით სამკურნალოდ არა მოევლინარა.

გაჭირებული აზნაურების რიცხვი სილატაკის მეოხებით სრულიად ისპობა. წყდებიან, ამას სწორე სტასტიკაც გამოაჩენს.

აზნაურობის ნაწილიდგან ვინც შრომას შეეჩიენ იმათ იხსნეს სილატაკისაგან თავი, მაგალითებრ იმათგან გაჩნდნენ სტალრები, სლესრები, მჭედლები და ვინ იცის რამდენ კიდევ სხვა ხელობებში იჩინეს თავი, რადგანაც მათ მამული ალარ ჰქონდათ, მამებს სულ შაეჭამათ, გაეყიდნათ სხვა და სხვა მდიდრებზე. ცხადათ ემჩნევა, რომ შეუძლო და უქონელ აზნაურებისაგან უფრო ხელოსანი და მუშები გამოდიან და ესენი გაცილებით უმჯობესათ სცხოვრობენ შედარებით სხვა ცუდულლებთან. შეძლებულ აზნაურებთაგან ზოგმა ვაჭრობას მოკიდეს ხელი. დღეს კაცი ხშირად შეხვდება აზნაურს მოვაჭრეს და ამით გვარიანათაც მიყავსთ თავიანთ ვაჭრობის საჭმე. მრავალ ამათაგანი გლეხებსაც დაუახლოვდნენ, მათში

ნათესავობაც ჩამოვირდა, ნამეტურ აზნაურ ხელოსნებს შორის.

ასე და ამ გვარათ აზნაურებს ხელოსნოება და ვაჭრობა ძრიელ აახლოვებს გლეხკაცებსა და მოქალაქეებთან. დღეს ძრიელ ხშირად ვნახავთ ასეთ ოჯახებს, სადაც წოდების გარჩევა აღ-რ იციან და განურჩევლათ სკხოვრებენ, ეს უფრო კი ქალაქ ადგილებს მცხოვრებ აზნაურებს ემჩნევათ, თორებ სოფლიად ეს ისე არ არის. იქ აზნაურობა თუმცა უფრო სიღატაკეშია ჩავარდნილი, მაგრამ თავს მაინც ინახავს მაგრა, უფრო ცობის მეოხებით გლეხებთან გრძლებულთან იგინი არ კადრულობენ დანათესავებას და ამიტომ ხშირად სიღატაკის გამო პირში სულიც ეხუთებათ და სამუდაშოდ ღატაკდებიან, გლახავდებიან.

რაც ხანი გავა ცხადი საქმეა, რომ აზნაურობა თუ ხელობის შესწავლას, მუშაობას, შრომას და მეცადინაობას გაჰყვა, ის ცხადია, რომ გაჭირებისაგან თავს იხსნის. იმას მერმისში გამრავლებით მომავალი მოელის, ამას ფიქრი არ უნდა, ვინც ამას არ გაჰყვება და იმის საქმე უბრალო გახლავსთ, რადგანაც დღეს შრომა და ფული მეფობს და არა მედიდურებით აღვსრლი საგვარტომო ოცნებანი და წოდება. ყოველ შემთხვევაში უნდა შეინიშნოს, რომ აზნაურებთაგანაც არა მცირე რიცხვია საქართველოში გაჭირებულების ღატაკებისა. ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობის მდგომარეობაზე არა ნაკლებს ცუდს მდგომარეობაშია მოთავსებული იმერეთის გლეხ კაცობაც. იმერეთის გლეხ კაცობა ქართლ-კახეთისაზე მაღლა დგას, კოპტიობით, ზრდილობით, მაღ-მიხევდრით, იგი მეტად ჩქარ ბუნებიანია, მაღხაზი, ყველა კი მას ხელს უწყობს წინ სვლის და წარმატებისთვის, ამიტომ ესენი უფრო აღრიდანვე მიეცნენ მხნეობას, შინიდგან კარში გასვლას, შრომას, სამსახურს, ფულის მოგებას და მის მეოხებით ბატონისაგან თავის.

დახსნას, მამულის გამოსყიდვას, ვაჭრობის ხელის მოკიდებას და ბევრიც სხვანი, რასაც აქ ვერ მოვსთვლით.

გლეხთა წარმატებამ და წინ სვლაშ წახალისა თვით თავად აზნაურობაც და დღეს ხშირად შეხვდება ამათ კაცი მოსამახურედ, ლაქიად, მუშად და ვინ იცის რად არა, ოლონდ ფული კი იშოვნოს. ფული ამათ წინაშე პატარა ლმერთად ითვლება, ესენი თამავად ამბობენ, რომ ქვეყანაზე საში ლმერთია. თვით ლმერთი, მეორე ლმერთ-ფული და მესამე თვით კაცია. თუმც იმერეთის გლეხ-კაცობა ყველაფერს შენედ შეებრძოლა და მან ბევრი რამ სამაგალიურ საქმეები მოახდინა გლეხთა ცხავრების ასალორძინებლად, თუმც ესენი განათლებისათვისაც დიდად ზრუნავდენ და ერთმანეთის ვითარება და გაჭირებაც კარგად ესმისთ, მაგრამ მაინც იშერთ გლეხებთა შორის არიან ისეთი გლეხნიც რომელნიც ცხოვრებით განწილულს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი და შეთი ცხვრება მათხოვრობას და ვლახებზედაც კი დაპლა სდგას. მათი შედარება არც კი შეიძლება, რადგანაც იქ ხშირად ესენი ღორის ხაწლევებსაც კი აგროვებენ მოსახარშად და საქმე-ლად, რასაც ქართლ-კახეთის გლეხებში კაცი ამას ხშირად ვერ შეხვდება, ვერ ნახავს, აქ ამას არ სჭამენ.

მე მარწმუნებდნენ ზოგი ერთნი რომ ვითომც იმერეთშე ლატაკია გლეხ კაცობა არ სცხოვრობსო. ამის შესახებ ზოგი ერთ პირთაგან კამაჯიც მქონდა, მე არ მჯეროდა რომ იმერეთში ლატაკი გლეხ-კაცობა არ ყოფილიყო, მოდავეებმა კინალამ დამარწმუნეს, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად გამოდგა. მოდავენი არ აღმოჩნდნენ წმინდის მექონი გვამნი, იგინი, როგორც თავმოყვარენი, და წოდებრივის მედიდურებით სავსენი, არ იყვნენ ჰეშმარიტებით აღვსილნი. იგინი იყვნენ თურმე მიზეზნი ისეთის სიღატაკის დაბადების, რაში გახვეულს გლეხებსაც ჩვენ აღვსწერთ. ნათქვამია მათზე: „მაძლარ აზნაური შვილებს ყველა მაძლარი ეგონათო“. განვლო დრომ და

უკანასკნელ თვით ამ გმირებმა იწყეს მტკიცება და ლალადება, რომ საქართველოში სიღატაკე თავს იწევს, ამ სენში ყველა ეხვევაო. დალოცვილებს ის კი ავიწყდებათ, რომ თვითქოს ძველათ კი ამაზე უარესობა არ იყო. თვითქოს ძველათკი მღიდრები და უჭრუნველნი იყვნენ ჩვენი ძველები. ძველათ ჩვენს ძველებს და ნამეტურ გლეხებს მიხვედრა არ ქონდათ, თორებ მაშინ უფრო დიდი სიღატაკე არსებობდა ქართველთ შორის, სიღატაკე ისეთის სახის და ზომის, რასაც დღუვანდელი არაფერი შეედრება.

იმერეთის ზოგი ერთს კუთხეებში არიან ისეთი ლატაკ გლეხ კაცნი, რომელთაც ერთი მტკაველი საკუთარი მიწა არა აქვსთ, ვენახი, საქონელი და პირუტყვი ხომ სულ არ მოეძევებათ. საქონლის საქმეს თვით აკეთებენ, მაგრამ ხშირათ ვაი იმ გაკეთებასაც, საყოველთაოდ ლუკმა პურს დანატრულებულნი არიან და მათის საკვებავს სიმინდი, ჭვავი და ამისთანაები შეადგენს. თვეები ისე გავა რომ ესენი ხორცის არამც თუ გემოთ, არამედ თვალიდაც ვერ ნახვენ. მე ვიარე ბევრს კუთხეში და ასეთ გლეხთა რიცხვი ერთობ უხვად ვნახე, თითქმის ყოველს მხრის კუთხეებში მოიძებნებიან ასეთნი. ცხოვრებისაგან დასჯილნი უამთა ვითარების მეოხებით ისე დაცუ- მულან, ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილან, რომ ცუდს მდგომარეობას თვით მათს გამრავლებაზედც უმოქმედნია და მათ სიღატაკის მეოხებით შემცირება დაუწყვიათ, ანუ გადაშე- ნებ-გადაგვარება, გადაჯიშება და გაწყვეტა, ისპობიან კიდევაც რაც შეეხება შეეძლებულ გლეხთა ცხოვრებას, მაინც და მაინც არც ესენი არიან სახარბიელო მდგომარეობაში, ესენი ცხოვრობენ ვაის ვაგლახით და ცოტათი მეცალინეობენ წარმატებისთვის.

ამათი შვილები ზოგი მოსამსახურედ დგება, ზოგი ვაჭარ- თან და ზოგიც აქა იქ ხელოსნებთან, ამათში ცოტ-ცოტა ყველაფერმა იწყო ალორძინება, ხოლო ჩვენგან ზემოთ მოხ-

ნებულთ ლატაკოეთი თრაფერი ემჩნევათ საიმედო და მათგან არავინ ეტანება წელობას, ვაჭრობას და მოსახსახურებას, შათ ოჯახთა წევრთა რიცხვიც ერთობ ნაკლებობით მიღის წინ. ოჯახის წევრთა რიცხვი თითქმის ყოველთვის მხოლობითის რიცხვით არსებობს, მას სილატაკი, ცუდი სადგომი, არა შესაფერი ცხოვრება და ვითარება არ აძლევს გამრავლებას, ლატაკი შთება ლატაკად, მამა და დედა კვდება ლატაკად, მათ რჩება ორი-სამი შვილი, მაგრამ ესენიც მამისავებს მდგომარეობაში სცვივდებიან, იმათსავებ უსიხარულოთ იხოცებიან, შემდეგ ასეთივე ნიშნები ემჩნევათ ცხადათ ამათ შთამამავლობას, თუკი ეს მათში ვისმეს მოეძევება.

იმერთა შორის გლეხებში დღეს არიან მრავალნი ისეთი ლატაკნიც, რომელნიც ცოლ შვილობას სამუდამოდ გამოთხოვილნი არიან. ასეთი წყობის ლატაკნი იყვნენ ძველათვე და არიან დღესაც. სილატაკე იმერეთში ისე იყო აზვავებული რომ აქ ამის მეოხებით სრული მონება არსებობდა, მონება, და სილატაკე აქ ყველგან იყო წინ წასული და გარდაპარპებით კი რაჭაში, ლეჩხუმისაკენ, სვანეთში, სამეგრელოში და გურიაშიაც. გურია-სამეგრელოში ერთ დროს, კაცის სყიდვაც კი შემოიღეს სილატაკის მეოხებით. აქ ერთს ხელცახლუში აზნაურის შვილები გლეხის, ანუ თავიანთ მონის შვილებსაც კი ჰყიდნენ ასმალებზედ: ეს უბედური გავლენა არამც თუ მარტოდ გურიას უნდა შევამცნიოდ, არამედ ესევე სენი გახლოდა ჩვენის სამეფოის უბედურების, რომ იგი დაუძლოურდა უგვან პირთა მეოხებით და ბოლოს სულიც დალია ისე როგორც მშიგრად დატოვებულმა მომაკვდაცმა. ვისი და რისი ბრალი იყო ეს. პირველი ჩვენის სილატაკის და მეორე უვიცობის, გაურჯელობის და მონების.

იმერთა მრავალ სხვა და სხვადასების მიმართვის პირნი ამბობენ, რომ იმერეთში ლატაკები არ არიანო, აქ სილატაკეს რა უნდაოს იმერეთის გლეხკაცობა ერთობ კარგა სცხოვრობსო.

აქ თუ გაჭირება არის უფრო თავად აზნაურობას აღვა კარხეო, ამ საგნების შესახებ ცნობებს გაზეთებშიაც სწერენ და მით ხალხს გარდა თვით მთავრობაც შეპყავსთ შეცდომაში და ლატაკს გლეხებს მთავრობა ხარჯსაც უმატებს, რაღანაც გლეხთა სისხლის მწოველო სტატისტიკასების წყალობით გლეხები საკმარისათ შეძლებულიათ და მდიდრად მიაჩნიათ. აქ ერთი უბედურება იმაში გახლავსთ, რომ ასეთ ცნობებს ავრცელებენ ისეთნი რომელთაც ქვაც აქვსთ და კაკალიც; მე არა მგონია რომ იმერეთში იყოს ერთი ისეთი მებატონის გვარი, რომ იმათ წევრთ 300 წლის განმავლობაში 100 სულზე მეტი ლატაკი მონა ქართველი არ ჰყავდეს გაყიდული ოსმალ სპარსელებზე, დახოცილები და დატანჯულები კიდევ სხვა იყო, ჩვენში მე 19 საუკუნის შემდეგ დროის გამგეთ არც სამართალი იყო, არც სინდისი, არც სიბრალული, ყოველ გლეხს და ლატაკს აქ პირად უფლება წარმეული ჰქონდა, იგი დამდაბლებულია ტანჯვით, იგი მონა არის სულით ხორცამდე და სამარადისოთ გლახათ ქუეული, ლატაკებსა. თავზე არავის არ ეხურა და ფეხზე, იმერთ გლეხთ შორის ჰერანგის ამხანაგის ჩაცმაც ხომ არ იცოდნენ, რაღანაც უჭირლობა და ბატონთა მოხელეთაგან აბევა და რთმევა ცამდის იყო ასული. აქ ყოველი შეცი, უვიცი მოსამართლე შხეანებელი ბატონი იყო თვით გლახისაგან საცრით მოგროვილის სიმინდის. მოედს იმერეთში კაცი ათს გლეხ კაცს ვერ ნახავდა, რომ იმათ კაცური ცხოვრების რამე წესები ჰქონიყოთ. დღესკი მაღლობა მათ ცდას, ეს ისე აღარ არის, ერთი ნაწილი თამამათ გაიშალა წელში, ცოვრებისთვის ფეხიც აიღვა.

იმერეთის ლატაკთ გლეხთა მდგომარეობა ყოველთვის ვაებას წარმოადგენს. მას უჭირდება თავის სახლობის შენახვა, აწუხებს ხარჯი, მებატონე, მღვდელი, ფოსტის ფული, არა აქვს კაი ტანთ საცმელი, საჭმელს ხომ მოკლებული არიან და თვით ხშირათ ხსნილს დღესასწაულს დღეებშიაცკი ლობითი და შხალით იკვებებიან, ქალები და ბავშვებიც საერთოდ

ტიტვლებიც არიან, ფეხშეელანი და პევრიც სხვა ასეთ სილა-
ტაკის ნიშნებით აღვსილნი. არ შეიძლება დავაკვირდეთ თუნდ
იმგარემოებას, რომ ბაქოს საროსკიპოესში, თფილისის, ბათუმის,
კავკავს, ოდესას, ქუთაის, ართვინს; ყარს და სხვა სამაზრო
ქალაქებშიაც რჩესის ქალებთან თქვენ იმერეთაგან დაყიდ-
ულს ქალებს ბევრს ნახავდა და ქართლ კახელთაგან კი შეირეს.
იმერთ გლეხთა შორის რომ სილატაკე საკმარისად დიდს რიც-
ხვშია გავრცელებული ამას ეჭვი არ უნდა, ვისაც სმენა და ხელ-
ვა აქვს, იმას ეს კარგადაც ეცოდინება, მტკიცება და ბასი
არ დასჭირდება, ეს ბურთი და ესეც მოედანი.

ხელოსანი მეხერხე, ხურო, კალატოზი, დურგალი, მუშა
და სხვა ასეთი ხელოსნების, რომელნიც ქალაქ აღგილებში
სცხოვრობენ და შეძლება არა აქვთ, მასთან არც სახლ კარი
და მოქირავებენ, გარდა ამის ამათ თუ ჰყავსთ ცოლშვილი
და გასათხოვარი ქალები, ან დასაზდელი შვრლები, ან სახ-
ლში ვინმე ვრდომელი ავათშუოფი, ამათაგანნი ბოხუცების
ყამს რომ უსაქმით დაშთეს და მოზრდილი კა შვილებიც
ოუ არ მოესწრა, მას უსათუოთ უკანასკნელ მათხოვრება მოე-
ლის, დიდებაზე სიარული, დიდი სილატაკე, გასათხოვარი ქა-
ლების დიდი განსაცდელი. ხშირათ მეხერხეს, ხუროს და მუ-
შაზე ცოტა მაღლა სღვას დურგალი და კალატოზი, რაღვა-
ნაც ამით ხელობა უფრო ფასიანია ვინემც ჩემოხსენებულების,
მაგრამ ესეც იშვიათათ ხდება და ისიც იმათში, ვისაც თავის
საკუთარი სახლკარი აქვს; თორებ თუ ეს არა აქვს, უკანას-
კნელ იგიც ისეთსავე გაჭირებაში ვარდება როგორშრაც სხვე-
ბი: მის სათქმელათ ერთი ის შეება, რომ მინამ ჯანი შეინდა
კარგათ ვიცხოვრეო და როგო ჯანი გამელია მაშინ დავუცი,
დავარდი ცხოვრებისაგან და გავგლახავდიო. ამათს უბედურე-
ბას ხშირათ ისიც ბადაჭს რომ კალატოზი, დურგალი მაღალ
შენობიდგან ვარდებიან ძირს, ზოგი კვდება კიდევ და ჭელ
გამოჭრილ დატაკ ცოლშვილს სტოვებს, ზოგი რჩება, მაგრამ

ისე კი ორა რომ მის მუშაობა კულანდებურათ შეეძლოს სისუსტის წყალობით მუშაობა არ შეუძლიან, ამის მეოხებით ანუ საქმის გაკეთების შეუძლებლობის წყალობით ვარდება დიდი მწარე სილატაკეში და გაჭირებაში. ამიტომ აქ მოხსენებულ ხელოსანთა მოხუცთ გაჭირებულთ მათხოვართ და ლატაკი ქალაქ აღგილებში ხშირათ შეხვდებით.

ასეთსავე დღეში ვარდება მეჩექმე, უსახლკარო ხელოსან რარიბ მოხუცს მეჩექმეს ემართება მუხლების ტეხა, რადგანაც მათი მუხლები ბევრი ჯდომის და ცემით გაჭვავებულია, სისხლი გამშრალი, უკანასკნელ მუშაობას ველარ ახერხებენ, ლოთობას მრავალნი აღრიღგანვე ეჩვევიან გაჭირების გამო და უკანასკნელ ვარდებიან დიდს სილატაკეში, ლოთობაში და მრავალნი მათხოვრობაში იხოცებიან. ასეთსავე მდგომარეობაში არიან მოთავსებულნი ის სტოლიარ ხელოსნებიც რომელთაც ქალაქ აღგილებს ცოლშვილი ყავსთ, მასთან არც საკუთარი სახლი აქვსთ და არც შეძლება, მოხუცებაში შესვლის ამათ ემართებათ ძარღვების სისუსტე, რადგანაც ხელებში სისხლი აღარ უდგათ რანდის წევისაგან, სისხლი გამშრალი აქვთ, ზოგ მათგანს ხელის კანკალიც ემართება, ზოგიც დიდს უძლიერებსაც ეძლევა, ზერა ქვერა ავათმყოფობას და უკანასკნელს ვარდება დიდს გაჭირება-სილატაკეში, მათხოვრობა-ტანჯვაში ეღება ბოლო თერძების, პარტნოვების და მექუდეების ცხოვრებაც ასეთია, ვისაც აქვს სახლ-კარი და რამ ხოკარგი და ვისაც არა და მათ უკანასკნელ მოელისთ უსინათლობა, უსაქმობა და ამას მოსდევს მათხოვრობის მინა გვარი სილატაკე. წვრილმან პარტნოვებს კაცი სილატაკეს ცხადათ შენიშნავს, დღეს ამათი რიცხვი მცირე არ არის.

მჭედლის, სლესარი და სხვა ასეთ ხელობათა ხელოსანთა საქმე და ფასი კი ისე არ არის მოწყობილი, როგორც სხვათა და ამიტომ ხშირად ესენი იმ განწირულებამდის არ მის და დამდისაც სხვა ხელობის ხელოსნებმა და მუშებმა მი-

ალწიეს. ამის უმთავრეს მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ
ეს ხელობები ჯერეთ ჩვენში ახალს გავრცელებულ ხელობათ
ითვლება და მერე ამათ რკინის გზაზედაც კაი მოთხოვნილბა
აქვსთ, ამ ხელობის ხალხმა რომ მოინდომოს თავიანთს მომა-
ვალს მდგომარეობას უზრუნველს ჰყოფვენ, მაგრამ საუბედუ-
როთ ჯერ ჯერობით ამის ნიშნები მათში მცირეა. ბევრნი არ
ეტრუიან ამას. ამ ბოლოს დროს კი, რკინის გზის ახლო მახ-
ლო, პატარ-პატარა ქოხების შენება იწყეს, ქოხების შენება
მარტოთ მათ არ ემჩნევათ, არამედ სხვა ხელოსნების ცარი-
ელ-ხელოსნებსაც, რომელთაც არაფერი გააჩნიათ და სილა-
ტაკისაგან შეწუხებული არიან.

მეთუთუნების, დალაქების და ბევრიც სხვა ხელობის
ქარხნის ხელოსანთ დღეებიც ასეთივეა. სახე გაჭირების და
სილატაკის თითქმის ერთნაირია და ამიტომ ჩვენ უველაზე სა-
თითაოდ არ ვისაუბრესთ. არა სანატრელმდგომარეობაში არიან
მოთავსებულნი ქალაქ ადგილებში მცხოვრებ მოსამსახურნი
ნამეტურ ისინი, რომელთაც სოფელი მიუტოვებიათ, ქალაქს
მიჰკედლებიან, აქ დაცოლშვილებულან, სახლი და ქონება
არ შეუძენიათ, თუნდ თავს შესაფარი სახლი. ხანში შესვლის
დროს მოსამსახურობა აღარ შესძლებია, დარჩენილა ცუდათ.
და ამის მეოხებით ნამეტურ ლაქიები ჩაცვინულან მათხოვარის
მსგავს სატირელს მდგომარეობაში, არიან ერთნარი მუშავნიც,
რომელნიც ხელზე მოსამსახურეთა მდგომარეობისაგან ბევრით
არაფრით განირჩევიან, ესენი არიან შეშის მჭრელები და ლა-
მის ყარაულები და სხვები ასეთნი, რომელნიც სოფლის ბო-
განობას გამოქცევიან, ქალაქ ადგილის მოსულან, აქ მისცე-
მიან ცხოვრებას და ცოლშვილის რჩენას, მაგრამ ვაი მათ
რჩენას, მათი ცხოვრება გამუდმებულს ბრძოლის წარმოადგენს,
როგორც სოფელში არაფერი ჰქონიათ ისევე ქალაქში, ესენი
აქ დღიური ლუკმისთვის ცხოვრობენ, თორემ სახლ-კარის
და სხვა რამე ავეჯის შესაძენათ ამათ არავინ აფიქრებინებს,

ნერ იმდენი აილონ რომ მით თავი იკვებონ, ურიგო და უწესო ცხოვრებისაგან ვრდომას და მოსპობას არ მიეცნენ, ნამეტარ მძიმე ხელობა არის ღამის ყარაულთა მოვალეობა, ზამთარ-ზაფხულს კაცი კარში უნდა ათენებდეს მთელს ღამეს მღვიძარეობით. ამათ გარდა არიან დღიური მუშებიც. რომლებიც ასეთსავე დღეში არიან მოთავსებულნი.

ვაჭრობის მხრით უნდა ითქვას რომ ხშირათ განწირულებაში ვარდება მიკიტანი, ჟამთა ვითარება დროებას სცვლის. იცვლება მასთან ბევრი რამაც, მიკიტნებთა ვითარებაც სხვა-ფერდება. ვისაც შეძლება, სახლ კარი და ვაჭრობა აქვს, ის წინ მიღის, ის ცხოვრებით აღორძინებას ეძლევა, და ვინც შეუძლოა და არაფერი აქვს ის უკან ვარდება, მძლავრთან ბრძოლას ვერ სძლებს, თანხის უქონლობა დუქნის საქონლის გამრავლების ნებას უსპობს, უკანასკნელ შეუძლებისაგან დაჩაგრული ვაჭრობას ეთხოვება და ნელ ნელა ვარდება ისეთს წარმოუდგენს სილატაკეში, ისეთს სილარიბეში. რასაც კაცი ვერც კი წარმოიდგენს. ასეთ ვრდომილთ და გაკოტრებულთა რიცხვი ხშირათ მინახავს და რა ფიქრი უნდა რამდენიც ხანი წავა, იგი იმდენი უფრო იმრავლებს და წინ წავა, რადგანაც მიკიტნებმა ალებ მიცემის გარდა სხვა. რამ ხელობა არ იციან და მძლავრი ანუ მდიდარი, შეძლება-შეუძლოს სჭამს და აქრობს.

მიკიტნებს გარდა არიან უქონელი ვაჭრები თვით ბაზა-ზეპშიაც და სხვა. ასეთ ვაჭრებშიაც, ამათაც იგივე შავი დღეები ადგებათ, რაც სხვებს, ესენი უფრო უარესის გაჭირებით იტანჯებიან, რადგანაც მოხდება ხოლმე რომ გუშინ-დელი შეძლებული ვაჭარი დღეს უკანასკნელს დღეშია ჩაგარდნილა, ზოგს ისე მიზდის ხელიდგან საცხოვრებელი რომ მას დღიური ლუკმის ფასის აღარაფერი რჩება, ასეთ დაჩაგრულთ ოჯახთ ვითარებაც მეტის მეტს სამწუხარო სურათს წარმოადგენს, გაკოტრებული და ცხოვრებით ძირს დაცემუ-

ლი ვაჭარი დალალობას ეძლევა, ანუ ღამე საიდუმლოთ მათ ხოვრობას და ამითი თავს ირჩენს. ასეთ რჯახთა ვითარება მაშინ უფრო წყალდება და პირქვე ემხობა, როცა მამას შვილებიც უხეიროები და უსარგებლონი გამოსდიან. ასეთის ბედ-შავის და უძლურის ხელოსნებით სავსეა თბილისის აღმოსავლეთის კუთხის უბნები, ავლაბრი და სხვებიც. ვაჭრებთა გარდა ჩვენში არიან კინტო მოვაჭრენი. მეხილე კინტოების შესაებ ბევრი რამ დაწერილა ჩვენს მწერლობაში, ლექსებიც კი, უმრავლესობას შეუქია ეს ხალხი. ამათ აღვიწერენ მეპურ მარილეთ, გამბედავათ, ოხუნჯათ და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა რაგინდა რით. კინტო თავის ცხოვრებით მრავალთათვის მისიბაძიც გრძდა და საქებიც. შაგრამ საქმე ასე არ არის, კინტოს ცხოვრებაში საქებს და მისაბაძს არას ვხედავ.

კინტო, მეორლნე, მეფაიტონე და მეტაჭკე, თითქმის ერთის წყობის ხალხათ მიმაჩნია. ამათ თვალ საჩინოთ იჩინეს ქართველობაში თავი, აღრე კინტოები უფრო სომხებთაგანი იყვნენ. სომეხთ შესმენილ თავობისაგან დიდი ყურადღება იქმნა მიპყრობილი, განვითარებით ქართველობაზე უმეტესობით იწყო წიი სვლა, ამიტომ ძათში კინტოებიც შემცირდნენ. დღეს კინტოების ასპარეზ ქართველ გვარის შვილები ამშვენებენ, მცირე ოდნათ სომეხნიც არიან ხოლომე, მაგრამ რედია რომ სომეხთა მწნე ახალგაზღობა და სამღვდელოება ამასაც მოსპობას და შემდეგისოფის კინტოების ასპარეზი ქართველთა სამკვიდროთ გარდიქცევა, ეს იცის ისეთ ხალხის ბედმა და ცხოვრებამ, ვინც ჩატარება არხეინები არიან, უპატრონო და უქორევო. ქართველი გლეხი იმავ თავიჯვანვე მსხვერპლი იყო უსამართლო მონობის და მსხვერპლია ღლესაც ეწავლა უვიცობის მეოხებით ამათ ქორაგი დედამიწაზედ არავინ არის, უველ-მათ აღრჩობს და პირში სულს ხუთავს, დარბეულის, ტყავ გამშრალის და პირში სულ შეხუთულის ქართველებისაგან იბარება კინტოების დასი. კინტოებს მოსღევს ჯიბგირები,

ყომარბაზები, ლოთები და მოთამაშენი. ესენი ერთ ხნობით დამნაშავობის გამო ციხეშიც ვარდებიან, იქიდან დადის ტან-ჯვით თავს იხსნიან და მერე სიბერის დროს ისეთს სიღატაკუ-ში და მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც შაფათის გლახის მდგომარეობაზედაც კი უარესია და არა სანატრელი.

კინტოების რიცხვი უმეტესაა შესღება მეხილეებისაგან, მეთევზების და სხვა ასეთი სუმბუქ მომუშავე მოვაჭრე ბიუ-ბისაგან, კინტოობა უფრო ახალ გაზღას შეფერის, თორემ ხნიერ კაცს კინტოობა დიდათ ეხამუშება. მას რომ ენატრებო-დეს, უს მაინც ნამდილს კინტოებს ვერ აჰყვება. ვინც გა-კინტოვდება ის იმ დღიდგან თავის ოჯახს, დედ-მამას და ნაჯესავებსაც ეგლიჯება, იმას სახლში მშობლებთან შესვლა აღარ მოუნდება, ის ყველასაგან ხელს ილებს და ეძლევა თავის კინტო ამხანაგებან მეგობრობას და კინტოობას. ამას იმ დღიდგან გულში უქრება მშობლების, სიყვარული, მომავალ-ში ცოლ შვილობის და ბევრიც სხვა ამგვარნი. იგი ხდება დღიურ საზრდოს მოპოვების მორჩილი, თუ რამეს იშოვნის. მით მცირედ იქეითებს და თულს არ შეინახვს, ერთი სიტ-ყვით იგი კინტოობის დღიდგან ხდება ღარიბ კაცათ, სძულ-დება ყველას და ნამეტურ ღარიბ შეუძლო მშობლებს, ამათვის იგი ერთი სანთლის ფასათაც აღარ ფასდება, მას მხოლოთ კინტო მეგობრები აგონდება, თავის აფსონები, საღმე ქეიფი, ზურნის დაკვრა, ან არლნის, პივა ხანებში სიარული კა დროს გატარება.

უმეტესად და თვალ ხილულათაც შეემჩნეულია რომ დღეს კინტოები უფრო სჩნდებიან ღარიბ ღატაკ ოჯახებიდგან, ისეთ ოჯახებიდგან. რომელთაც საყოველთაოდ კუკმა პურის მოპოვებაც კი ენატრებათ. ასეთ ოჯახიდგან გამოსული კინტო რომ ნახოს კაცმა და ჰკითხოს თუ იგი რაო გაკინტოვდა? იგი ჯერეთ პასუხს არ მისცემს და თუ მისცა? ჯერ გაიხითხი-თებს, მერე რაღაცა საოხუნჯო სიტყვას იტყვის და თუ სა-

ჭიროთ დაინახა მკითხავს კარგათაც შეუკურთხებს, თუ ვინ-
მემ საუბარი დაუწყო, მასპინძლობა გაუწია, დაალევინა რამე,
მეგობრათ გაუხდა და ისე აღაპარაკა, მეტე კი გამოსჩნება
რომ იგი ამ ხელობაში უპატრონობის და სილატაკის მეობებით
ჩაუარდნილა, თორემ პირველ დაწყებით სკოლაშიაც ყოფილა,
წიგნებიც უსწავლია, მაგრამ სილატაკის გამო სწავლა ვერ
შეიძლებია, გამოსულა, ან გამოურიცხვიათ, მის შემდეგ აქა
იქ, უხიტიალნია და ბოლოს ყველაფერზე ხეოთ აულია და
გაჭანტოებულა. მე არ ვკიცხავ მათ, გასაკიცხია ის მიზეზები
რაცკი ამათ აჩენს და ჰბადავს.

კინტო ჩეენში ჭებულია არა კაი საქმით და სახელით,
უხეირო მოგონებით, წყევლა გმობის და საძრახისის გაგონე-
ბით. უბედურია ის კაცი და ოჯახი ვისაც კინტო შვილი გა-
მოუვა, ვისმეს თუ შვილი გაუკინტოვდა, იჩას აღარა ეშვე-
ლება რა, მამას გინდ დიდი შეძლებაც რომ ქონდეს, მაინც
სულ გაფლანგავს ის და არას დასტოვებს. დედმამას არა-
ფერს შეარჩენს, სულ შესჭამს, ამ გვარად ბევრმა გაკინტოვ-
ბულმა შეძამა და დაამხო თავის მშობლების ოჯახი, ასეთ შეძ-
ლებულთ ოჯახთა შვილებს რაღა უნდა ატანდეს ძალას რომ
იგინი კინტოვდებიან,—ცულა წეს ჩვეულება ცხოვრების, ცუ-
დი გარემოება, ცუდი ზედ გავლენა სხვათ. მე აშეიათათ შევცვე-
დრივარ ისეთ კინტოს რომ იმას ან თავის თავის პატივის
ცემა სცოდნოდა, ან თავის მშობლების, კინტოს გულში პო-
როჭება კი არა აქვს, იგი გარემოების მსხვერპლია.

კინტო თავის გარემოების და უბედურების წყალობით
არც მშობლებს იცნობს, არც ნათესავებს, მათ არც ცოლ
შვილობა აგონდებათ, არც უფროსის და მცოდნეთ მორცდე-
ბა, კინტოს ქონება, სახლკარი და დიდება ერთი ვერცხლის
ქამარია და ერთიც თაბახი. ეს თუ აქვს, მას ამაზე შეტი აღ-
რაფერი არ უნდა, ეს ყველაფერია მის, მათი დასაძინებელი
ოთახები ტრანსტინებია და ანუ ის მიკიტნის დუქნები სადაც

სმენდა სკამენ, საჭაც ხანდისხან მოჯაშაგირეთაც არიან. ლო-
გინი ხომ იშვიათად იციან, სარეცხიც ისევე, ჭამა, სშა და-
სხვა მოქმედებაც არა კანონიერი აქვთ, მთელს ზაფხულობი-
თაც ერთ თავათ კარში არიან და ისე ათენებენ აქა იქ ბაღე-
ბში, ან წყლის ნაპირებზე. ხანდასხან და ნამეტურ ზაფხულში
ფულსაც ხშირათ იგებენ ხოლმე, მაგრამ და მონაგებს ისე
სქრობენ რომ ერთი გროშით თავიანთ მშობლებს არ დაეხმა-
რებიან, ძმა ბიჭების გატანა იციან, ძმა ბიჭებისთვის სულს
არ დაიშურებენ, თუ რამ გააჩნიათ ყველაფერს შესჭამენ და
გაფლანგავენ.

კინტოების უმეტესი ნაწილი ღრმათ მოხუცებამდის ვერ
აღწევს 50 წლებამდის მიღწეულნი თითქმის, ხშირად იხოცებიან
მათგან რჩება ერთი ნაწილი, მეხუთედი და უსენიც მოხუცე-
ბაში შესვლის დროს დიდს გაჭირებას სცდიან, განსაცდელს,
მწუხარებას, გაჩენის გმობას და წყევლას. ზოგი ისეთ სილატა-
კეში ვარდება, ისეთ მდგომარეობაში რომ აქა იქ შალლ უმა-
დურათ ფეხზე მდგომ ავათმყოფს ედება ბოლო და ისე ესალ-
მება სოფელს. იმ დროს კინტო გროშის მონატრულია და უმე-
ტეს ნაწილიც მშიერ მწყურვალეა. კინტოებმა ერთმანეთის
ჰატის ცემა და გატანა უფრო კარგათ მყოფობის დროს იცი-
ან სნეული ავიწყდებათ, თუ შეწუხდება ავაღმყოფი, მაშინ კი ნა-
ხავენ. სნეული-ლატაკი კინტო მათვის საჭირო არ არის, თუ
მოკვდება, მაშინ კი წავლენ კუბოს ასაწევად, საფლავზე ღვი-
ნოსაც დალევენ და შენდობასაც ეტყვიან. ავათ მყოფი კინტო
თუ დიდ ხანს რჩება ლოგინად ვაი ამისი ბრალი და ვაი ამის
დღეს, მას თავის უბედურებით უეჭველად მათხოვრობა მოელის,
მაურამ ვაი იმ მათძოვრობასაც, მათხოვრობასაც კი გამბედა-
ბა უნდა.

ერთის მხრით თავის დამცირებამ და კინტო კი ამისთვის
არ არის მომზადებული, თუმცა მისთვის კი იფრ უარს არის
დროს არ იტყვის. კინტოებს რომ შესმენა ჰქონდესთ და თვის-

ცხოვრებას უფრთხილდებოდენ, მაშინ შეიძლება რომ შათ ცხოვრება გაუშვობესონ, მომავალში სიღატაკე და გაჭირვება აიცილონ, ამისათვის მათ არც ზრუნვააქვთ და არც ფიქრი, ამიტომ მომავალში პპოვებენ მას რასაც სთესენ და ეძებენ. მე არ მგონია რომ კინტოში ოცში ერთდა შეირთას ცთლი, ან იგი კაცურათ მოკვდეს, იგინი ისე არიან აღზრდილ გადაკეთებულნი რაზედაც ლაპარაკი არ შემიძლიან: ვიტყვი იმასაც, რომ ამ უბედურთა საქმეებში რამდენათაც თვით ისინი არიან დამნაშავენი, იმაზედ მეტი მათი გარემოება და პირობებია, ანუ საზოგადო წესები.

კინტო ძრიელ ადვილად და ძრიელ ხშირად ვარდება პოლიციის მხედველობის ქვეშ, ამათთვის ციხეც ხშირია, ერთობ მრავლად და ხშირად ვარდებიან ციხეში. ზოგის ცხოვრება ხანდისხან ისე მოეწყობა რომ კინტოს ციხეში ჩაჯდომაც ენატრება რომ ეგები იქ მით თავი ირჩინოს და მშიერი არ დარჩეს. ამ გარემოებას მათში პბალავს მათი უსაქმობა, შიმშილი, სიღატაკე და გაჭირება. გაჭირებისაგან ხშირად კინტო იქამდის მიაღწევს რომ თავზედ უბრალო ნაბდის ქუდი ხურამს, უბრალო ლურჯი ხალათი, არა აქვს თვით უბრალო თბილი ტყავის საცმელი, ფეხზედ დახეული წინდები და ჩუსტები აცვია, ჩუსტებში კოველოვის წყალი შედის და ფეხები სველი აქვს, ასევე მთლად ტანისამოსი. ამეებს კიდევ სხვა გაჭირება ერთ ხმის გარს, ბევრი და მეტად უსაზღრო. საჭმელ-საც ნულარ იტუვით, ნახევარზედ თითქმის მშივრად არიან დაშთუნილი და ნამეტურ მაშინ როცა დიდი ყინვებია და ზამთარი, მაშინ ანითი ცხოვრება სწორედ ცუცხლს წარმოადგენს. ამ სიცივე-ზამთარში ბედშავნი ხშირად თაბახი თავზედ დადგმულნი ქუჩა-ქუჩა დადიან და ჰყიდიან რამეს, მაგრამ არც ამით ეძლევათ მათ ცხოვრებას შვერა და ხსნა, დღიურ ლუკ-მისთვის აღამებს და ხშირად ესეც არა აქვა: ბევრი ამათში ისეთის თვისებისაც არის, რომ კარგს კაცაც გადაკეთდეს,

შეგრამ პირი უკულმა უბრუნებია და ამიტომ იგინიც ჩაცვინულან ისეთ სამწუხარო დღეში, რომელთაც ლუქმი პურის-თვის ისე მოსწყობით საჭმე რომ მერე ციხეშიც კი განლძრახავთ ჩაუარდნა, ამისთვის თავის უნებილიერ საჭმე ჩაუდენია და ცი-ხეში ჩავარდნილა ციხეში მყოფაბის დროს იგიმ შობლებისთვის ხდება საყურადღებოთ, მშობლის ჯიგარი ვერ ითმენს და ხშირად ხედკუნ მას ციხეში დედა და საბრალო დები რომე-ლთაც ექმნება ნემსით უშოვნიად გროშები მით პური, ან ხილი უყიდნიათ და შვილისა და ძმის თვის მიუტანიათ ცი-ხეში პატივად. ციხიდან ჯამოსვლის შემდეგ ზოგი კინტო ასეთ ლატაკ საბრალო დედას და დების ამაგს არ ივიწყებენ და მე-რე კი პატივს სკემენ და სამაგიეროს უხდიან, სამწუხაროდ ზოგი კინტო კი ისეთის თვისების გამოდის, ისეთ გარემოებით ისაზღვრება მისი ცხოვრება, ისე ირევა რომ იგი შემდეგ-შიც უსარგებლოა ლარიბის ნათესავთა, დედის და დებისთვის. ამას დაასაბუთებს შემდეგი ამბავი რომელიც დარჩენილია ხალხში კინტოების ზნეობის დასახასიათებლათ.

ერთს ლარიბს ოჯახში კვდება გამოჩენილი კინტო, თა-ვის ძმა ბიჭების მფარველ პატრონი, ბედშავი დედის და დების ურგები, არაფერში დამხარე. სიკვდილის დროს კინტო სწუხს, გმინავს, განწირულს დედას ეუბნება: „ოხ, დედი, რა შვილი გიკვდები“, დედა ეუბნება: მაგდენიც არაფერი“ ამის ახსნას მე არ მოვყვები. მიმინდვია მკითხველისთვის და მან ახსნას ჭომა საბრალო სულიერის მხარეებისა, განწირულებისა და უბედუ-რებისა თუ მას რამ ათქმევინა ასეთი პასუხი მომაკვდავის შვი-ლის წინაშე. დედას, რომელსაც შვილის გაჭირების და სიკ-ვდილის დროს ყოველივე უნდა ავიწყდებოდეს, არა მგონია გაბედოს ასეთი რამის თქმა, რომ ის უკიდურესად არ იყოს შვილისაგან. გულ ლვიძლ დაღალული. მოდი და ნუ დაიდაგე-ბა ბედშავი დედა, როცა იმის ვაჟი თავის მონაგებს სხვებს აჭმევს, ქეიფობს ზორნით, არლნით და იმავ დროს მის გულპ-

ლებს და დებს კი პური ენატრებათ, ასანთი ნავთოც არა
აქვთ და მასთან წუმშუმაც. ნუთუ აქ დედას არ უნდა მიეცეს
საფუძველი შვილის სიმძლლვარის და შეძლებისა, უხადი საჭ-
მეა რომ მიეცემა, მაგრამ ხშირათ ამას ირავინ კითხულობს და
უსარგებლო შვილი ბედშავ დედას და დებს უანასკანელ და
მარხვის ხარჯითაც ჭირათ და ტვირთათ უხდებათ.

გლეხთა ხელოსანთა და ვაჭართ შორის საღაც კი. გა-
ნათლება წავიდა წან, საღაც კი შეგნებულმა აზროვნებამ
გზა და კვალი მიიღო იქ ქართველთ შორის, მათხოვრობამ
კლება იწყო და რაც ხანი გავა და მრავალ ნაირათ აღორ-
ძინებული ცოდნა, ხელოსნობა და ვაჭრობაც წინ წავა,
მით ჩვენ შორის ცუდათ ყოფილთა რიცხვი და მათხოვართ
რიცხვიც ერთი ოცათ შემცირდება. აქამდინ ჩვენთ ხალხთ
შორის სულ ჟკილე ხელობა. არსებობდა ამ ხელობებმაც
ჩვენში ვრდომა მიიღო და აღვა, როგორც აზიურმა ხელო-
ბებმა, ამათ ნაცვლათ ევროპიულმა იწყო გავრცელება და
ისიც რამდენმამე ხელობამ. უმრავლესი საჭონელი და სახმარი
იარაღი ჩვენს ქვეყანაში სულ უცხოეთიდგან შიმოდის
დღეს კი ნაშნები გაჩნდნენ ევროპის ხელობათა მიმდევარნი.
ყველა ასეთში კი საქართველოს მშრომელ ერს დიდს სახსარს
და წარმტესის ძალას მისცემს, რომ ამ შრომის მოყვარეების
შვილებმაც უფიცილისაგან მონარქებულს სიღატაკეს თავი
დაახწიონ. შრომის უღელს შეებან და კრძალულებასა და
მორიდებაში გამოზრდოლებმა თავიანთ სანაქებოს შრომით
იშოვნენ ლუკმა პური და სხვა რამ ტაციობით, იგრიშით და
აკლებით ვერას გახდებიან. ვერც ქურდობით.

ქართველი ერი ძველის ძელთაგანვე შენიშნულია ელ-
ინთა და რომელთ მწერლებთაგან რ კაც „მიწის მუშავნი“
ამის მაგალითს ჩვენ დღესაც ვხედავთ და ქართველი კაცი
ერთგული მუშა არის თუნდ ისეთის ხელობის და მუშაკობის,
რაისაც იმისთვის ჯერობანი ნაყოფიც კი არ მიაქვს. თუ გარე-

შოებამ საქართველოს მუშას შეუწყო ხელი და საქართველოს
მთასა და ბარში მდებარე-მაღნებს გზა მიეცა, მაშინ კი სა-
ქართველოს მუშაც თავს დაიხსნის სილატაკისაგან. იგი გამოვა
შრომის ასპარეზზე, იგი მხნეთ დადგება მუშაობას და ამ მხნე მუშაკობის
შეოხებით თავს იხსნის მომავალის ვეშაპის. სილატაკისაგან და ამის შეო-
ხებით იგი განათლებით და ზნეობით მხარეებითაც წინ წავა და ალორა
ძინდება. რაღანაც მრავალ საუკუნოების ბრძოლაში განვლილ ქარ-
თველმა ეს აშკარად და ცხადათ დაამტკიცა ესევე გარამოება მას შექვ-
ნის პოლიტიკურს ასპარეზზედ უთანასწორობის მოკამათე-მებრძოლად.

მათხოვრობა, სილატაკე და გაჭირება დედაკაცობას უფრო ეტყობა.
აშიტომ ამათი აღწერა ცალკე გვაქნეს დატოვებული, ოდესმე დავბეჭდავთ.

3^o
f 551

ამავ წიგნის დამწერის

რობერტ ოვენი.	15	კაპ.
სენ სიმონი.	5	"
ფურიე	5	"
პრუდონი	20	"
ლუი ბლანი	15	"
პაუპერიზმი	20	"

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა

ბაბეთი, როშფუკო და კაბე,
 ფერდინანდ ლასალი
 მარკსი და რობერტუსი
 ჩერნიშევსკი.